

თამარ თევდორაშვილი, ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე

მუსიკა

მასწავლებლის წიგნი

IV კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2023 წელს



თამარ თევდორაშვილი, ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე

მუსიკა

IV კლასი, მასწავლებლის წიგნი

მუსიკალური რედაქტორი – ლეილა მარუაშვილი

ლიტერატურული რედაქტორები: თეა ბარამაშვილი, თამარ ნინიკაშვილი

ხმის რეჟისორი – ნინო წითლაური

არანაწილობა და აკომპანემენტი – ნინო ჯულაყიძე

სოლისტები: ნინო თავაძე, ანასტასია ჯულაყიძე

მხატვრები: ქეთევან თოდაძე, კონსტანტინე ამირეჯიბი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – მარიამ პოლტახიენტი, ელენე ვარამაშვილი

ყდის მხატვარი – ელენე ვარამაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2023

© გამომცემლობა „პალიტრა L“, 2023

© ნინო ქუმსიშვილი, თამარ თევდორაშვილი, რატი ჯულაყიძე, ალექსანდრე ჯულაყიძე, 2023

ყველა უფლება დაცულია

პირველი გამოცემა – 2023

ISBN 978-9941-35-724-4



შპს „გამომცემლობა პალიტრა L“

იოსებბიძის ქუჩა №49,

თბილისი, 0103

ტელ.: (+995 32) 2 38 38 71

(+995 32) 2 19 60 53

ელ-ფოსტა: book@palitra.ge



შპს „გამომცემლობა კლიო“

ალმაშენებლის გამზ., №181,

თბილისი, 0112

ტელ.: (+995 32) 234 04 30

ელ-ფოსტა: book@klio.ge; www.klio.ge

kliopublishing@gmail.com

სარჩევი

წინასიტყვაობა	4
თემა 1: მუსიკა და ტელევიზია	
1. ფეხბურთელი მომღერლები	17
2-3. გახდი ხმის რეჟისორი	20
4-5. მუსიკა და ტელევიზია	21
6-7. გადაცემის ქუდი	23
8-9. შევარჩიოთ მუსიკალური ქუდი	27
10-11. სარეკლამო რგოლი	30
12-13-14. „გალობის რაინდები“	31
15-16. მიზანდარების მუსიკალური დინასტია	32
17-18. ლისტის სიურპრიზი	35
19-20-21. შექმენი ანონსი	38
22-23. ტკბილი, მხიარული შობა	40
24-25-26. „საახალწლო რეპორტაჟი“	42
თემა 2: მუსიკა და თავისუფალი დრო	
27. დილა არის მზიანი	44
28-29. დასვენების ფორმები	46
30-31. პირველი კონცერტი	49
32-33. მშვიდი თუ ხმაურიანი?	52
34. ქორალი	54
35. ამოიცანი საკრავების ხმა	56
36-37. ძველი და ახალი	58
38-39. მოგზაურობა და დასვენება I	60
40-41. „საბოდიშო/ბატონებო“	63
42-43. მოგზაურობა და დასვენება II	65
44-45. ფონური მუსიკა	67
46. მუსიკა მოლში	70
47-48. მუსიკა დასვენებისთვის	72
49-50. მუსიკა და თავისუფალი დრო	76
თემა 3: მუსიკის როლი ანიმაციაში	
51. პერსონაჟების ხმები	78
52-53. ხმები და მოქმედებები	81
54. გამოიგონე ისტორია	84
55. განწყობა თუ ხასიათი?	86
56-57. ანიმაცია და ორკესტრი	88
58. ლაიტთემა	90
59-60-61. შეარჩიე მუსიკალური თანხლება	91
62-63. „წუნა და წრუნუნა“	95
64-65-66. მოარგე განსხვავებული გახმოვანება	97
67. მუსიკა საყმაწვილო ფილმში	101
ლექსიკონი	104
გამოყენებული ლიტერატურა	110
პროგრამა Audacity-ის მოხმარების ინსტრუქცია	111

წინასიტყვაობა

მუსიკის სახელმძღვანელო **მეოთხეკლასელთათვის** მასწავლებლის დამხმარე რესურსია საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმართვისთვის.

მუსიკის საგნის სტანდარტის მიხედვით, სახელმძღვანელო მოიცავს გაკვეთილების სცენარებს, რომლებიც განერილია სამი თემის მიხედვით:

1. მუსიკა და ტელევიზია
2. მუსიკა და თავისუფალი დრო
3. ჩემი ცხოვრების ერთი დღე

მასწავლებლის წიგნს თან ახლავს თითოეული გაკვეთილის სცენარისთვის განკუთვნილი ელექტრონული რესურსი – აუდიო და ვიდეომასალა.

სახელმძღვანელო შესაძლებლობას იძლევა, მუსიკის აღქმისა და შინაარსის ამოცნობის ჩვევები და უნარები ეტაპობრივად განავითაროს მოსწავლეებში.

სახელმძღვანელო ეფუძნება კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპს.. მოსმენილი ფრაგმენტების ვიზუალურ რიგთან, გამოსახულებასთან, ნაცნობ ემოციებსა და განცდებთან დაკავშირება ავითარებს მოსწავლეთა წარმოსახვისა და მუსიკალური სახეების ამოცნობის უნარს. ასეთ მაგალითებს მრავლად ვხვდებით საგაკვეთილო აქტივობებში.

სახელმძღვანელოში მოცემული განმარტებების მნიშვნელობას მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს და შესაბამის დროს გამოიყენებს კიდევ.

სახელმძღვანელოში მოცემული სწავლების მეთოდები თავიდან აგვაცილებს მოსწავლეებისთვის რაიმეს დაზუთხვის ან დაზეპირების შეთავაზებას.

თითოეულ თემას ახლავს კომპლექსური დავალებები, რომლებსაც წინ უძღვის საეტაპო აქტივობები.

საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურ ბმაშია კომპლექსურ დავალებებთან.

კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებაზე.

საზოგადოდ, I-IV კლასების სერია ირჩევს გაღრმავებული სწავლების ფორმას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივ და მრავალმხრივ მიწოდებას. სწავლების პროცესში ინფორმაციული მარცვალი ჩადებულია პირველივე სასწავლო წლის მასალაში, მომდევნო კლასებში კი იგი ღვივდება, ვითარდება და მდიდრდება.

საწყის ეტაპზე ბავშვები იწყებენ ინტონაციების, მოტივების, შემდეგ კი ფრაზების, მუსიკალური წინადადებებისა და თემების ამოცნობას, შესაბამის სახეებთან დაკავშირებას. საბოლოოდ, ეს აქტივობები მოსწავლეებს განუვითარებს მუსიკის მოსმენის, აღქმის, სხვადასხვა მუსიკალური ჟანრისა და ფორმის გააზრების უნარებს; ასევე მუსიკასთან საკუთარი დამოკიდებულების, მასზე მსჯელობის შესაძლებლობას. წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების დამყარებას.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ქართველ ბავშვებთან ერთად სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის ბავშვები იღებენ განათლებას. I-IV კლასების მუსიკის სახელმძღვანელოების სერია ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის მნიშვნელობის წარმოჩენას და ამდენად, თემებში შესაბამისად მიწოდებულია ინფორმაცია, რომლის მიზანი მოსწავლის ცნობიერების ამაღლება და განვითარებაა. ეს ინფორმაცია კი ეფუძნება ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპებს.

■■■ მიზნები და ამოცანები

სკოლაში ესთეტიკური აღზრდის მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური დამოკიდებულებები; გამოუმუშაოს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის, შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრულად ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების დაუფლებას. დაეხმაროს მოსწავლეებს ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი

საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებითა და სწავლის სტილით, რაც უნდა გავითვალისწინოთ სწავლა-სწავლების დროს.

სახელმძღვანელო ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში, სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში, შშმ) მოსწავლეების ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში საგნისა და სპეცმასწავლებლის დახმარებით. წინასწარ შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ხელს უწყობს მათ ინტეგრირებას სწავლის პროცესში

■ ■ ■ **კომპლექსური დავალება** არის შემოქმედებითი პროდუქტი (მაგალითად, ფრაგმენტის გამოსახულებასთან დაკავშირება, მოსმენილი კოლაჟის შესახებ მსჯელობა და სხვა), რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს შესასწავლ მასალასთან მიმართებით (მაგალითად, ადასტურებს, თუ როგორ შეუძლია მუსიკალურ ინტონაციაში, მოტივში, თემაში, ფრაზაში, ფრაგმენტში, ნაწარმოებში ემოციებისა და განწყობის ამოცნობა).

ამასთან, კომპლექსური დავალება მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დაფიქრდეს შესწავლილ საკითხებზე და კიდევ ერთხელ გაიაზროს იგი.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დანყება ხდება პირველივე გაკვეთილებიდან.

1 ეტაპზე ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დავალება და შეათანხმოს მასწავლებელთან, თუ რა ფორმით მოხდება შესრულებული დავალების წარდგენა.

II ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსური დავალების შესრულებაზე.

- ეცნობიან და განიხილავენ დავალებასთან დაკავშირებულ რესურსებს
- ხორციელებს შესაბამისი აქტივობები
- მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ კომენტარებს

იმისთვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს კომპლექსური დავალების შესრულება, მასწავლებელმა ყურადღებით უნდა გააცნოს კომპლექსური დავალების პირობა, რომელშიც დაზუსტებულია, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ევალებათ მათ.

ამასთან, მასწავლებელმა უნდა გააცნოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეს ატყობინებს, თუ რა უნდა გაითვალისწინოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და შემოქმედებითი პროდუქტის აგებისას. მეორე მხრივ, სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით შეფასდება თითოეული მოსწავლის ნამუშევარიც.

სახელმძღვანელოში მაგალითისთვის მოცემულია ერთი კომპლექსური დავალების მატრიცის ნიმუში.

■ ■ ■ **სოლოტაქსონომია (განმავითარებელი/სიტყვიერი შეფასება)**

აბსტრაქტული დონე. მოსწავლე ადგენს კანონზომიერებებს გამოყენებულ ტრადიციულ მუსიკალურ ხერხებსა და სამყაროს ხმებს შორის, რომელთა მეშვეობით შეიქმნა გარკვეული მუსიკალური მხატვრული სახე. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმებისა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ (მაგ., ასეთ მუსიკას მე შხაპუნა წვიმის დროს მოვუსმენდი, ძალიან მღელვარე მუსიკაა, მეც ასეთ მღელვარებას ვგრძნობ ხოლმე).

საერთო მახასიათებლების მიხედვით არჩევს სამყაროს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს რაიმე მხატვრული სახის შესაქმნელად (მაგ., ზამთრის პეიზაჟი). გარკვეული მახასიათებლების მიხედვით ირჩევს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს (მაგ., ზამთრის ტყის ხმები და მსგავსი მახასიათებლების მქონე მუსიკალური ფრაგმენტები), გადმოსცემს საერთო განწყობას. შეუძლია სხვა მხატვრული სახე მიუსადაგოს (მაგ., დილა ტბაზე).

მიმართებითი დონე. მოსწავლე პოულობს განსხვავებებსა და მსგავსებებს სამყაროს ხმებსა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანთან. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას (ეს შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ უფრო ძლიერი ხმა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ შხა-

პუნა წვიმას; ეს მუსიკა ჰგავს შხაპუნა წვიმას იმიტომ, რომ უფრო ხმამაღალი მუსიკაა, სიხარულს გადმოსცემს, რომელიც შხაპუნა წვიმის დროს გიჩნდება).

მულტისტრუქტურული დონე. მოსწავლე ამოიცნობს ხმის, ხმაურის, ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს, მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; ვერ ხსნის ემოციურ მუხტს (ეს შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ უფრო ბოხი ხმაა, ვიდრე ჩვეულებრივი წვიმის დროს. ეს მუსიკა შხაპუნა წვიმას ჰგავს იმიტომ, რომ სწრაფი რიტმია).

უნისტრუქტურული დონე. მოსწავლე ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან ტრადიციული მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას (მაგ., შხაპუნა წვიმაა იმიტომ, რომ შხაპუნა წვიმის დროს არის ასეთი ხმა; ეს მუსიკა ჰგავს წვიმას იმიტომ, რომ ამ მუსიკაზე წვიმა მახსენდება და ა.შ.).

პრესტრუქტურული დონე. მოსწავლე ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს და ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.

■ ■ ■ განმავითარებელი შეფასება IV კლასის კომპლექსური დავალებისთვის!

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
პრესტრუქტურული დონე: ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს, ვერ ამოიცნობს ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს გარე სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.	მოსწავლემ ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნო მუსიკის ემოციური მუხტი, ვერცერთი ნიშნით ვერ დაუკავშირა სამყაროს რაიმე მოვლენას, საგანს.	გირჩევ მოინდომო და მეტად ჩაერთო აქტივობებზე მუშაობის პროცესში, გაიაზრო, რა საკითხებზე მსჯელობას ეთმობა ჩვენი გაკვეთილები, რომ მომავალში უკეთ შეასრულო დავალების პირობა.

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
უნისტრუქტურული დონე: ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ გარე სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას (ეს არის ანიმაციური ფილმი იმიტომ, რომ ისმის ასეთი მუსიკა და ხმები).	მოსწავლემ ამოიცნო მუსიკის მხოლოდ ცალკეული მახასიათებელი, ისიც გაუცნობიერებლად, დაუკავშირა გარე სამყაროს მხოლოდ ერთ მოვლენას, მხატვრულ სახეს, საგანს, ვერ ახსნა თავისი არჩევანი და შესაბამისად, ვერ გამოიყენა ტერმინოლოგია.	ყოჩაღ, რომ გაიგე დავალების პირობა. შენს ნაშრომში ჩანს, რომ არ გიჭირს მუსიკის საკუთარ წარმოდგენებთან დაკავშირება, თუმცა შენეულ ახსნას, თუ რატომ შეგექმნა ეს წარმოდგენა, დამაჯერებლობა აკლია. მიაქციე ყურადღება იმას, თუ რომელმა მუსიკალურმა ხერხებმა შეგექმნა ეს შეგრძნებები და წარმოდგენები.

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
მულტიტრუქტურული დონე: ამოიცნობს ხმის, ხმაურის, მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს. მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ვერ ხსნის ემოციურ მუხტს.	მოსწავლემ ამოიცნო მუსიკის რამდენიმე მახასიათებელი, შეეცადა დაეკავშირებინა სხვადასხვა მოვლენასთან, მხატვრულ სახესთან, საგანთან, მაგრამ ვერ ახსნა, რა მიმართებები და კავშირებია კონკრეტულ მოვლენას, მხატვრულ სახესა და მუსიკის მახასიათებლებს შორის. ვერ გაიაზრა მუსიკალური გზავნილისა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირი. მუსიკის მახასიათებლებზე მსჯელობისას ვერ გამოიყენა სათანადო ტერმინოლოგია.	ყოჩაღ, შენ მშვენივრად გაიგე პირობა. შეძელი არა მხოლოდ საკუთარი წარმოდგენების გადმოცემა (მიამსგავსე გარე სამყაროს სახეებთან დაკავშირება), არამედ შეეცადე აგეხსნა, თუ რატომ შეგექმნა ასეთი წარმოდგენები. თუმცა ახსნისას მუსიკის მახასიათებლების ერთმანეთთან დაკავშირების დროს ჩანს უზუსტობები. როგორც ჩანს, შენ გჭირდება უფრო მეტი დაფიქრება ამ მახასიათებლების მნიშვნელობაზე, გაკვეთილის მსვლელობისას დასვა დამაზუსტებელი შეკითხვები და დაფიქრდე, რა კავშირია მუსიკის მახასიათებლებსა და მუსიკაში გადმოცემულ კონკრეტულ მოვლენას, შინარსს შორის.

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
მიმართებითი დონე პოულობს განსხვავებებსა და მსგავსებებს გარე სამყაროს ხმებსა და მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ გარე სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანს. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას.	მოსწავლემ განასხვავა გარე სამყაროს ხმები და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლები, დაუკავშირა კონკრეტულ მოვლენას, სახეს, საგანს. იმსჯელა მუსიკის ემოციურ მუხტზე, გამოიყენა შესაბამისი ტერმინოლოგია, გაიაზრა ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.	შენ ძალიან კარგად შეასრულე დავალება, კარგად გაიაზრე მუსიკალური ცნებებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების მნიშვნელობა საკითხის შესწავლის პროცესში. შენს ნაშრომში კარგად ჩანს მუსიკის მახასიათებლებისა და გარე სამყაროს მოვლენებს შორის დანახული ურთიერთკავშირები, თუმცა, ვისურვებდი, რომ მეტად ჩანდეც ამა თუ იმ საკითხში განზოგადებული მსჯელობის უნარი.

კრიტერიუმი	აღწერილობა რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა ამის საფუძველზე	კომენტარი რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)
აბსტრაქტული დონე: მუსიკალური ხერხებითა და გარე სამყაროს ხმებით გარკვეული მხატვრული სახის შექმნაში ადგენს კანონზომიერებებს. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმებისა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ. საერთო მახასიათებლების მიხედვით არჩევს გარე სამყაროს ხმებს და მუსიკალურ ფრაგმენტებს რაიმე მხატვრული სახის შესაქმნელად (მაგ., ზამთრის პეიზაჟი). გარკვეული მახასიათებლების მიხედვით ირჩევს ხმებსა და მუსიკალურ ფრაგმენტებს, გადმოსცემს საერთო განწყობას. შეუძლია სხვა მხატვრული სახე მიუსადაგოს.	მოსწავლის მსჯელობა იყო არგუმენტირებული – თუ როგორ იქმნება ტრადიციული მუსიკალური ხერხებითა და გარე სამყაროს ხმებით გარკვეული მხატვრული სახე, მოვლენა, საგანი. ის მსჯელობისას მივიდა განზოგადებამდე და ჩამოაყალიბა გარკვეული კანონზომიერებები. კონკრეტულ საკითხზე მუშაობისას წარმოაჩინა საკუთარი ინტერპრეტაცია – თავად აირჩია ხმები, მუსიკალური ფრაგმენტები, გააანალიზა მუსიკის მახასიათებლები და გადმოგვცა საკუთარი ხედვა საკითხთან მიმართებით.	შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას და ნამდვილად იმსახურებ უმაღლეს შეფასებას. შენი მსჯელობა იყო არგუმენტირებული, იძლეოდა საკითხის განზოგადების შესაძლებლობას, ამდენად, შენი ხედვა, ინტერპრეტაცია არის ძალიან საინტერესო.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებული საგაკვეთილო სცენარები აგებულია

სწავლა-სწავლების ხუთ პრინციპზე.

I – **აქტიური სწავლა:** მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩაბმული შემოქმედებით პროცესებში: აქტიურად უპასუხონ შეკითხვებს, რომლებიც დასმულია მათი წინარე ცოდნის გათვალისწინებით და კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპის გამოყენებით ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობას იძლევა.

II – **წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირება:** ახალი მასალა მოსწავლეებს მიეწოდებათ თანდათანობით, ეტაპობრივად სათანადო დამუშავების გზით, რათა მივიყვანოთ ისინი ახალ ცოდნამდე.

III – **ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება:** სამიზნე ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეთა ცნობიერებაში შემოდის მუსიკალური მახასიათებლების განხილვის გზით.

IV – **სწავლის სწავლა:** მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მიეწოდებათ ზუსტად განერილი მითითებები, რომლებშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა და როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ.

V – **სწავლა-სწავლება მოიცავს ცოდნის სამ კატეგორიას (დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს):**

დეკლარირებული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, ნესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?

პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

ცნება მუსიკა

ქვეცნებები:

ბგერის თვისებები

ბგერის სიძლიერე – ხმამაღალი, ხმადაბალი, ფორტე, პიანო

ბგერის გრძლიობა – დიდი, საშუალო, მოკლე გრძლიობები

ბგერის სიმაღლე – მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრის ბგერები

ბგერის ტემპრი – უხეში, მჭექარე, დახშული, რბილი, ნკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო

რიტმი – მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო, მარშისებური, რიტმული ოსტინატო

ტემპი – ნელი, ზომიერი (საშუალო), სწრაფი

მეტრი – ძლიერი და სუსტი დრო

მელოდია

მელოდიის სახეობა – მღერადი, არამღერადი, აღმავალი, დაღმავალი, სევდიანი, მელოდია ნახტომებით

მელოდიის ხასიათი – იდუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი და ა.შ.

მელოდიაში ინტონაციები – ხმაბაძვითი ინტონაციები

ჰარმონია – კეთილხმოვანი (სასიამოვნო) ჰარმონია; არაკეთილხმოვანი (არასასიამოვნო) ჰარმონია;

ფორმა – ფორმის სტრუქტურული ერთეულები (დასაწყისი, შუა ნაწილი, კულმინაცია, დასასრული)

ჟანრი – ბალეტი, ოპერა, მიუზიკლი, კინომუსიკა, თეატრალური მუსიკა.

თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეული საკითხები:

მუსიკით აღწერა

მუსიკით განწყობის შექმნა

მუსიკით თხრობა

მუსიკით ემოციის გადმოცემა

თემა: მუსიკა და ტელევიზია

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:

მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა ტელეგადაცემა (გასართობი, ინფორმაციული, სამეცნიერო პოპულარული და ა.შ.) ფორმდება და ტელეგადაცემების ემოციური მუხტი და აგებულება (დაძაბული რეპორტაჟი, რელაქსაციური ხასიათის სატელევიზიო ნარკვევი და ა.შ.) გამოიხატება.

თემა: მუსიკა და თავისუფალი დრო

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:

მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს

მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის) გამოყენება თავისუფალ დროსთან დაკავშირებული ემოციების აღსაწერად.

თემა: მუსიკის როლი ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნების მიხედვით:

მუსიკა – მოსწავლემ უნდა შეძლოს

მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც ანიმაციური და საყმაწვილო კინოს პერსონაჟების თვისებები გადმოიცემა;

მუსიკალური ელემენტების (ხმების, ხმაურის, ბგერის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის) გაანალიზება, რომელთა საშუალებითაც ანიმაციურ თუ საყმაწვილო კინოში შინაარსი, განწყობა გადმოიცემა.

შედეგის ინდექსი	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს. დანყ. 1	ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს. დანყ. 2	ხმის, ხმაურის, მღერისა და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) საშუალებით გარე სამყაროზე საკუთარი წარმოდგენების ჩამოყალიბება/განვითარება;

მუს. დანყ. 3	გარე სამყაროს ამსახველი ხმოვანი გზავნილის ჩასანერად სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენება მუსიკის, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენის გასააზრებლად;
მუს. დანყ. 4	მუსიკალური ენის ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლზე მსჯელობა მხატვრული სახის (მაგ.: პერსონაჟის, პეიზაჟის) შექმნაში გარე სამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად;
მუს. დანყ. 5	მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა მუსიკით რაიმე მოვლენის აღსანერად ან ამბის გადმოსაცემად;
მუს. დანყ. 6	მუსიკალური ელემენტების (მაგ. ფორმის) გამოყენება იდეის განვითარების გადმოსაცემად და გასააზრებლად.

თემა	კომპლექსური დავალება
თემა 1. მუსიკა და ტელევიზია	პროგრამა Audacity დახმარებით ტექსტის, ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტების საშუალებით შექმენით რადიორეპორტაჟი, სადაც თქვენ ირგვლივ არსებული საახალწლო გარემოს შესახებ მოგვანოდებთ ინფორმაციას. საკითხი: მუსიკით აღწერა
თემა 2. მუსიკა და თავისუფალი დრო	მოცემულ სურათებს სადაც ასახულია სხვადასხვა გარემო დასვენებისთვის შეუსაბამეთ მუსიკალური ფონი. განსაზღვრეთ დასვენების სამი ეტაპი: დასაწყისი, შუა კულმინაციური ეპიზოდი და დასასრული. წერილობით ახსენით, რა ნიშნით შეარჩიეთ მუსიკალური ფონი დასვენების თითოეული ეტაპისთვის. საკითხი: მუსიკით განწყობის შექმნა
თემა 3. მუსიკის როლი ანიმაციაში	მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და გაშიფრეთ. აუდიოფრაგმენტის მუსიკალურ მახასიათებლებსა და ვიდეოკადრებზე დაკვირვებით დააკავშირეთ ისინი ერთმანეთთან. საკითხი: მუსიკით თხრობა

კომპლექსური დავალების პირობა მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და გაშიფრეთ. აუდიოფრაგმენტის მუსიკალურ მახასიათებლებსა და ვიდეოკადრებზე დაკვირვებით დააკავშირეთ ისინი ერთმანეთთან. საკითხი: მუსიკით თხრობა ნაბიჯი 1. მოუსმინეთ ორ აუდიოფრაგმენტს და უპასუხეთ კითხვებს, რა არის ასახული ჩანაწერში. ნაბიჯი 2. ნახეთ უხმო ეპიზოდები ანიმაციური ფილმიდან. მოუსმინეთ ჩანაწერებს და შემოხაზეთ კადრების შესაბამისი აუდიოფრაგმენტის ნომერი. ნაბიჯი 3. ამჯერად ნახეთ გახმოვანებული კადრები. ნაბიჯი 4. ახლა კი მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, განმეორებით ნახეთ უხმო ეპიზოდები ანიმაციური ფილმიდან და შეეცადეთ შეუსაბამოთ ერთმანეთს. უხმო ფრაგმენტის ანბანური აღნიშვნა დააწყვილეთ თქვენ მიერ შერჩეული აუდიოფრაგმენტის ციფრობრივ აღნიშვნასთან ისე, როგორც მაგალითშია მოცემული. ნაბიჯი 5. ახლა კი ნახეთ, ჩვენ როგორ მოვარგეთ შემოთავაზებული მუსიკა ფრაგმენტებს. დაემთხვა თქვენს ვერსიას?	გრძელვადიანი მიზნები:
ძირითადი საკითხი: მუსიკით ემოციის გადმოცემა, მუსიკით განწყობის შექმნა, მუსიკით თხრობა. ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: 1. როგორ გადმოიცემა ხმებით და მუსიკალური თანხლებით ანიმაციური ფილმის ამბავი? 2. როგორ ამოვიცნო ხმებსა და მუსიკალურ თანხლებაში ანიმაციური ფილმის ამბავი? 3. როგორ მივუსადაგო ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტების თანამიმდევრობა ანიმაციურ ფილმში მოყოლილ ამბავს?	სამიზნე ცნება: მუსიკა შედეგი: მუს. 4,5 ქვეცნებები რიტმი (მოძრაობა, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, აქცენტირებული, საცეკვაო). მელოდიის ხასიათი (იღუმალი, საშიში, მხიარული, სევდიანი, საზეიმო, დაძაბული, მშვიდი და ა.შ.). ბგერის სიმაღლე (მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრი). ბგერის ტემბრი (უხეში, მჭექარე, რბილი, წკრიალა, თბილი, სასიამოვნო/არასასიამოვნო). ტემპი (ნელი, ზომიერი სწრაფი). სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: 1.1. მუსიკა მოიცავს ყველაფერს, რაც გვესმის (ხმა, ხმაური), რაც ატარებს თავის თავში განწყობას, შინაარსს და ინვესტს ჩვენში გარკვეულ განცდას; 1.2. ხმა, ხმაური, მელოდია, რიტმი და ჰარმონია მუსიკის მთავარი მახასიათებლებია; 1.3. მუსიკალურ ნაწარმოებს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული.

**პრაქტიკული რჩევები მასწავლებლისთვის
(კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები)**

I ეტაპი. კომპლექსური დავალების ფორმა

ნაბიჯი 1. მოუსმინეთ ორ აუდიოფრაგმენტს და უპასუხეთ კითხვებს, რა არის ასახული ჩანაწერში:

რესურსი	იდეები აქტივობისთვის	სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები						
რესურსი 1. მოუსმინეთ ანიმაციური ფილმის აუდიოვერსიას. დაადგინეთ, ვინ შეიძლება იყოს ანიმაციური ფილმის პერსონაჟი. რესურსი 2. ანიმაციური ფილმი „ყურმა გაყოყორდა“, კომპოზიტორი ნ. მამისაშვილი. <table><tr><td>ეხმარება მაყურებელს აღიქვას ეპიზოდის განწყობა.</td><td></td></tr><tr><td>ეხმარება მაყურებელს აღიქვას პერსონაჟის ხასიათი.</td><td></td></tr><tr><td>ეხმარება მაყურებელს უფრო მძაფრად აღიქვას კადრში განვითარებული მოვლენები.</td><td></td></tr></table>	ეხმარება მაყურებელს აღიქვას ეპიზოდის განწყობა.		ეხმარება მაყურებელს აღიქვას პერსონაჟის ხასიათი.		ეხმარება მაყურებელს უფრო მძაფრად აღიქვას კადრში განვითარებული მოვლენები.		აქტივობა 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა. აქტივობა 2. დააკვირდით უხმო კადრებს ანიმაციური ფილმიდან „ყურმა გაყოყორდა“. მოუსმინეთ ამავე კადრების მუსიკალურ თანხლებას (აუდიოჩანაწერს) და შეეცადეთ დაადგინოთ: რომელი აუდიოჩანაწერი რომელ ვიდეოფრაგმენტს შეესაბამება? ცარიელ გრაფაში დააწყვილეთ კადრების ციფრობრივი და აუდიოჩანაწერის ანბანური აღნიშვნა. აქტივობა 3. ცოტა რამ პრეზენტაციის შესახებ.	რა მოქმედებები ვითარდება ამ დროს კადრებში? - რამდენი პერსონაჟის ამოცნობაა შესაძლებელი მუსიკით? - გამეორდა რომელიმე მუსიკალური დახასიათება პერსონაჟის ლაიტემის გამოყენებით? გამოიგონეთ რაიმე ამბავი და ჩაწერეთ ცარიელ ჩარჩოში. - ლაიტემის ხასიათიდან გამომდინარე, როგორია ეს პერსონაჟი, ხალისიანი, მარდი თუ სევდიანი?
ეხმარება მაყურებელს აღიქვას ეპიზოდის განწყობა.								
ეხმარება მაყურებელს აღიქვას პერსონაჟის ხასიათი.								
ეხმარება მაყურებელს უფრო მძაფრად აღიქვას კადრში განვითარებული მოვლენები.								

II ეტაპი. კომპლექსური დავალების შინაარსი

როგორ შეიძლება ანიმაციური ფილმის ეპიზოდისთვის მუსიკალური თანხლების შერჩევა?
როგორ შეიძლება ანიმაციური ფილმის მუსიკალური თანხლების გაშიფვრა?

რესურსი	იდეები აქტივობისთვის	სამიზნე ცოდნის კონსტრუირება-ზე ორიენტირებული შეკითხვები
ნახეთ ვიდეოფრაგმენტები ანიმაციური ფილმიდან „წუნა და წრუნა“ (უხმო). მოუსმინეთ სხვადასხვა ეპიზოდის მუსიკალურ თანხლებას ამავე ანიმაციიდან და ვიდეოჩანაწერის შესაბამისი გახმოვანება შემოხაზეთ. რესურსი 2. ნახეთ უხმო ვიდეოკადრები და ჩვენ მიერ შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტები შეუსაბამეთ. დაანწყილეთ ვიდეოფრაგმენტის ანბანური აღნიშვნა და აუდიოფრაგმენტის ნუმერაცია.	აქტივობა 1. ვიდეოფრაგმენტების გარჩევა. აქტივობა 2. მსჯელობა პერსონაჟის ხასიათის მიხედვით აქტივობა 3. აუდიოფრაგმენტების მორგება	რის მიხედვით დააკავშირეთ ვიდეო და აუდიოფრაგმენტები ერთმანეთთან, პერსონაჟის ხასიათის მიხედვით? • ვიდეოკადრების განწყობისა თუ პერსონაჟების მოქმედებების მიხედვით? • რომელ ვიდეოჩანაწერს მოარგეთ სადღესასწაულო მუსიკა? • რომელ ვიდეოჩანაწერს მოარგეთ აუდიოფრაგმენტი, რომელშიც ყურადღებას იქცევს ელექტრონული ბგერები? • რომელ ვიდეოჩანაწერს მოარგეთ მღერადი, სასიამოვნო მელოდია?

რესურსი	იდეები აქტივობისთვის	სამიზნე ცოდნის კონსტრუირება-ზე ორიენტირებული შეკითხვები						
რესურსი 1. ცხრილი. ვიდეო და აუდიოჩანაწერები იხ. ფაილი გაკვეთილი 65-66. <table><tr><td>პერსონაჟის ხასიათს</td><td></td></tr><tr><td>ფრაგმენტის განწყობას</td><td></td></tr><tr><td>კადრში ასახულ მოქმედებებს</td><td></td></tr></table>	პერსონაჟის ხასიათს		ფრაგმენტის განწყობას		კადრში ასახულ მოქმედებებს		აქტივობა 1. პერსონაჟის განწყობის ამოცნობა. აქტივობა 2. მსჯელობა პერსონაჟის მოქმედების მიხედვით. აქტივობა 3. აუდიოფრაგმენტების მორგება.	• რა თავისებურებებით გამოირჩევა ანიმაციურ კინოში ამბის გადმოცემის მანერა? • რა როლს თამაშობს მუსიკალური ენის ელემენტები მუსიკალურ თანხლებასა და გამოსახულებას შორის კავშირში? • რატომ არის საჭირო ანიმაციური კინოს მუსიკის თავისებურებების ცოდნა? • როგორ ვისაუბროთ მუსიკის თავისებურებებზე ანიმაციურ კინოში? • როგორ მეხმარება ანიმაციური ფილმის ვიზუალური მხარე მუსიკალური თანხლების თავისებურებებზე მსჯელობისას?
პერსონაჟის ხასიათს								
ფრაგმენტის განწყობას								
კადრში ასახულ მოქმედებებს								

სამიზნე ცნება მუსიკა	მოსწავლეს შეუძლია აღწეროს სამუშაო პროცესი:
აბსტრაქტული დონე ტრადიციული მუსიკალური ხერხებითა და გარე სამყაროს ხმებით გარკვეული მხატვრული სახის შექმნაში ადგენს კანონზომიერებებს. სთავაზობს ხმოვანი გზავნილის საკუთარ ინტერპრეტაციას, ხმებისა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ (მაგ., ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტის თანამიმდევრობა ანიმაციურ ფილმს მომაგონებს, სადაც ორი დაპირისპირებული ძალაა ნაჩვენები, ვინაიდან ამ ეპიზოდის მუსიკალურ გახმოვანებაში ნათლად ისმინება დაძაბული ჟღერადობის, მჭახე ტემბრისა და ნათელი, გამჭვირვალე ტემბრის, კეთილხმოვანი ჟღერადობის დაპირისპირება. ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტების მონაცვლეობა მომაგონებს ჩემი ხასიათის ცვალებადობას). საერთო მახასიათებლების მიხედვით არჩევს სამყაროს ხმებსა და მუსიკალურ ფრაგმენტებს რაიმე მხატვრული სახის შესაქმნელად	
მიმართებითი დონე პოულობს განსხვავებებს და მსგავსებებს გარე სამყაროს ხმებსა და ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს შორის და ამის საფუძველზე აკავშირებს მათ გარე სამყაროს სხვადასხვა მოვლენასა და საგანთან. ამოიცნობს ემოციურ მუხტს. მიზნობრივად იყენებს სათანადო ლექსიკას.	• აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე, რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენი მიერ მომზადებული დავალება? • როგორ შეავსე ცხრილი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
მულტისტრუქტურული დონე ამოიცნობს ხმის, ხმაურის, ტრადიციული მუსიკის მახასიათებლებს, აკავშირებს ვიზუალურ სახეებს და ემოციურ მუხტს. მაგრამ მიზნობრივად ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას. მუსიკალურ გზავნილს ვერ უკავშირებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ვერ ხსნის ემოციურ მუხტს.	• მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?
უნისტრუქტურული დონე ინტუიციურად ამოიცნობს ხმის ან ტრადიციული მუსიკის ცალკეულ მახასიათებლებს, უკავშირებს მათ გარე სამყაროს რაიმე ერთ კონკრეტულ მოვლენას ან საგანს, მაგრამ ვერ ხსნის თავის არჩევანს და ვერ იყენებს სათანადო ლექსიკას.	
პრესტრუქტურული დონე ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს ხმოვან გზავნილს, ვერ ამოიცნობს ხმოვანი გზავნილის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს გარე სამყაროს რაიმე მოვლენასთან ან საგანთან.	

სიტყვის კონა

ეს თქვენი „სიტყვის კონა“. როდესაც მუსიკის შესახებ ისაუბრებთ, ხშირად მოგვაკითხეთ და გაიხსენეთ რა თვისებები აქვთ ხმა-ბგერებს და რა მახასიათებლები აქვთ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

- **ბგერის სიმაღლე** შეიძლება იყოს წვრილი – მაღალი, ბოხი – დაბალი ან საშუალო.
- **ბგერას** შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა **ტემბრი**: რბილი, მჭახე, ხავერდოვანი, წკრიალა, დახშული, მოგუდული, ყრუ, მუქი, მყვირალა, თბილი.
- **ბგერა** შეიძლება **ჟღერდეს** ხანგრძლივად ან მოკლედ.
- **ბგერა** შეიძლება იყოს ძლიერი – ფორტე, პიანო – ჩუმი ჟღერადობისა.

მუსიკის მახასიათებლები

- **რიტმი**: მდორე, ცოცხალი, მკვეთრი, განმეორებადი, არაგანმეორებადი.
- **მელოდიის სახეობა**: აღმავალი, დაღმავალი, ნახტომებით, მღერადი, არამღერადი.
- **მელოდიის ხასიათი**: სევდიანი, მხიარული, საცეკვაო, მშვიდი, დაძაბული.
- **ტემპი**: სწრაფი, ნელი, საშუალო, აჩქარებით, შენელებით.
- **ფორმა**: დასაწყისი, შუა ეპიზოდი, დასასრული.
- **ჰარმონია**: კეთილხმოვანი – სასიამოვნო, არაკეთილხმოვანი – უსიამოვნო.

პირობითი ნიშნები



ნახე ვიდეო და მოუსმინე მუსიკალურ ფრაგმენტებს



ჩაწერე დავალება

თემა 1: მუსიკა და ტელევიზია

თემის ძირითადი მიზანია სატელევიზიო სივრცეში მუსიკის როლის გაცნობიერება, სხვადასხვა სახის სატელევიზიო გადაცემაში მუსიკის როლის განსაზღვრა და ამ მიზნით, ტელეგადაცემის ქუდის, ანონსის და რეკლამის შესაქმნელად მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენება. თანამშრომლობითი ურთიერთობით სატელევიზიო გადაცემის მომზადება და პრეზენტაცია. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

- სხვადასხვა სახის სატელევიზიო გადაცემაში მუსიკალური თანხლების აუცილებლობის გაცნობიერებითა და გააზრებით მუსიკის როლის განსაზღვრას შეძლებს;
- ტელეგადაცემებისთვის სწორად შეარჩევს მუსიკალურ მასალას;
- ტელეგადაცემის ვიზუალურ მასალას მუსიკასთან დააკავშირებს;
- ჯგუფურ მუშაობაში თანამშრომლობითი ურთიერთობით ჩაერთვება;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისა და პრეზენტაციის უნარს გამოავლენს;
- დამოუკიდებლად აზროვნებს, საკუთარ აზრს/მოსაზრებას ნათლად გამოხატავს და დაასაბუთებს.

1

ფიზიკური მომღერლები

აქტივობა 1

პირველ გაკვეთილზე გარკვეულ დროს მოსწავლეებთან ზაფხულის შთაბეჭდილებებზე საუბარს დავუთმობთ, – ისინი ყოველთვის უნდა გრძნობდნენ, რომ მასწავლებელს გულწრფელად აინტერესებს მათი ამბები, თავგადასავლები.

მას შემდეგ, რაც ბავშვებს მოიკითხავთ, მიმართეთ:

მოდით, ერთად შევასრულოთ სახალისო აქტივობა.

აჩვენეთ ვიდეორგოლი, შემდეგ დაუსვით კითხვები: (იხ. ელრესურსი).

- როგორ ფიქრობთ, აქ წამყვანი რიტმია თუ მელოდია?
- მეორდება თუ არა ეს რიტმი უცვლელად?
- ხომ არ გახსოვთ, რა ჰქვია დაჟინებულად გამეორებულ რიტმულ ფიგურაციას?



აქტივობა 2

შემდეგ განაგრძეთ ასე:

ძვირფასო ბავშვებო, ვაგრძელებთ მოგზაურობას მუსიკის სამყაროში.

ინტონაციებზე დაფიქრებით შეიგრძნობთ და ჩასწვდებით გენიალურ ქმნილებებს, ხალხურ სიმღერებსა თუ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ახლა მინდა სწორედ ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებელ ბიჭუნათა ლეგენდარულ გუნდ „მართვეზე“ გიამბოთ.

„მართვეში“ უამრავი **ლოტბარი** (მომღერალთა ანსამბლის ან გუნდის ხელმძღვანელი), წარმატებული დირიჟორი და მომღერალი აღიზარდა. ბიჭუნები ხელმძღვანელებთან, შესანიშნავ მუსიკოსებთან, ანზორ ერქომაიშვილსა და რამინ მიქაბერიძესთან ერთად მთელ მსოფლიოში მოგზაურობდნენ.

მათი საკონცერტო გამოსვლები ყოველთვის **ტრიუმფით** (დიდი წარმატებით, გამარჯვებით) მთავრდებოდა. პრესა საქებარ სიტყვებს არ იშურებდა. მომღერლები ყველაფერს ასწრებდნენ: კონცერტებზე გამოსვლას, ქალაქების დათვალიერებას, უცხოელ თანატოლებთან დამეგობრებასა და მათთან თამაშსაც კი.

ერთხელ გერმანიის ქალაქ ფრანკფურტთან ახლოს, გოსლარში, მორიგ **გასტროლზე** (საკონცერტო მოგზაურობა) ჩასულებმა ინგლისელი სპორტსმენი ბიჭუნები გაიცნეს და გადანწყვიტეს მათთან მეგობრული მატჩი გაემართათ. უფროსების წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებიც არწმუნებდნენ, კონცერტის წინ თამაში და გადაღლა არ შეიძლებაო, „მართევს“ ბიჭებმა ნებართვა მაინც მოიპოვეს და მატჩი გაიმართა.

მოხდა საოცრება. მომღერლებმა სპორტსმენებს მოუგეს და იქაც მაყურებლის ალტაცებული ოვაციები და აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

როცა მსაჯის სასტვენის ხმა გაისმა, ჩვენი ბიჭები მოედნის ცენტრში გამწკრივდნენ და „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ დააგუგუნეს. ინგლისელები გაოცებული შეჰყურებდნენ ამ უცნაურ ფეხბურთელ მომღერლებს. მათ „მართევ“ ფეხბურთელთა გუნდი ეგონათ, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ მომღერლები იყვნენ, ჯერ შერცხვათ, შემდეგ კი ჯენტლმენობა გამოიჩინეს, ყველა სათითაოდ გადაკოცნეს და გულწრფელად მიულოცეს გამარჯვება.

ანზორ ერქომაიშვილის მონათხრობის მიხედვით.



აქტივობა 3

მოასმენინეთ ქართული ხალხური სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ ბიჭუნათა გუნდის „მართევს“ შესრულებით.

სთხოვეთ იმსჯელონ მუსიკის მახასიათებლებზე.

მუსიკის მახასიათებლები
მელოდიის სახეობა: დაღმავალი, აღმავალი, მღერადი, არამღერადი
რიტმი: ცოცხალი, მდორე
მელოდიის ხასიათი: მშვიდი, ამაღლებული, საცეკვაო, სევდიანი, საზეიმო

- რა განწყობა გექმნებათ სიმღერის მოსმენისას?
- ა) ამაღლებული ბ) სევდიანი გ) იმედით სავსე დ) მხნე, ენერგიული



ჰარალალი, ქართველო, ხელი ხმალს იკარ, ჰარალალი, ჰარი-ჰარალო,
 ჰარალალი, დღე გათენდა დიდებისა, ჰარალალი, ჰარი-ჰარალო,
 ჰარალალი, თოფ-იარაღი აისხი, ჰარალალი, ჰარი-ჰარალო,
 ჰარალალი, ქართველო, ხელი ხმალს იკარ, ჰარალალი, ჰარი-ჰარალო.

შემდეგ ბავშვებისთვის მოსახერხებელ ტონალობაში ჩანერილი სანოტო ტექსტის მიხედვით დაუკარით და სთხოვეთ იმღერონ პატარა ეპიზოდი (რამდენიმე ფრაზა). თავად შეარჩიეთ, პირველ ხმას ამღერებთ თუ მეორეს. იმავდროულად, შეეცადეთ ყველა ხმა დაუკრათ. ამით დაეხმარებით ბავშვებს და გაუადვილებთ მღერას.

სიგლი I სპა ქართლური

პა რა ღა ღი ქარ - თვე - ღი სე - ღი სპაღი ი - კარ პა - რა - ღა - ღი

პა რა პა - რა - ღი პა - რა - ღა - ღი დღე - გა - თქ - ღა დი - დე - ბი - ზა

პა - რა - ღა - ღი პა რა პა - რა - ღი პა - რა - ღა - ღი თიშ - ა - ა - რა -

ღი ა - ბ - ხი პა - რა - ღა - ღი პა რა პა - რა - ღი პა - რა - ღა - ღი

დღე ღა - დე - გა - შარ - ჯე - ბი - ზა პა - რა - ღა - ღი პა რა პა - რა - ღი თ.



აქტივობა 1

აჰყევით სიმღერას და შეიქმენით დადებითი განწყობა (იხ. ელრესურსი).

**აქტივობა 2**

ძვირფასო ბავშვებო, ჩვენი რამდენიმე გაკვეთილის თემა ეთმობა მუსიკის როლს სატელევიზიო სივრცეში.

სატელევიზიო გადაცემების ხარისხის განსაზღვრაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მუსიკალური გაფორმებაა და მას მუსიკალური რეჟისორი აწესრიგებს.

მოდით, დღეს შევეცადოთ გავიცნოთ ეს საქმე და ჩავერთოთ პროცესში, გავხედოთ ხმის რეჟისორები და თქვენთვის უკვე ნაცნობი ტექსტისთვის მუსიკალური გაფორმება შევარჩიოთ. ამისთვის საჭიროა შევასრულოთ რამდენიმე მითითება.

უპირველესად რეგულში მოძებნეთ თავი „კომპიუტერული პროგრამები“ და გაარკვიეთ, პროგრამაში სამუშაოდ რომელი ლილაკების გამოყენებით შეძლებთ სასურველი შედეგის მიღწევას.

1. პროგრამა Audacity-ში ჩაწერეთ შემდეგი წინადადებები (ჩაწერისას გაითვალისწინეთ ტექსტის შინაარსი. სწორად შეარჩიეთ ტემპი და განწყობა):

„როცა მსაჯის სასტვენის ხმა გაისმა, ჩვენი ბიჭები მოედნის ცენტრში გამწკრივდნენ და „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ დააგუგუნეს“.

2. შეინახეთ ჩანაწერი.

3. პროგრამა Audacity-ში ჩატვირთეთ სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“. ამავე პროგრამის საშუალებით გამოყავით მუსიკალური წინადადება და შეინახეთ.

4. პროგრამა Audacity-ში შემოიტანეთ შენახული ვერბალური (სიტყვიერი) და მუსიკალური წინადადებები. მოარგეთ ერთმანეთს ისე, რომ ვერბალური წინადადება პირველი მოტივის შემდეგ დაიწყოს. ააჟღერეთ ორივე წინადადება ერთდროულად. ნამუშევარი მოასმენინეთ ერთმანეთს და იმსჯელეთ, ვის მიერ შესრულებული დავალება მოგეწონათ და რატომ?

ინფორმაცია მასწავლებელს!

თუ ვერ ხერხდება კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა, მაშინ შესაძლებელია ამ აქტივობის შესასრულებლად გამოიყენოთ მობილური ტელეფონი.

აქტივობა 3

ახლა კი მოუსმინეთ უკვე გამზადებულ კომპოზიციას „მსაჯის სასტვენი“ და უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ იწყება კომპოზიცია: ხმა/ბგერებით, სიმღერითა თუ ვერბალური ტექსტით?

- ვერბალური ტექსტი შემოდის სიმღერასთან ერთად თუ მოგვიანებით?

სიმღერის პარალელურად ისმის რაიმე სხვა ხმა/ბგერები? ჩამოთვალეთ ისინი.

კომპოზიციის დასასრულს ჟღერს: მხოლოდ სიმღერა, მხოლოდ ვერბალური ტექსტი, მხოლოდ ხმა/ბგერები?

ქვემოთ მოცემული დოკუმენტური ფილმების სათაურებიდან რომელი ფილმის ვიდეორგოლის გაფორმებისთვის შეიძლება გამოიყენოთ არსებული ჩანაწერი? შემოხაზეთ სწორი პასუხი:

- „გლობალური დათბობა და მყინვარების დნობა“
- „ბიჭუნათა გუნდი „მართვე“
- „ქართული ხალხური სადღესასწაულო სიმღერები“
- „ევროპის ულამაზესი ქალაქები“



„მსაჯის სასტვენი“

აქტივობა 1

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს:

სატელევიზიო გადაცემები გართობისა და დასვენების კარგი საშუალებაა. ადამიანი შინიდან გაუსვლელად უყურებს და იგებს, რა ხდება მსოფლიოში, ნახულობს ფილმებს, იუმორისტულ, სპორტულ, მუსიკალურ და სხვა გადაცემებს.

თქვენც გიყვართ ტელევიზორთან დროის გატარება. იქ ხომ უამრავი გასართობი და საინტერესო გადაცემაა! უყურებთ იმ გადაცემებს, რომლებიც გახალისებთ, კარგ განწყობას გიქმნით და, რაც მთავარია, სიამოვნებას განიჭებთ.

- გიყვართ ტელევიზორის ეკრანთან მოკალათება?
- რა სახის გადაცემებს უყურებთ ყველაზე ხშირად?
- რომელი გადაცემა სარგებლობს თქვენში ყველაზე მეტი პოპულარობით?
- რომელ გადაცემებს უყურებენ თქვენი ოჯახის წევრები?
- დააკვირდით სურათებს და ამოიცანით, რომელი გადაცემიდან არის ესა თუ ის სურათი?



თუ ამოიცანით გადაცემები, სურათის ქვეშ მიუწერეთ სახელები.

აქტივობა 2

მამართეთ მოსწავლეებს:

ალბათ იცით, რომ სატელევიზიო გადაცემების შექმნა სპეციფიკურ ცოდნას, პასუხისმგებლობასა და შრომას მოითხოვს. დიდი შემოქმედებითი გუნდის შემადგენლობაში არიან რეჟისორები, სცენარისტები, პროდიუსერები, ჟურნალისტები, ოპერატორები, კომპოზიტორები... სატელევიზიო გადაცემების მუსიკალურად გაფორმებაზე პასუხისმგებელი ხმის რეჟისორია.

- როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ მუსიკით გადაცემის ამოცნობა?
- რამდენად საინტერესო იქნებოდა თქვენთვის გადაცემის ყურება მუსიკალური თანხლების გარეშე?
- ენიჭება თუ არა მუსიკას განსაკუთრებული როლი სატელევიზიო გადაცემების მომზადებისას?
- გაიხსენეთ, რამდენი სხვადასხვა შინაარსის გადაცემა გინახავთ?
- გადაცემების მსვლელობისას მუსიკალური თანხლება უწყვეტად ჟღერს თუ მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებში?
- მიჰყვება თუ არა გადაცემის შინაარსს მუსიკალური თანხლება?

აქტივობა 3

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს სხვადასხვა გადაცემის მუსიკალურ თანხლებას, ხოლო მოსწავლეები ამოიცნობენ.



- რომელი გადაცემის მუსიკალური თანხლება ამოიცანით სწრაფად და მარტივად?
- რომელი გადაცემის თანხლების ამოცნობა გაგიჭირდა?
- რომელი ფრაგმენტი ჟღერდა ენერგიულად? ხალისიანად? დაძაბულად? მშვიდად?

ტელევიზიაში სხვადასხვა ჟანრის გადაცემები მზადდება: შემეცნებითი, გასართობი, საბავშვო, სპორტული, საინფორმაციო... ისინი ერთმანეთისგან გამოირჩევა სიუჟეტური (შინაარსობრივი) და სტილისტური (წყობა) ნიშნებით.

განმეორებით მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და დაუკავშირეთ ხაზებით გადაცემებს შინაარსის მიხედვით.

- სპორტული 1 
- საბავშვო 2 
- გასართობი 3 
- შემეცნებითი 4 
- საინფორმაციო 5 

აქტივობა 4

უპასუხეთ კითხვებს.

შეარჩიეთ სწორი მახასიათებლები:

- როგორი მელოდია ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც საბავშვო გადაცემასთან დააკავშირეთ: მღერადი, არამღერადი, ხალისიანი, სევდიანი?
- როგორი რიტმი ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც სპორტულ გადაცემასთან დააკავშირეთ: ცოცხალი თუ მდორე?

იმსჯელეთ როგორი ტემპი ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც გასართობი გადაცემისთვის შეარჩიეთ.

აქტივობა 1

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს: სატელევიზიო გადაცემები იწყება და სრულდება მუსიკალური თანხლებით, რომელსაც „მუსიკალურ ქუდს“ უწოდებენ.

ტელეგადაცემის შესავალში კარგად ამოიცნობა გადაცემის ხასიათი: გასართობია თუ საგანმანათლებლო, საინფორმაციო თუ საბავშვო. ამის ამოცნობაში კი სათანადო განწყობის ვიდეორგოლი და მუსიკა გვეხმარება.

გადაცემის მუსიკალური ქუდის მოსამზადებლად შეარჩევენ მცირე მუსიკალურ ნაწყვეტებს, რომლებიც უნდა ესადაგებოდეს გადაცემის შინაარსს.

ვიცით, რომ ტელევიზიაში სხვადასხვა სახის გადაცემა მზადდება: შემეცნებითი, გასართობი, საბავშვო, სპორტული, საინფორმაციო...

- მოუსმინეთ გადაცემების „მუსიკალურ ქუდებს“ და გამოიცანით, რომელი გადაცემის თანხლება გაჟღერდა: საბავშვოს, სპორტულის, საინფორმაციოს, შემეცნებითისა თუ გასართობის?
- რომელ ფრაგმენტში ისმის გაშლილი, ნათელი მელოდია და რომელ გადაცემას შეუსაბამეთ?



უპასუხეთ კითხვებს:

მოსმენილიდან ერთ-ერთი შემეცნებითი გადაცემის „მუსიკალური ქუდი“ იყო.

- როგორ ფიქრობთ, რის შესახებ შეიძლება ყოფილიყო ეს გადაცემა, ხელოვნებასა თუ კოსმოსურ ხომალდებზე?
- როგორი ხასიათის მუსიკა ჟღერს თითოეულში?
- რომელი საკრავები ამოიცანით?
- რომელ ფრაგმენტში ისმის გაშლილი, ნათელი მელოდია?
- რომელ ფრაგმენტში ჟღერდა ელექტრონული საკრავები?

აქტივობა 2

მიმართეთ მოსწავლეებს:

მოუსმინეთ მუსიკალურ ჩანაწერს. ნაიკითხეთ შემოთავაზებული გადაცემების სახელწოდებები.



ჰ. პერსელი. არია

- განსაზღვრეთ, რომელი გადაცემის „მუსიკალურ ქუდად“ შეიძლება გამოვიყენოთ? სწორი პასუხი შემოხაზეთ.

საბავშვო გადაცემა „მხიარული სტარტები“

შემეცნებითი გადაცემა „წიგნების თარო“

შემეცნებითი გადაცემა „რობოტექნიკა“

გასართობი გადაცემა „საბავშვო საბალეტო სტუდია“

აქტივობა 3

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაცემის მუსიკალური ქუდის მოსამზადებლად შეარჩევნ მცირე მუსიკალურ ნაწყვეტებს – **ფრაზებს**, რომლებიც უნდა ესადაგებოდეს გადაცემის შინაარსს.

რა არის ფრაზა?

მუსიკალური ფრაზა მელოდიის შედარებით დასრულებული ნაწილია, რომელშიც გადმოცემულია რაიმე დასრულებული მუსიკალური აზრი. მუსიკალური ფრაზა შედგება პატარა მოტივებისგან.

ასე გამოიყურება იმ აუდიოჩანაწერის სანოტო ტექსტი, რომელიც მოისმინეთ.

ეს ნაგებობა ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. დავხედოთ სანოტო მაგალითებს. მოვუსმინოთ პირველ და მეორე ნაწილებს და დავადგინოთ:




- რომელი მთავრდება ინტონაციით, რომელსაც კითხვის ნიშანს მოვარგებთ?
- რომელი მთავრდება ინტონაციით, რომელსაც წერტილს მოვარგებთ?



- თქვენი აზრით, რომელ ნაწილში ხდება აზრის განვითარება და რომელში აზრის დასრულება?

თუ სანოტო ჩანაწერს კარგად დავაკვირდებით და აუდიოჩანაწერს გულისყურით მოვუსმენთ, აღმოვაჩენთ, რომ აქ წარმოდგენილი ორივე ნაწილი კიდევ უფრო პატარა ნაწილებისგან შედგება. ესენია მოტივები და ფრაზები.



რა არის მოტივი?

დააკვირდით სანოტო გამოსახულებას და მოუსმინეთ შესაბამის აუდიოჩანაწერს. როგორც ხედავთ, ნაგებობის პირველი ნაწილი კიდევ უფრო პატარა ერთეულებად დავანაწევრეთ.

იცოდით, რომ მუსიკოსებმა მელოდიის ყველაზე გამომსახველ ერთეულს, რომელშიც ბგერები აქცენტის გარშემოა დაჯგუფებული, **მოტივი** დაარქვეს?

აქცენტი შეიძლება იყოს დასაწყისში, შუაში ან ბოლოში. მოდი, დაგიკრავთ და დავადგინოთ:

- სად ჯობს აქცენტის გაკეთება, პირველზე, შუასა თუ ბოლო ბგერაზე?
- სულ რამდენი ბგერისგან შედგება თითოეული მოტივი?
- როგორ ინტერვალებზეა სვლა მოცემულ მოტივებში?
-

მოტივი 1 *mf*

მოტივი 2

მოტივი 3

მოტივი 4

რა არის ფრაზა?

იცით, რომ მუსიკოსებმა რაიმე აზრის გაერთიანებისთვის გამოიგონეს ნიშანი, რომელსაც **ლიგა** დაარქვეს? დახედეთ სანოტო მაგალითს, სადაც პირველი და მეორე მოტივი ცალ-ცალკე ლიგებით არის აღნიშნული, მესამე და მეოთხე მოტივი ერთი ლიგის ქვეშ არის გაერთიანებული. შემთხვევას, სადაც ორი ან უფრო მეტი მოტივი ერთი ლიგის ქვეშაა გაერთიანებული, ან ერთ ნაგებობაში გაერთიანებულია მოტივების ჯგუფი, მუსიკოსებმა ფრაზა დაარქვეს.



მოტივი + მოტივი = ფრაზას.



მოტივი მოტივი

დააკვირდით დანაწევრებულ ნაგებობას და შეეცადეთ ცარიელ გრაფებში შესაბამისი განმარტება ჩაწეროთ. ფრაზაა თუ მოტივი?

- მოცემული მოტივები და ფრაზა დანომრეთ თანამიმდევრულად.



აქტივობა 1

წინა გაკვეთილებზე სხვადასხვა შინაარსის გადაცემის ქუდები გაარჩიეთ.

ახლა მსგავსი შინაარსის ტელეგადაცემების ქუდები განვიხილოთ, ოღონდ ამჯერად ერთმანეთს ვიდევორგოლებს შეადარებთ.

დააკვირდით ამ სამ ვიდევორგოლს. ისინი იმ გადაცემების ქუდებია, რომლებიც ბუნებას ეძღვნება, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით თითოეულ ვიდევორგოლს, მიხვდებით, რომ ყველა სხვადასხვა ხასიათისაა.

ნახეთ სამივე ვიდევორგოლი. ისინი ჯერ ხმის გარეშეა. ხმას მოგვიანებით შევურჩევთ. იმსჯელეთ:

- რომელ ვიდევორგოლს შეურჩევთ ფრაგმენტს, სადაც დაძაბული რიტმია?
- რომელ ვიდევორგოლს შეურჩევდით ფრაგმენტს, სადაც ჰაეროვანი მსუბუქი ტემბრის საკრავი ასრულებს მელოდიას?
- რომელ ვიდევორგოლს შეურჩევდით ფრაგმენტს, სადაც მღერადი გაშლილი მელოდია ჟღერს?
- რას ეძღვნება თითოეული ვიდევორგოლი?
- შეგიძლიათ დაასათაუროთ თითოეული ვიდევორგოლი?

**აქტივობა 2**

ახლა კი შეარჩიეთ თითოეული ვიდევორგოლისთვის სათანადო დახასიათება.

ყველაზე მშვიდი, ოდნავ სევდიანი ვიდევორგოლი


ყველაზე მძაფრი, შეტევითი და შიშის მომგვრელი ვიდევორგოლი

ყველაზე დიდებული, ქათქათა და სპეტაკი ვიდევორგოლი

აქტივობა 3

ქვემოთ მოცემულია სამი ფერის წრე.

- როგორ ფიქრობთ, რომელი ფერის წრე მოუხდება სურათებს? შეარჩიეთ ფერით, გააფერადეთ სურათის ქვეშ მოცემული წრე.



ახლა კი ნახეთ სწორი პასუხი.



აქტივობა 4

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

წინა აქტივობაში დავადგინეთ, თუ რა ხასიათის იყო თითოეული ვიდეორგოლი.

დროა თითოეულს სათანადო ხასიათის მუსიკალური თანხლება – მუსიკალური ქუდი შევურჩიოთ. თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ ამ ამოცანის გადაჭრა, დაუსვით ქვემოთ მოყვანილი კითხვები.

მოუსმინეთ ოთხ მუსიკალურ თანხლებას. სამი უნდა მიუსადაგოთ მოცემულ სურათებს, ხოლო ერთი ზედმეტი კი უნდა აღმოაჩინოთ და გადახაზოთ. სწორი ნუმერაცია შეიტანეთ სურათების ქვეშ მოცემულ ჩარჩოში.



უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი მუსიკალური თანხლება იყო ყველაზე მძაფრი და შეტევითი? დაასახელეთ ნომერი.
- რომელი მუსიკალური თანხლება იყო ყველაზე მშვიდი? დაასახელეთ ნომერი.
- რომელ მუსიკალურ თანხლებაში ისმის ყველაზე მძაფრად დასარტყამი ინსტრუმენტების ხმა? დაასახელეთ ნომერი.
- რომელი ფრაგმენტი ჟღერდა ჰაეროვნად, გამჭვირვალედ? დაასახელეთ ნომერი.
- რომელ ფრაგმენტში ჰყვება მუსიკას ადამიანის ხმა? დაასახელეთ ფრაგმენტი.
- დაასახელეთ ის ფრაგმენტი, რომელიც არ გამოდგება არცერთი სურათის მუსიკალურ ქუდად.

აქტივობა 5

სანამ ნახავთ ვიდეორგოლს ჩვენ მიერ შემოთავაზებული მუსიკალური ქუდის თანხლებით, მანამ შევასრულოთ ერთი დავალება.

დააკვირდით გრაფიკულ გამოსახულებას. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ მუსიკალურ ჩანაწერს და დაუკავშირეთ სურათებს, ხოლო ერთი გრაფიკული გამოსახულება ზედმეტია, რომელიც უნდა გადახაზოთ.



სწორი პასუხების დროა!

აქტივობა 6

უპასუხეთ კითხვებს:

- დაემთხვა თუ არა რომელიმე ვიდეორგოლის ჩვენებური გახმოვანება თქვენ მიერ გახმოვანებულ ვიდეორგოლს?
- რომელი ვიდეორგოლი დაემთხვა?
- როგორ ფიქრობთ, თქვენ რომ რეჟისორი ყოფილიყავით, ჩვენ მიერ გახმოვანებული ვიდეორგოლებიდან რომელს აირჩევდით ტელეგადაცემის ქუდად?
- რატომ აირჩევდით ამ ვიდეორგოლს?
- თქვენ მიერ გახმოვანებული ვიდეორგოლებიდან, რომელს აირჩევდით თქვენი ტელეგადაცემის ქუდად?
- რატომ აირჩევდით სწორედ ამ ვიდეორგოლს?

აქტივობა 1

რეკლამა ინფორმაციის გავრცელების საშუალებაა. ის სათავეს უძველესი დროიდან იღებს. **რეკლამა** ლათინური სიტყვაა და „ყვირილს“ ნიშნავს. მისი ფუნქცია სარეკლამო ობიექტისადმი მაყურებლის ყურადღების მიპყრობა და ინტერესის გაღვიძებაა. მუსიკა კი რეკლამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ნახეთ სარეკლამო რგოლები და უპასუხეთ კითხვებს:




- შემოთავაზებულ სარეკლამო ვიდეორგოლებში რას უკეთებენ რეკლამას?
- რა როლს ასრულებს თითოეულ ვიდეორგოლში მუსიკა?
- მხოლოდ მუსიკა ჟღერს თუ ხმებიც გესმით?
- ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ სარეკლამო რგოლებში ხმის ეფექტებიც (მაგ.: ნაბიჯების, ძრავას, სიცილის და ა.შ.) არის გამოყენებული?
- ხომ ვერ დაასახელებდით, რას მიუთითებდა თქვენ მიერ დასახელებული ხმები?
- რისთვის იყენებენ ხმებს?

აქტივობა 2

დააკვირდით სურათებს, ჩანერეთ რისი რეკლამირება ხდება, შემდეგ მოუსმინეთ მუსიკალურ ჩანაწერებს და ქვეშ ჩანერეთ სწორი ნუმერაცია.



1



2



3

მას შემდეგ, რაც შეასრულებთ დავალებას, უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი სარეკლამო რგოლის მუსიკალურმა თანხლებამ მიიქცია თქვენი ყურადღება და რატომ?
- რომელი რეკლამის მუსიკალური თანხლება ამოიცანით მარტივად?
- როგორ დაახასიათებდით მოსმენილ მუსიკალურ თანხლებას?
- რომელი იყო ყველაზე ნაზი?
- რომელი იყო ჯადოსნური?
- რომელი იყო ამაღელვებელი?
- რომელი იყო მადის აღმძვრელი?
- სად ჟღერდა მკაფიოდ მელოდია?
- სად ჟღერდა ხმის ეფექტი?

აქტივობა 3

შევასრულოთ სახალისო აქტივობა!

შოკოლადი მე, მე,

შოკოლადი შენ, შენ,

შოკო მე, შოკო შენ,

შოკოლადი ჩვენ!



აქტივობა 1

უჩვენეთ ბავშვებს რეჟისორ ნანა ჯანელიძის ფილმი „გალობის რაინდები“ (კომპოზიტორი მიხეილ მდინარაძე).

დროდადრო დაუსვით შეკითხვები და სთხოვეთ რვეულებში დააკვირდნენ ფოტოებს ნანახი კადრებიდან.

ფოტოების თავზე არსებული წინადადებები წაიკითხონ და დაასრულონ. ჩანერონ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების სახელები და გვარები.



..... პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი.

მან ჩანერა და დაკარგვას გადაარჩინა 5 532 საგალობელი.



ფილიმონ ქორიძის დაწყებული საქმე გააგრძელა.

აქტივობა 2

მას შემდეგ, რაც ფილმის ჩვენებას დაასრულებთ, დაუსვით კითხვები:

- ფილმის მუსიკალური თანხლებიდან რომელი ეპიზოდი ჩათვალეთ ყველაზე კეთილ-ხმოვნად?
- აქვე გაიხსენეთ ეპიზოდი, სადაც ყველაზე მძაფრი მუსიკალური თანხლება ჟღერდა?
- რომელ სახეობას მიაკუთვნებთ წარმოდგენილ ფილმს, მხატვრულ ფილმს თუ დოკუმენტურ ფილმს? იქნებ ამ ფილმში ორივე სახეობაა შერწყმული?

მას შემდეგ, რაც კითხვებს უპასუხებენ, სთხოვეთ ბავშვებს მოჰყვენინ იმას, რაც ფილმის ნახვის შედეგად შეიტყვეს.

მიმართეთ მოსწავლეებს: იცით, რა განსხვავებაა სატელევიზიო გადაცემის სიუჟეტს, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს შორის? მას შემდეგ, რაც პასუხებს მოისმენთ, განუმარტეთ ბავშვებს: სატელევიზიო სიუჟეტი არის მოკლე შეტყობინება რაიმე ფაქტზე ან მოვლენაზე. სატელევიზიო სიუჟეტის კადრებს თან ახლავს დიქტორის (მთხრობელის) ხმა. სატელევიზიო სიუჟეტში ხშირად დიქტორის ხმასთან ერთად ისმის მუსიკალური ფერაგენტები და ხმა/ბგერები.

დოკუმენტური ფილმი კინოხელოვნების სახეობაა, რომელიც გულისხმობს რეალური ისტორიული მოვლენებისა თუ რეალური ადამიანების ცხოვრებისა თუ საქმიანობის ასახვას. ის მოგვითხრობს რეალურ ამბებს და პრობლემებს, ეხება საზოგადოებრივი ცხოვრებას

მხატვრული ფილმი ისეთი ფილმია, რომელიც მაყურებელს უამბობს გამოგონილ ან ნახევრად გამოგონილ ამბავს. ასეთი ჟანრის (სახეობის) ფილმებში პერსონაჟები თუ მოვლენები მაყურებელს არწმუნებენ, რომ გამოგონილი ამბავი რეალურია (ნამდვილია).

აქტივობა 1

უჩვენეთ მოსწავლეებს დოკუმენტური ფილმი „მიზანდარების მუსიკალური დინასტია“.

იმავდროულად, სთხოვეთ რეულში დააკვირდნენ ფოტოებს. წაიკითხონ ფოტოების თავზე განთავსებული წინადადებები და დაასრულონ.

ჩანერონ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების სახელები და გვარები.



პიანისტი და კომპოზიტორი პირველი ქართველი
ვირტუოზი პიანისტი დაპირველი ქართული დასტამბული ნაწარმოების ავტორია.



..... შესანიშნავი პედაგოგი.
ივანე და ზაქარია ფალიაშვილების მასწავლებელიც იყო.



ფელიქს მიზანდარის შვილმა ჩამოაყალიბა პირველი ქართული სამხედრო
„სახალხო გვარდიის“ ორკესტრი, რომელიც სამხედრო მარშებს, პოლკებსა და იმ დროისთვის
გავრცელებულ სხვა პოპულარულ მუსიკას ასრულებდა.



„სახალხო გვარდიის“ ორკესტრი

აქტივობა 2

განმეორებით უჩვენეთ კადრები დოკუმენტური ფილმიდან და ჰკითხეთ:

- მუსიკალური თანხლების მოსმენისას რომელი საკრავების ხმა ამოიცანით? ჟღერდა ორკესტრიც?

სთხოვეთ ყურადღებით მოუსმინონ მუსიკალურ თანხლებას და ჩარჩოში ჩანერონ თანხლების ემოციის შესაბამისი ხატულები. მაგალითად, როდესაც მუსიკა კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს სიხარულის ან სევდის გამომსახველ ემოციას, აღნიშნონ შესაბამისი ხატულებით.

ცარიელი წრით აღნიშნეთ ეპიზოდები, რომლებიც ემოციური კუთხით ნეიტრალურია, მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ მოგვითხრობს.

დოკუმენტური ფილმი მიზანდარების საგვარეულო დინასტიის შესახებ.

ბოლოს ჰკითხეთ, ვის რამდენი მოლიმარი ხატულა აქვს, რამდენი მოწყენილი და რამდენი წრე? სთხოვეთ იმსჯელონ. დაასახელონ ის, რაც მანამდე არ იცოდნენ და ფილმიდან შეიტყვეს.

აქტივობა 3

მოასმენინეთ მუსიკა ფილმიდან „მიზანდარების საგვარეულო დინასტია“.

ვალერიან მიზანდარის „სამხედრო მარში“ და ალოიზ მიზანდარის საფორტეპიანო პიესა „აღმოსავლური მელოდია და ლეზგინკა“.

უჩვენეთ ბოლო ეპიზოდი უხმოდ და სთხოვეთ იმსჯელონ:

რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს შეარჩევდნენ მოცემული კადრების მუსიკალური გაფორმებისთვის?



ვ. მიზანდარი. „სამხედრო მარში“



ა. მიზანდარი. „აღმოსავლური მელოდია და ლეზგინკა“



- გაიხსენეთ, რა არის მარში?

უჩვენეთ ბავშვებს გახმოვანებული კადრები, რომ შეამოწმონ თავიანთი პასუხები.

მიმართეთ მოსწავლეებს

ახლა კი უპასუხეთ კითხვებს და შემოხაზეთ სწორი პასუხები.

- რა ნიშნით დაუკავშირეთ აუდიოფრაგმენტი ვიდეოკადრებს?
1. ემთხვეოდა ვიდეოფრაგმენტში ასახული მოძრაობების ტემპი აუდიოფრაგმენტის ტემპს;
 2. ემთხვეოდა აუდიოფრაგმენტის მელოდიის ხასიათი კადრში ასახულ განწყობას;
 3. ემთხვეოდა მარშისებური რიტმი კადრში ასახულ მოქმედებებს.

აქტივობა 4

სთხოვეთ მოსწავლეებს წაიკითხონ ღრუბლებში მოქცეული განმარტებები და საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე (გაიხსენონ, რაც მუსიკის ბოლო გაკვეთილებზე ნახეს ფილმებში) დაწერონ ჩამოთვლილი სიტყვებიდან განმარტებების შესაბამისი ისე, როგორც ეს პირველ მაგალითშია მოცემული.

ვირტუოზი ბის!	პარტიტურა ლეზგინკა	ბრავო! აპლოდისმენტი
.... ვირტუოზი ... მადლს, ტალანტს ნიშნავს; ადამიანი, რომელმაც ოსტატობის მწვერვალს მიაღწია.	 ხშირად აპლოდისმენტებს თან ახლავს შედარებით, ოვაციები. (იტალ.) ნიშნავს შესანიშნავია.	 მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერი. რომელიც შეიცავს ყველა ინსტრუმენტული თუ ვოკალური პარტიის ნოტებს.
..... შენახვას დაცვას ნიშნავს. უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სწავლობენ სხვადასხვა მუსიკალურ საკრავებზე დაკვრას სიმღერასა და მუსიკის მეცნიერებებს.	 კავკასიელი ხალხების: ქისტების, ჩეჩნების, ინგუშების ხალხური ცეკვაა	
..... მოწონების გამოხატვა ტაშის დაკვრით.	 მაყურებელთა შედარებითი გამოხატავს გარკვეული ნაწილის ან ნომრის განმეორების თხოვნას.	

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

სატელევიზიო გადაცემები და რადიოდადგმები სხვადასხვა თემას შეეხება: სპორტს, მეცნიერებას, ჯანმრთელობას, ხელოვნებას და ა.შ.

მოდი, ერთად შევექმნათ სატელევიზიო გადაცემის „ყველაფერი კლასიკური მუსიკის შესახებ“ ანონსი.



ფერენც ლისტი



1839 წელს ფ. ლისტმა წყალდიდობის მსხვერპლთა დასახმარებლად პეშტში (პეშტი უნგრეთის დედაქალაქის, ბუდაპეშტის აღმოსავლეთ ნაწილს ჰქვია) გამართა საქველმოქმედო კონცერტი

აქტივობა 2

ნაიკითხეთ ღრუბლებში ჩანერილი ტექსტი და შეეცადეთ თავად დანომროთ მოვლენების თანამიმდევრობა.



პარიზის ქუჩების ხმაური, ეტლების ბორბლების ჭრიალი, ცხენების ფლოქვების ხმები კარს მიღმა დარჩა.



აირბინა დიდებული სასახლის კიბე და მეგობარს გადაეხვია. მღელვარებისგან გული ისე უცემდა, თითქოს ამოვარდნას აპირებდა.



თვალი შეავლო ხალხით გადავსებულ დარბაზს. „მოდი, ასე მოვიქცეთ, – დამაჯერებლად, დიდი სითბოთი და პატივისცემით მიმართა ფერენცმა აქოშინებულ ახალგაზრდას, – მე დაკვრას დავინწყებ, შენ აქვე დაჯექი. რამდენიმე ფრაზას რომ დავასრულებ, შემცვალე. შემდეგ ანთებენ სანთელს და მსმენელი სიურპრიზს აღმოაჩენს“.



ვირტუოზის დაკვრით დატყვევებული პუბლიკა თითქოს არ სუნთქავდა, მთელი დარბაზი შოპენის მუსიკით აივსო.



კონცერტის დასასრულს არ წყდებოდა აღტაცებული ხალხის ტაში და შემახილები: „ბრავო!“ „ბის!“ როიალთან ქართველი ვირტუოზი ალოიზ მიზანდარი იდგა და პუბლიკას თავს უკრავდა. გვერდს კი უნგრელი კომპოზიტორი, ყველა დროის საუკეთესო პიანისტად აღიარებული, კეთილშობილი ფერენც ლისტი უმშვენებდა.

სავარაუდოდ, მოსწავლეები წარმოდგენილი თანამიმდევრობით დანომრავენ ტექსტს:

1. პარიზის ქუჩების ხმაური, ეტლების ბორბლების ჭრიალი, ცხენების ფლოქვების ხმები კარს მიღმა დარჩა.

2. აირბინა დიდებული სასახლის კიბე და მეგობარს გადაეხვია. მღელვარებისგან გული ისე უცემდა, თითქოს ამოვარდნას აპირებო.

3. თვალი შეავლო ხალხით გადავსებულ დარბაზს. „მოდით, ასე მოვიქცეთ, – დამაჯერებლად, დიდი სითბოთი და პატივისცემით მიმართა ფერენცმა აქოშინებულ ახალგაზრდას, – მე დაკვრას დავიწყებ, შენ აქვე დაჯექი. რამდენიმე ფრაზას რომ დავასრულებ, შემცვალე. შემდეგ ანთებენ სანთელს და მსმენელი სიურპრიზს აღმოაჩენს“.

4. ვირტუოზის დაკვრით დატყვევებული პუბლიკა თითქოს არ სუნთქავდა, მთელი დარბაზი შოპენის მუსიკით აივსო.

5. კონცერტის დასასრულს არ წყდებოდა აღტაცებული ხალხის ტაში და შეძახილები: „ბრავო!“ „ბის!“

როიალთან ქართველი ვირტუოზი ალოიზ მიზანდარი იდგა და პუბლიკას თავს უკრავდა. გვერდს კი უნგრელი კომპოზიტორი, ყველა დროის საუკეთესო პიანისტად აღიარებული, კეთილშობილი ფერენც ლისტის უმშვენებდა.



ირმა სვანიძის ფერწერა. „ფერენც ლისტი და ალოიზ მიზანდარი“

აქტივობა 3

მოისმინეთ ხმა/ბგერები და მუსიკალური ფრაგმენტები. დააკავშირეთ დანომრილი ტექსტის „ლისტის სიურპრიზი“ ეპიზოდებთან აუდიოჩანაწერების ანბანური აღნიშვნებით. შეავსეთ ცხრილი.



ფ. შოპენი. პოლონეზი ლა მაჟორი

აქტივობა 4

ნაბიჯი 1

ანონსისთვის შეარჩიეთ მოცემული ტექსტიდან რამდენიმე მთავარი ეპიზოდი. გაითვალისწინეთ ქრონომეტრაჟი ერთი წუთიდან წუთ-ნახევრამდე.

ნაბიჯი 2

პროგრამა Audacity-ს გამოყენებით ჩანერეთ ტექსტი და შეინახეთ.

ნაბიჯი 3

პროგრამა Audacity-ს გამოყენებით გადააბით მუსიკალური ფრაგმენტები და ხმა/ბგერები ტექსტის შინაარსის მიხედვით და შექმენით მუსიკალური კოლაჟი.

ნაბიჯი 4

დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, როგორ უნდა ჟღერდეს ანონსში წამყვანის ხმა, მუსიკალურ ფრაგმენტებსა და ხმა/ბგერებზე ხმამაღლა თუ უფრო ჩუმად?

თავად გადაწყვიტეთ, ანონსს წამყვანის ხმით დაიწყებთ თუ მუსიკალური ფრაგმენტით.

ნაბიჯი 5

შემდეგ ჩანერილი ტექსტი და მუსიკალური ფრაგმენტები ჩატვირთეთ პროგრამაში და ააჟღერეთ.

მოასმენინეთ კლასელებს. შეარჩიეთ საუკეთესო ნამუშევარი.

სთხოვეთ ბავშვებს უპასუხონ კითხვებს:

- რომელი საკრავი ამოიცანით?
- რა ხმა/ბგერები გამოიყენეთ ტექსტის გაფორმებისთვის?
- ტექსტის რომელი ეპიზოდისთვის შეარჩიეთ ყველაზე ენერგიული სადღესასწაულო მუსიკალური ფრაგმენტი?

აქტივობა 5

მიმართეთ მოსწავლეებს:

ვერბალური ტექსტის მუსიკალური გაფორმებისთვის ჩვენ გამოვიყენეთ ფრაგმენტი ფრანგული წარმოშობის პოლონელი კომპოზიტორის, ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებიდან.

ახლა კი ერთად მოვუსმინოთ შოპენის ეტიუდს და ვიმსჯელოთ:

- როგორი შინაარსის ვიდეოკადრების გაფორმებისთვის გამოიყენებდით ასეთ მუსიკას?



ფრედერიკ შოპენი



ფ. შოპენი. ეტიუდი თხზ. 10 №5

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ხმის რეჟისორი და გევალებათ შექმნათ სატელევიზიო ანონსის გახმოვანება.

ნაბიჯი 1

ნაიკითხეთ ღრუბლებში ჩანერილი ტექსტი და მოვლენების თანამიმდევრობა დანომრეთ.

როგორც ხედავთ, სამი ღრუბელი უკვე დანომრილია.

- გადაწყვიტეთ, ტექსტის რომელ ეპიზოდებს შეარჩევთ ანონსის შესაქმნელად?
- ტექსტიდან გამომდინარე, რისთვის შეიძლება შექმნათ ანონსი: გადაცემისთვის „ქართული ხალხური სადღესასწაულო სიმღერები“ თუ დოკუმენტური ფილმისთვის „ერქომაიშვილების თაობა“?

ჩანერეთ გრაფაში თქვენ მიერ შერჩეული გადაცემის სახელწოდება.

3

ბაბუა და მისი ძმები გავიდნენ აივანზე, თან გაიტანეს ხორცი და ღვინით სავსე კალათა, რომელშიც, ცხადია, სხვადასხვა ვერცხლის ფულიც ეყარა. ჩვენები ძველი მგალობელ-მომღერლები იყვნენ და მართლაც საოცრად არაჩვეულებრივად მღეროდნენ.

1

ბაბუას ესტუმრნენ ძმები, ძმისშვილები, ერქომაიშვილების რამდენიმე თაობა. ოჯახში მშვენიერი პურობა გაიმართა.

2

გამთენიისას კარს მეალილოები მოადგნენ „ალილოს“ სიმღერით. სხვათა შორის, მშვენივრად მღეროდნენ, ჩვენებსაც მოეწონათ.

4

ისე დადგნენ, რომ არ გამოჩენილიყვნენ. როცა ახალგაზრდებმა „ალილო“ დაამთავრეს, ძმებმა ერქომაიშვილებმა დაიწყეს აქედან „ალილო“. უნდა გენახათ, როგორ გაშეშდნენ მეალილოები.

5

როდესაც სიმღერა დასრულდა, გოცემული მეალილოები შებრუნდნენ და გაიქცნენ. ბაბუა დიდხანს უძახოდა, დაბრუნდით, დაბრუნდითო, მაგრამ ისინი აღარ დაბრუნებულან.

ნაბიჯი 2

- მოისმინეთ ხმა/ბგერები, მუსიკალური ფრაგმენტები და გაშიფრეთ.
- განსაზღვრეთ: მოცემული ჩანაწერებიდან რომელი შეიძლება დააკავშიროთ ღრუბლებში ჩანერილი ტექსტის ამა თუ იმ ეპიზოდთან.
- ახლა კი შეავსეთ ცხრილი: მარცხენა მხარეს მოცემულია ღრუბლებში ჩანერილი ტექსტის ნუმერაცია. მოსმენილი აუდოჩანაწერებიდან შეარჩიეთ შესაბამისი მუსიკალური ფრაგმენტი და მისი ანბანური აღნიშვნა ჩანერეთ მარჯვნივ.



ა) სუფრა ბუხართან



ბ) თოვლში სიარული, ქარის ზუზუნის, გურული „ალილო“ I ვარიანტი



გ) გურული „ალილო“ II ვარიანტი



დ) თოვლში სირბილის ხმა

შეავსეთ ცხრილი

ლრუბლებში ჩანერილი ტექსტის ნუმერაცია	მუსიკალური ფრაგმენტები
1	ა) სუფრა ბუხართან
2	ბ) თოვლში სიარული, ქარის ზუზუნი, გურული ალილო (! ვარიანტი)
3	გ) გურული ალილო (განსხვავებული ვარიანტი)
4	დ) თოვლში სირბილის ხმა

ნაბიჯი 3

მოსმენილ კომპოზიციებში ისმოდა ცეცხლის ტკაცატკუცი, ჭურჭლის ხმა, ფრაგმენტი „მრავალჟამიერიდან“, ქარის ზუზუნი. ფრაგმენტი გურული „ალილოდან.“

- ჩამოთვლილიდან რომლის ჟღერადობა იყო ყველაზე რბილი ტემბრის?

- ყველაზე წკრიალა ტემბრის?

- რომელი ხმა ჟღერდა ხანგრძლივად?

- რომელი სიმღერა მოგეჩვენათ უფრო სადღესასწაულო განწყობის – მეალილოების თუ მასპინძლების ნამღერი?

ნაბიჯი 4

წაიკითხეთ ლრუბლებში განთავსებული უკვე თანამიმდევრულად დანომრილი ტექსტი, ჩაწერეთ პროგრამა Audacity-ში და შეინახეთ აუდიოფაილის სახით.

ნაბიჯი 5

პროგრამა Audacity-ს გამოყენებით გადააბით მუსიკალური ფრაგმენტები და ხმა-ბგერები. ტექსტის შინაარსის მიხედვით შექმენით მუსიკალური კოლაჟი.

ნაბიჯი 6

- დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, ანონსში როგორ უნდა ჟღერდეს წამყვანის ხმა: მუსიკალურ ფრაგმენტებსა და ხმა/ბგერებზე ხმამაღლა თუ უფრო ჩუმად?
- თავად გადაწყვიტეთ, ვიდეორგოლს წამყვანის ტექსტით დაიწყებთ თუ მუსიკალური ფრაგმენტით?

ნაბიჯი 7

შემდეგ ჩაწერილი ტექსტი და მუსიკალური ფრაგმენტები ჩატვირთეთ პროგრამაში და ააჟღერეთ. მოასმენინეთ კლასელებს. ვისი ნამუშევარი მოგეწონათ? რატომ?

რუბრიკა – შეიქმენი საახალწლო განწყობა

აქტივობა 1

- გაიხსენეთ, ახალი წლის დღეებში როგორი მუსიკა ჟღერდა თქვენ ირგვლივ?
- გაიხსენეთ სატელევიზიო გადაცემები, რომელთა მუსიკამაც მიიქცია თქვენი ყურადღება?

შემდეგ მიმართეთ:

მოუსმინეთ ჯონი მარკსის სიმღერას „ტკბილი, მხიარული შობა“ და დასმულ კითხვაზე შეარჩიეთ სწორი პასუხი:

- როდის შეიძლება მოისმინოთ ეს სიმღერა?
- ა) როდესაც მგზავრობთ მანქანით.
- ბ) როდესაც მეგობრებს შეხვდით და სამაგიდო თამაშებს თამაშობთ.
- გ) როდესაც მეგობრებთან ერთად ცეკვა და გართობა გადწყვეტით.
- დ) ეს სიმღერა შეიძლება მოვისმინოთ ნებისმიერ დროს.

აქტივობა 2

სთხოვეთ მოსწავლეებს თავდაპირველად წაიკითხონ ქვემოთ მოცემული კითხვები. შემდეგ უჩვენეთ სიმღერის „ტკბილი, მხიარული შობა“ რამდენიმე ვიდეოჩანაწერი. დააკვირდნენ ვიდეოკადრების მონაცვლეობას, მოუსმინონ მუსიკალურ თანხლებას და თითოეული ვიდეოს ნახვის შემდეგ უპასუხონ კითხვებს:

- რომელ ჩანაწერში ჟღერს სოლისტისა და ანსამბლის მონაცვლეობა?
- რომელი ჩანაწერის მუსიკალური თანხლება ჟღერს შედარებით სწრაფ ტემპში?
- რომელ ჩანაწერში იქცევა ყურადღებას აკუსტიკური საკრავები და რომელში – ელექტრონული?
- რომელ ჩანაწერში ისმის გამოკვეთილად ჯაზის ინტონაციები?
- თქვენი აზრით, რომელიმე ვიდეოჩანაწერის თანხლება დაემთხვა ერთმანეთს?



ჯ. მარკსი. „ტკბილი, მხიარული შობა“

აქტივობა 3

სთხოვეთ ბავშვებს დააკვირდნენ სანოტო ტექსტს, კიდეც ერთხელ მოასმენინეთ რომელიმე ჩანაწერი და დაუსვით კითხვები:

- როგორი ფრაზებისგანაა აგებული სიმღერა, გრძელი თუ მოკლე?
- როგორია მელოდიის სახეობა: მღერადი, ნახტომისებური, აღმავალი, დაღმავალი?
- როგორია მელოდიის ხასიათი: უდარდელი, ლალი, საცეკვაო, სევდიანი, მშვიდი?
- როგორია სიმღერის რიტმი: ცოცხალი თუ მდორე?

A Holy Jolly Christmas

აქტივობა 4

გავაგრძელოთ საახალწლო განწყობის შექმნა და რამდენიმე სხვადასხვა სტილის საშობაო სიმღერას მოვუსმინოთ.

- გსმენიათ სპირიტუელის შესახებ?

მას შემდეგ, რაც პასუხებს მოისმენთ, განმარტეთ:

ამერიკაში საშობაოდ სრულდება სპირიტუელი, რომელიც ამ ქვეყანაში აფროამერიკელთა ფოლკლორის ტრადიციებზე აღმოცენდა. ასეთი ნაწარმოებების შემსრულებელი სცენაზევე ქმნის მუსიკას, რასაც **იმპროვიზაცია** ჰქვია. სპირიტუელსმა დიდი გავლენა მოახდინა ამერიკულ პროფესიულ მუსიკაზე, მათ შორის ჯაზზე.

- მოუსმინეთ სპირიტუელს და უპასუხეთ კითხვებს:
- როგორი ინტონაციები ისმის: საზეიმო, ამაღლებული, ჩაფიქრებული, სევდიანი, ხალისიანი?
- ნაწარმოებში მკვეთრად იცვლება განწყობა?



ამერიკული სპირიტუელი

ჯაზი – პროფესიული მუსიკის სახეობაა, რომელიც აფროამერიკელთა ფოლკლორის საფუძველზე აღმოცენდა ამერიკაში. ჯაზის შემსრულებლები ხშირად იყენებენ: საქსოფონს, საყვირს, ტრომბონს, კლარნეტს, ფორტეპიანოს, კონტრაბასს, ბას-გიტარას, დასარტყამ საკრავებს.

ახლა კი სამი განსხვავებული შესრულებით მოუსმინეთ ამერიკელი კომპოზიტორის, ჯეიმს პიერპონტის სიმღერას „რეკავენ ზარები“ და დაადგინეთ, რომელ ჩანაწერში ისმის ამ სიმღერის ვარიანტი აკაპელა შესრულებით, რომელში – ვოკალურ-ინსტრუმენტული (ორკესტრი და გუნდი) და რომელ ჩანაწერში ჟღერს ჯაზორკესტრი?



1



2



3

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: პროგრამა Audacity დახმარებით ტექსტის, ხმებისა და მუსიკალური ფრაგმენტების საშუალებით შექმენით რადიორეპორტაჟი, სადაც თქვენ ირგვლივ არსებული საახალწლო გარემოს შესახებ მოგვანოდებთ ინფორმაციას.

საკითხი: მუსიკით თხრობა.

ნაბიჯი 1

- როგორ გადმოვცე სიტყვიერი ტექსტით საახალწლო რეპორტაჟის განწყობა?

დაათვალიერეთ საახალწლოდ მორთული სკვერები, ცენტრები, ქუჩები ან სულაც დათოვლილი მთები და ველები;

ჩანერეთ თქვენი შთაბეჭდილებები საახალწლო გარემოზე ხმოვანი გზავნილების სახით ტელეფონში.

ნაბიჯი 2

- როგორ გამოვხატო ხმებით და მუსიკით საახალწლო განწყობა?

შემოთავაზებული ხმები შეუსაბამეთ თქვენი რეპორტაჟის მსვლელობას;



თოვლში სიარულის ხმა, ბავშვების გუნდაობის ხმები.

შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებიდან შეარჩიეთ თქვენი საახალწლო რეპორტაჟისთვის შესაბამისი მუსიკალური ფრაგმენტები.



ჯ. გერშვინი. „მე მაქვს რიტმი“, დვორჟაკი სიმფონია №9, ჯ. მარკსი „ტკბილი მხიარული შობა“, ფ. ლისტი რაფსოდია №11, მ. რაველი „ზღაპრული ბალი“.

ნაბიჯი 3

- როგორ შევქმნა მუსიკით და ხმებით კოლაჟი საახალწლო რეპორტაჟისთვის?

ხმებისაგან და მუსიკალური ფრაგმენტებისგან შექმენი მუსიკალური კოლაჟი და (გაითვალისწინე რეპორტაჟის ქრონომეტრაჟი);

ჩატვირთეთ ტექსტი კომპიუტერულ პროგრამაში Audacity და დაადეთ თქვენს მიერ შექმნილი კოლაჟი, როგორც მუსიკალური თანხლება.

ნაბიჯი 4

ახსენი, რა ნიშნით შეარჩიეთ მუსიკალური ფრაგმენტები ამა თუ იმ გარემოსთვის?

ნამუშევარი წარუდგინეთ კლასს.



მსჯელობა დაიწყო ასე: როდესაც საახალწლო რეპორტაჟში დათოვლილი მთების შესახებ ვისაუბრე, ამ ეპიზოდს მოვარგე მუსიკალური ფრაგმენტი, რომელსაც მღერადი ნახტომისებური მელოდია და ისეთივე მძლავრი ჟღერადობა ჰქონდა, როგორც ეს დათოვლილი მთები გამოიყურება.

ან ასე: როდესაც აღვწერე სხვადასხვა ფერის ციმციმა ნათურებით მორთული სკვერი, ისეთივე ცოცხალი რიტმის, მხიარული მელოდიისა და სწრაფი ტემპის ფრაგმენტი მოვარგე, როგორი გარემოც იყო ამ სკვერში ა. შ.

განმარტეთ ვრცლად:

თემა 2: მუსიკა და თავისუფალი დრო

თემის ძირითადი მიზანია, თავისუფალ დროს აქტიური და პასიური დასვენების სხვადასხვა ფორმის მუსიკასთან ერთობლიობაში მოაზრებით მუსიკის როლის განსაზღვრა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

ცალკეული მუსიკალური ინტონაციებით, მელოდიური და რიტმული ფიგურაციებით აქტიური და პასიური დასვენების განწყობას აღწერს;

- თავისუფალ დროს დასვენების სხვადასხვა ფორმაში მუსიკის მნიშვნელოვან როლს გააცნობიერებს;
- დასვენების სხვადასხვა ტიპისთვის (აქტიური და პასიური დასვენება) შეარჩევს შესაბამის მუსიკალურ ფონს.
- სხვადასხვა აქტივობაში თანამშრომლობითი ურთიერთობით ჩაერთვება;
- არსებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპით ადვილად იაზრებს და ითავისებს ახალ ინფორმაციას.
- დამოუკიდებლად მსჯელობს და საკუთარ აზრს ასაბუთებს.

27

დილა არის მზიანი

აქტივობა 1

მუსიკა და ტექსტი თ. თევდორაშვილისა

1. დილა არის მზიანი,
მივიჩქარით სკოლაში,
ჩვენთან არის ხალისი,
სიცილი და კისკისი.
ვმღერით ყველა
ლა, ლა, ლა.
ვცეკვავთ ყველა
ლა, ლა, ლა.

2. დილა არის მზიანი,
მივიჩქარით სკოლაში,
ჩვენთან არის ხალისი,
სიცილი და კისკისი.
ვშრომობთ ყველა
ლა ლა ლა.
ვსწავლობთ ყველა
ლა, ლა, ლა.

3. დილა არის მზიანი,
მივიჩქარით სკოლაში,
ჩვენთან არის ხალისი,
სიცილი და კისკისი.
ჩვენ ყოველ დღეს შევხარით,
ჩვენ ერთმანეთს შევხარით,
ჩვენ ერთმანეთს ვუღიმით,
ჩვენ ლამაზ დღეს ვუღიმით.

მოასმენინეთ მოსწავლეებს სიმღერა და სთხოვეთ დააკვირდნენ მოცემულ ტექსტს. ერთი და იმავე ფანქრით შემოხაზონ ის კუპლეტები, რომლებშიც მუსიკა და ტექსტი მეორდება.

სხვადასხვა ფერის ფანქრით შემოხაზონ ის კუპლეტები, სადაც ტექსტიც და მუსიკაც იცვლება.

მოსწავლეებმა იმსჯელონ, რამდენჯერ გამეორდა ერთი და იგივე კუპლეტი და ასევე მუსიკა, ამის შემდეგ უთხარით, რომ ეს **რონდოს** ფორმაა. რონდო ფრანგულად **ნრეს** ნიშნავს.


ერთსა და იმავე მუსიკალურ თემას – **რეფრენს** მოსდევს განსხვავებული მუსიკალური თემები – **ეპიზოდები**.

- მოგაგონათ ამ სიმღერამ რონდოს ფორმა?

აქტივობა 2

სთხოვეთ დააკვირდნენ სურათს და იმსჯელონ:

- რა მსგავსება-განსხვავება იპოვეთ?
- დააკვირდით ფიგურებს. რამდენია მსგავსი და რამდენი განსხვავებული?



შემდეგ ნახონ ვიდეო ლ. ვ. ბეთჰოვენის „რონდო“ და იმსჯელონ:

- რატომ იყო ზოგი ველი ერთი ფერით აღნიშნული და ზოგიც განსხვავებულით?
- მელოდია უცვლელი იყო თუ ზოგჯერ იცვლებოდა?
- რა მოგაგონათ მუსიკალური თემების ასეთმა მონაცვლეობამ?

აქტივობა 3

განმეორებით მოუსმინეთ სიმღერას „დილა არის მზიანი“.

ცხრილში შემოხაზეთ შესაბამისი მახასიათებლები.

ბგერის მახასიათებლები
სიმაღლე: მაღალი, საშუალო, დაბალი რეგისტრის ბგერები
ბგერის სიძლიერე: ჩუმი-პიანო, საშუალო, ხმამაღალი-ფორტე
ბგერის ტემპრი: დახშული, ხავერდოვანი, წკრიალა, მჟღერი, სასიამოვნო, მუქი, ნათელი.

აქტიური და პასიური დასვენება

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

დაახარისხეთ წინადადებები. შეავსეთ ცხრილი. შევსებული ცხრილის შედეგები კი გაუზიარეთ თანაკლასელებს.

მუსიკის მოსმენა.
სპორტული თამაშები.
წიგნის კითხვა.
მოგზაურობა.
ცურვა.
ხატვა.
ჭადრაკის თამაში.
მეგობრებთან ერთად გა-
სეირნება.

აქტიური დასვენება	პასიური დასვენება

დააკვირდით სურათებს და აღწერეთ, შემდეგ მოუსმინეთ სხვადასხვა მუსიკალურ ფრაგმენტს და დაუკავშირეთ მოცემულ სურათებს.



განმეორებით მოუსმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები და შეავსეთ ცხრილი.

- 1
- 2
- 3
- 4

აქტიური დასვენება ფრაგმენტი	პასიური დასვენება ფრაგმენტი

აქტივობა 2

მიმართეთ მოსწავლეებს:

წაიკითხეთ, როგორი დასვენება სჭირდება სხვადასხვა საქმით დაკავებულ ადამიანს.

ხშირად ადამიანს უცხო ხალხთან უნევს მუშაობა. მისთვის ყველაზე კარგი ბუნების წიაღში, ან პიკნიკზე ოჯახის წევრებთან ერთად დასვენებაა.

ადამიანის საქმიანობა თუ სხვა ადამიანის თანაგრძნობა, დამშვიდება და რჩევების მიცემა, საუკეთესო დასვენება მისთვის მშვიდ, მყუდრო ოთახში განმარტოება იქნება.

როცა ადამიანი ფიზიკურად შრომობს და ბევრ ენერგიას ხარჯავს, მისთვის საუკეთესო დასვენება ოთახში სანოლზე ან ბაღის კუთხეში ჰამაკში წამოწოლაა.

ზოგიერთ ადამიანს სამსახურში ბევრი ახალი იდეის მოფიქრება სჭირდება. მათთვის ყველაზე კარგი დასვენება ხატვა, ძერწვა ან სხვა რაიმე ხელსაქმეა.



აქტივობა 3

მოუსმინეთ ხუთ მუსიკალურ ფრაგმენტს და დაუკავშირეთ ტექსტში მოცემულ ჩანაწერებს, შემდეგ ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ შესაბამისი ნომერი. ერთი მუსიკალური ფრაგმენტი ზედმეტია, რომელიც უნდა გადახაზოთ.



ბ. ენო. „ოცნების პეიზაჟი“



ა. ფარველი. „დასასრული“

ახლა კი უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენი აზრით, რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში იგრძნობა არამკვეთრად გაშუქებული კუთხე?
- როგორ ფიქრობთ, რით არის ეს ეფექტი მიღწეული?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მიუსადაგეთ ხატვასა და ძერწვას? რატომ? მშვიდი, ნელი ტემპის გამო, მღერადი მელოდიის გამო თუ ორივე მახასიათებელი გაითვალისწინეთ?
- რას გამოძერწავდით ამ მუსიკის ფონზე?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი არ შეარჩიეთ? რატომ?
- როგორ აღწერდით მეოთხე ფრაგმენტის მელოდიას?
- როგორ ფიქრობთ, რა აქვს საერთო ყველა ამ მუსიკალურ ფრაგმენტს?
- რომელი მუსიკალური ფონის მოსმენისას შეასრულებდით რაიმე ენერგიულ საქმიანობას?
- როგორ აღწერდით ამ ფრაგმენტების რიტმს?

შეამოწმეთ პასუხები!



3




5



2



1



აქტივობა 4

განმეორებით მოუსმინეთ სამ ფრაგმენტს და კითხვების გასწვრივ უჯრაში შესაბამისი ფრაგმენტის ნომერი ჩაწერეთ:

1. ბ. მარსი; 2. ე. გრიგი; 3. ჟ. ოფენბახი. 

- რომელი ფრაგმენტი გამოირჩევა მღერადი, გაშლილი მელოდიით?

2

- რომელ ფრაგმენტში ისმოდა გაბმული, გრძელი ბგერის ფონზე გამჭვირვალე ჰაეროვანი მელოდია?

2

- რომელი ფრაგმენტი იწყებოდა მოკლე, ჩუმი ბგერებით?

3

- რომელ ფრაგმენტში ჟღერდა ცოცხალი რიტმი, ენერგიული მელოდია?

1

რუბრიკა – აღმოაჩინე კონცერტი**აქტივობა 1**

დაიწყეთ გაკვეთილი თხრობით:

ძვირფასო ბავშვებო! იცით, რომ იყო დრო, როდესაც არ არსებობდა ტელევიზია, არც რადიო, არც კომპიუტერული თამაშები, არც ელექტრონერგია, არც ინტერნეტი და არც ამდენი მანქანა. ის, რაც ჩამოვთვალეთ, დღეს ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად ამისა, მუსიკა მაშინაც, ისევე როგორც დღეს, ჟღერდა ყველგან: საკულტო ნაგებობებში რელიგიური რიტუალების შესრულებისას, სამეფო კარის მეჯლისებზე, სახალხო დღესასწაულებზე. ევროპის ქვეყნების: გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა თუ გაერთიანებული სამეფოს ქუჩებში ისმოდა მრავალფეროვანი ჰანგები, რომლებსაც ქმნიდნენ და თვითონვე ასრულებდნენ არტისტები: შპილმანები, გაუკლერები, ტრუბადურები, ჟონგლიორები.

მე-17 საუკუნეში, 340 წლის წინ, ინგლისელმა სამეფო კარის მუსიკოსმა, ჯონ ბანისტერმა ლონდონში ქალაქის მცხოვრებთათვის მოაწყო მსოფლიოში პირველი სახალხო კონცერტი, სადაც გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ ყველას შეეძლო დასწრება და მუსიკის მოსმენა. ასე ჩაეყარა საფუძველი კონცერტებს.

მას შემდეგ, რაც თხრობას დაასრულებთ, ჰკითხეთ:

- როცა თავისუფალი დრო გაქვთ, ესწრებით კონცერტებს?
- უსმენთ ტელევიზიით საკონცერტო ჩანაწერებს?
- შეგიძლიათ გაიხსენოთ, რომელი კონცერტები მოგისმენიათ ტელევიზიით?
- რომელ კონცერტებს დასწრებიხართ დარბაზებში?
- ვინ ასრულებდა? რა ინსტრუმენტზე უკრავდნენ მუსიკოსები? ვოკალური მუსიკაც ჟღერდა?
- ორკესტრი ასრულებდა თუ სოლისტი? რომელმა კონცერტმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

მიმართეთ ბავშვებს:

მოუსმინეთ ორ ჩანაწერს და იმსჯელეთ, რა ტიპის დასვენებისთვის შეარჩევდით ასეთ მუსიკას.

დაასაბუთეთ თქვენი გადანწყვეტილება.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორი ტიპის დასვენებისთვის შეარჩიეთ მუსიკალური ფრაგმენტი, სადაც ცოცხალი, მოძრავი რიტმი, სწრაფი ტემპი, ხალისიანი მელოდია ჟღერდა?
- როგორი ტიპის დასვენებისთვის შეარჩიეთ მუსიკალური ფრაგმენტი, სადაც მღერადი, გაშლილი მელოდია ჟღერდა, ფრაგმენტის ტემპი იყო ნელი, საკრავის ტემბრი ნათელი?



ფ. შოპენი. ეტიუდი №5, თხზ. 10



ი. ჰაიდნი. კონცერტი საყვირისთვის

აქტივობა 2

მიმართეთ ბავშვებს:

ამჯერად დროში ვიმოგზაუროთ.

- თქვენი აზრით, როგორ ისვენებდნენ ძველ დროში თქვენი თანატოლები და მათი მშობლები? ესწრებოდნენ სახალხო დღესასწაულებს, მეჯლისებს, მოილხენდნენ სუფრასთან, ტკბებოდნენ ბუნებაში ლამაზი პეიზაჟების ხილვით? თამაშობდნენ გასართობ თამაშებს?

ახლა დააკვირდით სურათებს და აღწერეთ.

- ამოიცანით, სად რომელი დასვენების ტიპია ასახული?



პ. მარტენი. „სამეფო მეჯლისი“



პ. ბიოლი. „პარკი სასახლის წინ“



მე-15 საუკუნის მანუსკრიპტი jardin de verteuse.

მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს ძველი დროის კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან და მოცემულ სურათებთან დააკავშირეთ.



დ. სკარლატი. სონატა დო-მაჟორი



ჯ. დოულენდი. „სამეფო მარში“



უცნობი ავტორი „ჩაკონა“

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ სურათს მიუსადაგეთ მუსიკალური ფრაგმენტი, სადაც თქვენი ყურადღება მიიქცია სადღესასწაულო საცეკვაო ხასიათის მელოდიამ დაღმავალი და აღმავალი სვლებით, დინჯმა ტემპმა?
- რომელ სურათს მიუსადაგეთ მუსიკალური ფრაგმენტი, სადაც ჟღერდა ხალისიანი მელოდია და ცოცხალი მოძრავი რიტმი.
- რომელ სურათს შეუსაბამეთ ფრაგმენტი, სადაც კეთილხმოვანი (სასიამოვნო) ჰარმონია და გამჭვირვალე ტემბრის ბგერები ისმოდა?
- თქვენ როგორ დაისვენებდით ასეთი მუსიკის ფონზე?

აქტივობა 1

როგორც უკვე ვთქვით, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები დასვენების სხვადასხვა ფორმას ირჩევენ.

ზოგი აქტიურს, ზოგიც პასიურს.

მიმართეთ ბავშვებს:

მოუსმინეთ ფრაგმენტებს ლეროი ანდერსონის ნაწარმოებებიდან და იმსჯელეთ:

- დასვენების რომელ ტიპს მოუხდება ასეთი მუსიკალური ფონი?
- როგორ გარემოში დასვენებისას მოისმენდით ამ ჩანაწერებს?
- მოცემული ჩანაწერებიდან რომელი გამშვიდებთ, განგანყოფთ ოცნებისთვის?
- რომელი ფრაგმენტის მოსმენისას ივსებით ენერგიით?
- რომელი ფრაგმენტის მოსმენა განიჭებთ სიხარულის განცდას?



ლ. ანდერსონი. „მივიწყებული ოცნება“



ლ. ანდერსონი. „ციგებით გასეირნება“



ლ. ანდერსონი. „მეზუკეთა არდადეგები“

აქტივობა 2

განმეორებით მოუსმინეთ ფრაგმენტებს და უპასუხეთ კითხვებს:

- მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელ ფრაგმენტში ჟღერდა ცოცხალი რიტმი, მოკლე გრძლიობის ბგერები, სწრაფი ტემპი, ხალისიანი მელოდია აღმავალი და დაღმავალი სვლებით?

ცარიელ გრაფაში ჩაწერეთ შესაბამისი ფრაგმენტის სახელწოდება.

- მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელ ფრაგმენტში ჟღერდა მღერადი მელოდია, სადაც ისმოდა ნახტომები დიდ ინტერვალებზე? ამ ფრაგმენტს აქვს ნელი ტემპი?

ცარიელ გრაფაში ჩაწერეთ შესაბამისი ფრაგმენტის სახელწოდება.

- რომელ ფრაგმენტში ჟღერდა რიტმული ოსტინატო და ჟღარუნა ტემბრის ხმები?

ცარიელ გრაფაში ჩაწერეთ შესაბამისი ფრაგმენტის სახელწოდება.

დააკვირდით სურათებს, აღწერეთ და მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებთან დააკავშირეთ.

დაასაბუთეთ, რა მახასიათებლებით დააკავშირეთ მუსიკალური ფრაგმენტები და სურათები ერთმანეთთან.

იმსჯელეთ: მაგ., ცოცხალი რიტმის, სწრაფი ტემპისა და ხალისიანი მელოდიის მექონე ფრაგმენტი დავაკავშირე სურათთან, რომელზეც ასახულია ხალისიანი, ენერგიული გარემო.

ასე დაახასიათეთ დანარჩენი ფრაგმენტებიც.



მხატვარი ლინდა მარსი

აქტივობა 3

მიუთითეთ ბავშვებს სურათზე და განუმარტეთ: **ლეროი ანდერსონი** ამერიკელი კომპოზიტორი და პიანისტი. მისი ნაწარმოებები: „პიესა საბეჭდი მანქანისა და ორკესტრისთვის“, „უმნიშვნელო რამ“, „ციგებით სრიალი“, „ბალეტი ზუმფარისა და ორკესტრისთვის“, „სინკოპირებული საათი“ და სხვ. გამოირჩევა იუმორით, ხმაბაძვითი ინტონაციებით, განსაკუთრებული მელოდიურობით. ლეროი ანდერსონი წერდა მუსიკას ტელეშოუებისთვისაც.



აქტივობა 1

მიმართეთ ბავშვებს: თვალი გააყოლეთ გერმანელი კომპოზიტორის, რობერტ შუმანის ნაწარმოების სანოტო ტექსტის ვიდეოჩანაწერს (ამ პიესას „ქორალი“ ჰქვია. სიტყვა ქორალი საეკლესიო გალობის, სასულიერო მუსიკის ერთ-ერთი სახეობაა. ძირითადად ნელ ტემპში, თანაბარი გრძლიობებით აგებული ნაწარმოებია. ზოგიერთმა კომპოზიტორმა შექმნა ქორალური ტიპის საფორტეპიანო პიესები. მათ შორისაა რ. შუმანის „ქორალი“ საფორტეპიანო ციკლიდან „საყმაწვილო ალბომი“.

პარალელურად გადახედეთ კითხვებს და ვიდეოჩანაწერის მოსმენის შემდეგ უპასუხეთ კითხვებს:

- რა ტიპის დასვენებისთვის შეარჩევდით ამ პიესას?
- როგორ მოძრაობენ ბგერები ზედა ხმაში, ნახტომებით დიდ ინტერვალებზე თუ მდორედ გადადიან მეზობელ ბგერებზე?
- როგორია ნაწარმოების ტემპი?
- რომელი საკრავი ამოიცანით?
- როგორი ფრაზები აღმოაჩინეთ, გრძელი თუ მოკლე?



რ. შუმანი. „ქორალი“ საყმაწვილო ალბომიდან

აქტივობა 2

მიუთითეთ მოსწავლეებს ორ ფოტოზე და განუმარტეთ:

რობერტ შუმანი გერმანელი კომპოზიტორია. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-19 საუკუნეში. მას დაწერილი აქვს საფორტეპიანო ნაწარმოებები: „საყმაწვილო ალბომი“, „საბავშვო სცენები“ და სხვ.

შუმანის მეუღლე კლარა ვიკი გამოჩენილი პიანისტი იყო. რობერტსა და კლარას რვა შვილი ჰყავდათ.

კლარა ბევრ ქვეყანაში მართავდა კონცერტებს, სადაც შუმანის ნაწარმოებებს ასრულებდა.



რ. შუმანის „საყმაწვილო ალბომი“ 43 პატარა პიესისგან შედგება, მათ შორის არის „კნეხტ-რუპრეხტი“.

გახსოვთ, კნექტ-რუპრექტი ის სანტა-კლაუსის დამხმარეა! გადმოცემის თანახმად, კნექტ-რუპრექტი უწყრება ურჩ ბავშვებს, ხოლო სანტა ყველას ანუგეშებს.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორი მოტივებითაა აგებული, გრძელთ თუ მოკლეთი?
- როგორია ამ პიესის ტემპი?
- რამდენი სხვადასხვა პერსონაჟის ამოცნობაა შესაძლებელი?
- რამ მიგითითათ ამაზე: რეგისტრებისა და ტემბრის ცვლილებამ თუ ტემპის ცვლილებამ?
- ამ ნაწარმოებში თუ არის ეპიზოდი, რომელიც შეიძლება სიხარულის განცდას დაუკავშიროთ?



ინფორმაცია მასწავლებელს!

შეგახსენებთ, რომ ძველად პიესა „კნექტ-რუპრექტი“ ითარგმნებოდა, როგორც „თოვლის ბაბუა“, რაც სწორი არაა. კნექტ-რუპრექტი არის რელიგიური პერსონაჟი, რომელიც, ტრადიციულად, საახალწლო მსვლელობისა და საჩუქრების დარიგების დროს თან ახლდა წმ. ნიკოლოზს.

აქტივობა 1

მოუსმინეთ რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს და შემოხაზეთ იმ ფრაგმენტების ნომრები, რომლებიც, თქვენი აზრით, აქტიურ დასვენებას მოუხდება.



ბ. ევანსი. „როდესაც მე შემიყვარდება“



გ. ყანჩელი. მუსიკა ფილმიდან „არ დაიდარო“



ლ. ანდერსონი. „მეზუკეთა არდადეგები“



ო. პიტერსონი. „ტალღა“

- რის მიხედვით შეარჩიეთ აქტიური დასვენებისთვის მუსიკალური ფრაგმენტები?
- თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური ფრაგმენტია ყველაზე ენერგიული?
- როგორ ფიქრობთ, რატომ?
- რას გააკეთებდით ამ მუსიკალური ფრაგმენტის ფონზე?
- როგორი დასვენება წარმოგიდგენიათ თქვენ მიერ არჩეული მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენისას?

აქტივობა 2

მოუსმინეთ რამდენიმე ინსტრუმენტის ხმას. რომელი ინსტრუმენტია გამოყენებული ამ მუსიკალურ ფრაგმენტში? შემოხაზეთ ნომერი.



გ. ყანჩელი. მუსიკა ფილმიდან „არ დაიდარდო“

აქტივობა 3

გამოთქვით ვარაუდი, რომელ ინსტრუმენტს ეკუთვნის თქვენ მიერ შერჩეული ხმა?



ქსილოფონი



მარიმბა



ვიბროფონი

- თქვენი აზრით, რომელი ინსტრუმენტების ხმა მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ხისგან არის დამზადებული?
- რომელი ინსტრუმენტის ბგერა მიუთითებს იმაზე, რომ ის სპილენძისგან არის დამზადებული?
- რომელი ინსტრუმენტის ხმა არის ყველაზე წვრილი?
- როგორ დაასრულებთ ამ წინადადებას: „აქტიური დასვენების დროს ჩვენ ვირჩევთ ისეთ საქმეს, რომელიც...“

აქტივობა 1

მოასმენინეთ ბავშვებს ჩანაწერები. სთხოვეთ სამი ჩანაწერიდან ერთ-ერთი მოცემულ სურათთან დააკავშირონ.



კ. ამირეჯიბი „მგზავრები“



ნ. დიასამიძე. „დროს როცა უნდა, თოვს“



იმერული მგზავრული



გ. ფ. ჰენდელი. მუსიკა წყალზე, „მენუეტი“

- მოსმენილი ფრაგმენტებიდან, რომელ ფრაგმენტს შეარჩევდით თქვენი პასიური დასვენებისთვის? რატომ?

აქტივობა 2

მიმართეთ მოსწავლეებს: ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ მუსიკა ჟღერს ყველგან: მაღაზიებში, კვების ობიექტებში, გასართობ ცენტრებში, საგამოფენო სივრცეებში, სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებზე.

ძველ დროშიც ასე იყო – მუსიკა ჟღერდა ყველგან. იცით, რომ გერმანელმა კომპოზიტორმა, გეორგ ფრიდრიხ ჰენდელმა მეფეთა სეირნობისთვის დაწერა მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც დაარქვა „მუსიკა წყალზე“. ძველად, როდესაც ინგლისის მეფე მდინარეზე ნავით სეირნობდა, უკან მიჰყვებოდა მეორე ნავი მუსიკოსებით, რომლებიც მას მშვენიერი ჰანგებით ატკობდნენ. ისინი უკრავდნენ სხვადასხვა საცეკვაო მუსიკას, რომლებშიც ბუნების ხმები აისახებოდა. ერთ-ერთი იყო **მენუეტი**. ეს ცეკვა საფრანგეთში დაიბადა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ახლა კი განმეორებით მოვუსმინოთ რამდენიმე ჩანაწერს და დავადგინოთ:

- რომელ ჩანაწერს შეარჩევდით თქვენი მგზავრობის ან სეირნობის გასალამაზებლად?
- მუსიკის რა მახასიათებლების მიხედვით მიიღეთ ეს გადანწყვეტილება, სწრაფი ტემპის, ხალისიანი მელოდიის, ცოცხალი რიტმის თუ სხვ.?

იმსჯელეთ ასე: მაგ.,

მე შევარჩიე სწრაფი მუსიკალური ფრაგმენტი, ვინაიდან ავირჩიე ის მუსიკა, რომელიც აქტიურ დასვენებას დაუწყავშირე და ა.შ.

შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ჩაიხედონ „სიტყვის კონაში“ და მსჯელობისას მუსიკის მახასიათებლები გამოიყენონ.

აქტივობა 3

მიმართეთ ბავშვებს:

მუსიკაზე ფიქრიც კი განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. მოუსმინეთ ამერიკელი კომპოზიტორის, ჯ. გერშვინის საორკესტრო პიესას „ამერიკელი პარიზში“ და დაწერეთ თქვენი შთაბეჭდილება. დაიწყეთ ასე:

როდესაც ამ ნაწარმოებებს ვუსმენ, თვალწინ წარმომიდგება
პერსონაჟი. იგი

სანამ ბავშვები წერას დაიწყებენ, დაუსვით დამხმარე კითხვები:

- რა ხმები შეიძლება გაიგონოს ახალგაზრდამ პარიზის ქუჩებში?
- როგორია ეს ქუჩები, ყოველთვის გადატვირთული და ხმაურიანი თუ პატარა, მშვიდი და წყნარი?

ნაწარმოების მოსმენისას, რაზე მიგითითებს მღერადი, მელოდიური თემა:

ა) ახალგაზრდა ამერიკელი შეხვდება გოგონას, რომელსაც შეიყვარებს.

ბ) ახალგაზრდა ამერიკელი კარგ ამინდს შეხარის.

- იმ ქუჩებში, სადაც ახალგაზრდა სეირნობს, ჟღერს თუ არა ჩასაბერ საკრავთა ორკესტრის ხმები?
- როგორ მთავრდება ამერიკელის პარიზული თავგადასავალი?

რუბრიკა – აღმოაჩინე საკრავები


აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

მათთვის, ვისაც მჯდომარე სამუშაო რეჟიმი აქვთ, განტვირთვისა და დასვენების საუკეთესო ფორმა მოგზაურობაა. ზოგჯერ მოგზაურობა პროფესიის შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, ბევრს მოგზაურობენ არტისტები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, სპორტსმენები.

გახსოვთ ჩვენი მეგობრები, თომა, ნანიკო და ანა? ანას მამიკომ ბავშვებთან ერთად სამოგზაუროდ წასვლა გადაწყვიტა. მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს, რომელშიც თომას, ანასა და ნანიკოს თავგადასავალია მოთხრობილი.

შეეცადეთ ა, ბ, გ, დ აუდიოჩანაწერები მათში მოთხრობილი მოქმედებების თანამიმდევრობით დანომროთ.



ინდური საკრავები



სიტარა



ბანსური



დამრუ



ტაბლა

აქტივობა 2

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ვერბალური ტექსტის ჩანაწერებს დაალაგებენ, უჩვენეთ ვიდეო „ინდური რაგა“ და დაუსვით კითხვები:

- როგორი ტემბრი აქვს სიტარას: ბრწყვიალა, ხავერდოვანი, გამჭოლი, მოგუდული, თბილი, უხეში, რბილი?
- როგორი სიმაღლის ბგერების აღება შეუძლია სიტარას? დაბალი, მაღალი, საშუალო თუ მხოლოდ დაბალი?

მიმართეთ ბავშვებს: როგორც მონათხრობიდან გაიგეთ, სცენაზე მაყურებლის თვალწინ რაიმეს სახელდახელოდ შეთხზვასა და შესრულებას **იმპროვიზაცია** დაარქვეს.

მოუსმინეთ ჩანაწერ №2-ს – რავი და ანუშკა შანკარების „გაკვეთილი იმპროვიზაციას“.

შეიძლება რავი შანკარის სიმღერას იმპროვიზაცია დაარქვათ? უპასუხეთ კითხვას:

- რავი შანკარი „გაკვეთილზე“ მღერის, რასაც შემდეგ ანუშკა შანკარი სიტარაზე იმეორებს. რა იქცევს ამ ჩანაწერში ყურადღებას: ნახტომები დიდ ინტერვალებზე თუ სვლები უახლოეს ბგერებზე?



ანუშკა



რავი შანკარი და ჯორჯ ჰარისონი



ინდური კლასიკური მუსიკის ჟანრი „რაგა“



რავი და ანუშკა
შანკარების იმპროვიზაციული გაკვეთილი.

იცოდით, რომ ინდოეთის ქალაქ აგრამი დიდ მოგოლთა იმპერატორმა, შაჰ-ჯაჰანმა საყვარელი მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად ააგო თავ-მაჰალის მავზოლეუმი (სასახლე გვირგვინი). მავზოლეუმი 1631-1653 წლებში შენდებოდა არქიტექტორ ჯ. ვერონიოს პროექტის მიხედვით. მის აგებაში ოცი ათასზე მეტი ოსტატი მონაწილეობდა.



აქტივობა 3

მოუსმინეთ „დილის რაგას“* და შეარჩიეთ: როგორი ტიპის დასვენებისას მოისმენდით ამ ნაწარმოებს?

- ა) მეცადინეობებს შორის, როდესაც ცოტა ხნით გჭირდებათ განტვირთვა
- ბ) მაშინ, როდესაც მეგობრებთან ერთად ერთობით
- გ) მაშინ, როდესაც მანქანით მგზავრობთ
- დ) ძილის წინ

ახლა კი ჩარჩოში ჩაწერეთ თქვენი აზრი, თუ რატომ შეარჩიეთ ამა თუ იმ ტიპის დასვენებისთვის „დილის რაგა“.

მსჯელობა დაიწყეთ ასე: „ვინაიდან „დილის რაგასთვის“ დამახასიათებელია ნელი ტემპი, მღერადი მელოდია და ა.შ.“



ინდური „რაგა“ ბანსურის,
ვიოლინოსა და სიტარების შესრულებით

*ინდური კლასიკური მუსიკის ჟანრში „რაგაში“ გამოარჩევენ დილის, შუადღისა და საღამოს რაგას. გადმოცემის თანახმად, რაგას მოსმენისას ადამიანში სხვადასხვა ნიჭი და უნარი იღვიძებს. ამბობენ, რომ რაგას ავადმყოფის განკურნებაც შეუძლია.

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

მოუსმინეთ ჩანაწერებს, რომლებიც კვლავ ჩვენი გმირების მოგზაურობისა და დასვენების ამბებს მოგვითხრობს.

დანომრეთ მოქმედებები თანამიმდევრობით. რომელი ჩანაწერი რომელ ქვეყანაში ყოფნას ასახავს?



ამის მიხედვით ჩანაწერის ნომერი ცხრილში შესაბამისი ქვეყნის გასწვრივ ჩანერეთ.

საქართველო	
იაპონია	
შოტლანდია	



პაგოდა

აქტივობა 2

უჩვენეთ ვიდეოჩანაწერები ბავშვებს და სთხოვეთ დაასახელონ, რომელია შოტლანდიური გუდასტვირების შოუ, რომელი ინდური კლასიკური მუსიკის ჟანრი „რაგა“ და რომელი იაპონური თეატრის „ბუგაკუს“ სახეობა?



აქტივობა 3

დააკვირდით გამოსახულებებს. მოუსმინეთ ჩანაწერებს და თითოეული შესაბამის გამოსახულებასთან დააკავშირეთ.



აქტივობა 4

განმეორებით მოუსმინეთ ჩანაწერებს წინა აქტივობიდან და იმსჯელეთ:

- ამათგან რომელი შეიძლება შეარჩიოთ დასვენებისთვის?
- რომელ ჩანაწერს ვერ მოარგებთ დასვენების ვერცერთ ტიპს?
- იმსჯელეთ იმ ნაწარმოების შესახებ, რომელიც შეარჩიეთ დასვენების რომელიმე ტიპისთვის.
- ახსენით, რა მახასიათებლების გამო მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?
- იმსჯელეთ იმ ჩანაწერზე, რომელიც დასვენების ვერცერთ ტიპს ვერ მოარგეთ და რატომ? ზედმეტად დაძაბული რიტმი, ზედმეტად ძლიერი, ხმამაღალი ჟღერადობა ჰქონდა და ბრძოლისთვის უფრო განაწყობს, ვიდრე დასვენებისთვის, თუ მაღალ რეგისტრში ჟღერდა ცოცხალი რიტმი და მოძრავი ტემპი ჰქონდა?

აქტივობა 5

განმეორებით მოუსმინეთ ჩანაწერებს და ფრაგმენტის ნომერი ჩანერეთ შესაბამის მუსიკალურ დახასიათებას მიუწერეთ.

მუსიკალური დახასიათება	ფრაგმენტის ნომერი
გუდასტვირებისა და რიტმული ნაბიჯების ჟღერადობა ენერგიით ავსებს მსმენელს.	
დასარტყამი საკრავები ძველი დროის მამაცი მეზრდოლის ისტორიას მოგვითხრობენ.	
ამ სიმღერაში ჟღერს სადა, მღერადი მელოდია, მდორე რიტმი, ნელი ტემპი. ეს ყველაფერი ამშვიდებს მსმენელს.	



***ინფორმაცია მასწავლებლისთვის:** მთხრობელი ჩანაწერში ჰყვება ძველი წეს-ჩვეულების შესახებ. ნათქვამია, რომ ინფექციურ დაავადებას „ბატონებს“ სიმღერით მკურნალობდნენ. შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით ინფექციურ დაავადებებს ექიმის მეთვალყურეობა სჭირდება.

აქტივობა 1

მოგზაურობის დასასრულს ნანიკო, თომა და ანა მშობლებთან ერთად ამერიკაში გაფრინდნენ. იქ ბროდვეის¹ თეატრში ორი წარმოდგენა ნახეს. გარდა ამისა, მუსიკალური სპექტაკლების დაჯილდოების ცერემონიაზეც მოხვდნენ. ჩვენი თხოვნით, ვიდეოჩანაწერებიც გააკეთეს. მოდი, ერთად ვნახოთ. იქნებ ამოიცნოთ სპექტაკლის პერსონაჟები?



პ. ციმერი, ე. ჟონი. „ცხოვრების წრე“, ნომერი მიუზიკლიდან „მეფე ლომი“



ა. მენკენი. ჯინის სიმღერა მიუზიკლიდან „ალადინი“



ე. ლ. ვებერი. მასკარადის სცენა მიუზიკლიდან „ოპერის აჩრდილი“

- რომელი ვიდეოჩანაწერის პერსონაჟები ვერ ამოიცანით?

სავარაუდოდ, მოსწავლეები დაასახელებენ ფრაგმენტს ენდრიუ ლოიდ ვებერის მიუზიკლიდან „ოპერის აჩრდილი“. ამ შემთხვევაში ბავშვებს ვეტყვით, რომ ეს არის ინგლისელი კომპოზიტორის მიუზიკლი და მოგვითხრობს ერთი თეატრის ამბავს. მოგვიანებით, რომ წამოიზრდებიან, ამ ნაწარმოებსაც გააცნობთ.

- რომელ ვიდეოჩანაწერში მიჰყვება მუსიკა პერსონაჟების მოძრაობებს?

¹**ბროდვეი** კრებითი სახელწოდებაა 40-ზე მეტი დიდი კომერციული თეატრისა, რომლებიც განლაგებულია ნიუ-იორკში, ბროდვეის ქუჩაზე, მანჰეტენის თეატრალურ კვარტალში. ასეთივეა ლონდონში ქოვენთ-გარდენი. ბროდვეიზე საფუძველი ჩაეყარა ამერიკულ თეატრალურ კულტურას.

აქტივობა 2

ახლა კი ნახეთ ფრაგმენტი ფილმიდან „ალადინი“, რომლის მუსიკა კომპოზიტორმა ალან მენკენმა დაწერა.

მოსმენის შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს:

შეგიძლიათ იმსჯელოთ და დაახასიათოთ ამ ფრაგმენტის მუსიკა:

- როგორი ტემპი აქვს: ნელი, სწრაფი?
- როგორი რიტმი აქვს: მოძრავი, ცოცხალი, განმეორებადი?
- როგორი ხასიათი აქვს მელოდიას: მშვიდი, ენერგიული, სევდიანი?
- რომელი საკრავები იქცევა აქ ყურადღებას ფრაგმენტის დასაწყის ეპიზოდში?
- როდის მოისმენდით ამ ნაწარმოებს, პასიური თუ აქტიური დასვენებისას? განმარტეთ რატომ? (მაგ., ვინაიდან ფრაგმენტის ტემპი არის სწრაფი, რიტმი ცოცხალი და მოძრავი, მელოდიის ხასიათი ენერგიული, ამ ფრაგმენტს მოვისმენდი აქტიური დასვენების დროს)



ჯინის სიმღერა „პრინცი ალი“

აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

- ძვირფასო ბავშვებო! გაიხსენეთ, ბოლო გაკვეთილებზე ჩვენი გმირების მოგზაურობის ისტორიიდან ახალი რა შეიტყვეთ?
- შეგიძლიათ გაიხსენოთ და ჩამოთვალოთ, რომელი ქვეყნები მოინახულეს ბავშვებმა მოგზაურობის დროს?
- რომელი თეატრები მოინახულეს (სავარაუდოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ იაპონურ თეატრ ბუგაკუს და ბროდვეის თეატრს)?
- მოსმენილიდან რომელი ჩანანერი მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- რომელი საკრავების შესახებ შეიტყვეთ?
- რატომ უმღერა დედამ გურული სანესო სიმღერა „ბატონებო“ ბავშვებს?
- როგორ ფიქრობთ, ჩვენმა გმირებმა დაისვენეს მოგზაურობის დროს?
- როგორი დასვენება ჰქონდათ: აქტიური, პასიური თუ ორივე ტიპის?
- საყვარელ სოფელში, აგარაკზე ან თუნდაც შორეული ქვეყანაში მოგზაურობა თქვენთვის საუკეთესო განტვირთვის და დასვენების საშუალებაა?

აქტივობა 4

ახლა კი გაიხსენეთ ის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, სადაც ხშირად ჟღერს მუსიკა: სუპერმარკეტი, სავაჭრო ცენტრი, პატარა მაღაზია, გასართობი ცენტრი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რესტორანი ან სწრაფი კვების ობიექტები და ა.შ.

ჩამოთვლილთაგან დაასახელეთ ის ადგილი, რომელიც განსაკუთრებულად მოგწონთ:

დისკ ჟოკეის¹ ნამუშევარი, ანუ ჟღერს მუსიკა, რომელიც, თქვენი აზრით, შეესაბამება გარემოს.

მოდით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მუსიკალური გაფორმების შესახებ დაწვრილებით მომდევნო გაკვეთილებზე ვისაუბროთ.

¹ დისკ ჟოკეი – ე. წ. დიჯეი – ადამიანი, რომელიც სხვადასხვა გარემოს მიუსადაგებს როგორც ფონურ, ისე საცეკვაო მუსიკას.

აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

თავისუფალი დროის აქტიურად გატარების ერთ-ერთი ფორმა სავაჭრო ცენტრში გასეირნებაა. ალბათ ყოფილხართ ასეთ ცენტრებში, სადაც თავმოყრილია უამრავი სხვადასხვა მაღაზია, საკვები პუნქტი (კაფეები, ბარები, ფასტფუდი, რესტორნები), კინოდარბაზებიც კი. ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ **ფონურ მუსიკას**, რომელიც ყველგან ჟღერს.

ფონურ მუსიკას უწოდებენ ისეთ მუსიკას, რომელსაც აქტიურად არავინ უსმენს, მაგრამ ის ამშვიდებს, ალამაზებს. ქმნის შესაფერის განწყობას და კომფორტულ ატმოსფეროს.

უპასუხეთ კითხვებს:

- აქამდე თუ გსმენიათ ფონური მუსიკის შესახებ?
- როგორ ფიქრობთ, სად შეიძლება გამოიყენონ ფონური მუსიკა?
- რისთვის იყენებენ ფონურ მუსიკას?
- გიფიქრიათ იმაზე, რომ თავისუფალი დროის გატარებას ხშირად იმ გარემოში გეგმავთ, სადაც თქვენთვის სასურველი მუსიკა ჟღერს?



დ. სტიუარდი/კ. დაფნერი. „ლილი იყო აქ“



თ. ნიუმანი. ტანგო



Kool & The Gang – Celebration

აქტივობა 2

- მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს:
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი ჟღერს ყველაზე ენერგიულად?
- რომელია მშვიდი და მსუბუქი ჟღერადობის?
- მოსმენილიდან ფონად ერთ ფრაგმენტს შეარჩევდით თუ ყველას?

პასუხები დაასაბუთეთ.



დ. სტიუარდი/კ. დაფნერი. „ლილი იყო აქ“



თ. ნიუმანი. ტანგო



Kool & The Gang. Celebration

აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

იცით, რომ კაფეში, რესტორანსა და სწრაფი კვების ობიექტებში შესვლის სურვილს ხშირად გვიჩენს მუსიკა, რომელიც იქ ჟღერს. ასეთი ტიპის დაწესებულებისთვის მუსიკას სპეციალისტი, დისკ ჟოკეი/დიჯეი ირჩევს.

მოდი, გადაიკითხეთ მუსიკალური ფონის შერჩევის ინსტრუქციები. მოუსმინეთ სამ ჩანაწერს და დაფიქრდით:

- რომელ საკვებ ობიექტში გამოიყენებდით ამ მუსიკას ფონად?

ჩანაწერების ქვეშ, ცარიელ უჯრაში შეიტანეთ ფრაგმენტის ნომერი.

კაფე

კაფეში ადამიანს მშვიდი გარემო უნდა ხვდებოდეს. აქედან გამომდინარე, ზედმეტად მოძრავი საცეკვაო მუსიკა კაფეს არ მოუხდება. თუმცა არც მდორე და მოსაწყენი მუსიკა გამოდგება, რადგან ადამიანი იქ ენერგიის აღსადგენად შედის.

სწრაფი კვება

ასეთი ტიპის დაწესებულებას ყველაზე მეტად მოუხდება სწრაფი ტემპის ზედმინევენით ენერგიული, პოპულარული მუსიკა, რადგან იქ ადამიანი მხოლოდ წასახემსებლად შედის.

რესტორანი

ამ დაწესებულებისთვის მუსიკალური ფონის შერჩევა ყველაზე ძნელია. ხალხი იქ დასასვენებლად და გასართობად მიდის, ამიტომ უნდა ისმოდეს სხვადასხვა ჟანრის მუსიკა: კლასიკური, ჯაზი, პოპულარული საესტრადო და საცეკვაოც.



აქტივობა 4

დააკვირდით და აღწერეთ სურათები. მოუსმინეთ ჩანაწერებს და გამოთქვით მოსაზრება:

- რომელი მუსიკალური ფონი იქნება შესაფერისი წარმოდგენილი გარემოსთვის?

ფრაგმენტის ნომერი ჩანერეთ შესაბამის ფოტოსთან ცარიელ უჯრაში.





Kool & The Gang „ზეიმი“



თ. ნიუმანი. „ტანგო“



ნ. კაპუსტინი. „ვარიაციები“

უპასუხეთ კითხვებს:

- რამდენად კარგად ამოიცანით, თუ რა ტიპის საკვები პუნქტებია?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გიჩენთ ცეკვის სურვილს?
- რომელი ტიპის საკვები პუნქტში გააჟღერებდით საცეკვაო მუსიკას?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტზე გახსენდებათ მყუდრო გარემო, სადაც შეიძლება საინტერესო თემაზე ისაუბროთ მეგობართან?
- რატომ დაუკავშირეთ ამ მუსიკალურ ფრაგმენტს მყუდრო, სასაუბრო გარემო?

ჩაიხედეთ „სიტყვის კონაში“, გაიხსენეთ მუსიკის მახასიათებლები და განაგრძეთ მსჯელობა.

- როგორია ამ ფრაგმენტის რიტმი, ტემპი და მელოდია?

აქტივობა 1

მრავალი ადამიანი თავისუფალ დროს სავაჭრო ცენტრში ატარებს. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და მაღაზიების ინტერიერის მიხედვით შეარჩიეთ მუსიკალური ფონი.

- რომელი გარემო გიზიდავთ ნაკლებად? რატომ?



1

მ. რონსონი. „დაბალი და მაღალი ქალაქი“



2

ბ. ევანსი. „ემილი“

- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი შეუსაბამეთ პირველ სურათს? მეორეს?
- მაღაზიის ინტერიერის მიხედვით, რა დაადგინეთ, ვისთვის არის მაღაზია განკუთვნილი?

აქტივობა 2

თქვენ ხედავთ მაღაზიის ინტერიერის სურათს. მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფონს, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ მათ შორის არის გარკვეული განსხვავებებიც.

- რომელი მუსიკალური ფონი მოგანდომებდათ ამ მაღაზიაში შესვლას? შემოხაზეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.



1

მუსიკა რეკლამისტისთვის



ბ. ევანსი. „როდესაც მე შემეყვარდება“



ჟაინ. „მაკება“

- შეიძლება ტანსაცმლის სტილის მიხედვით გამოიცნოთ, რა მუსიკალური ფონი უნდა შეირჩეს ამ მაღაზიისთვის?
- როგორ ფიქრობთ, მუსიკა, რომელიც შეარჩიეთ, გამოდგება ამ მაღაზიის ფონური მუსიკისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?

აქტივობა 3

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ფრაგმენტებს და გაარკვიეთ, რომელ მუსიკალურ ფონშია ყველაზე მოძრავი, ენერგიული რიტმი, რომელში კი ნაკლებად. მიუწერეთ ცხრილში 1 (ერთიანი) იმ ნომრის მუსიკალურ ფონს, რომელსაც ყველაზე ენერგიული და მოძრავი რიტმი აქვს; 2 (ორიანი) – იმ ნომრის მუსიკალურ ფონს, რომელსაც ნაკლებად მოძრავი და ენერგიული რიტმი აქვს და ბოლოს 3 (სამიანი) – იმ ნომრის მუსიკალურ ფონს, რომელსაც მდორე რიტმი აქვს.

მუსიკალური ფონი 1	მუსიკალური ფონი 2	მუსიკალური ფონი 3



აქტივობა 1

წინასწარ დაგეგმეთ გაკვეთილი ისე, რომ კლასში ყველა მოსწავლისთვის საკმარისი ყურსასმენი და კომპიუტერი იყოს. ჩატვირთეთ კომპიუტერში წინასწარ მომზადებული ინსტრუმენტული პიესები და სიმღერები.

სთხოვეთ მოუსმინონ და შექმნან „ფლეილისტი“ (მუსიკალური ნაწარმოებების სია) დასვენებისთვის. შეავსონ ცხრილი და ჩაწერონ იმ ნაწარმოების სახელწოდება, რომელიც შეარჩიეს.

ა) პასიური დასვენებისთვის; ბ) აქტიური დასვენებისთვის.



1

ფ. შოპენი. „ნოქტიურნი“



2

რ. ბარდიმაშვილი. „კრიმანჭული“



3

ი. ბრამსი. „ვალსი“



4

ი. ბახი. „მენუეტი“



5

ფ. შუბერტი. „ავე მარია“



6

ჯ. გერშვინი. „ზაფხული“ ოპერიდან „პორგი და ბესი“



7

ლ. ვ. ბეთჰოვენი. „ელიზეს“



8

ს. ცინცაძე. საკვარტეტო მინიატიურა „სულიკო“



ო. დიხამინჯია. „გაზაფხული“



ს. რახმანინოვი. რაფსოდია პაგანინის თემაზე



ს. ცინცაძე. საკვარტეტო მინიატიურა „ციცინათელა“



ს. ცინცაძე. საკვარტეტო მინიატიურა „განდაგანა“



ს. ცინცაძე. საკვარტეტო მინიატიურა „საცეკვაო“

მუსიკა დასვენებისთვის

აქტიური დასვენებისთვის	პასიური დასვენებისთვის

აქტივობა 2

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გააკეთებენ სასურველი „ფლეილისტის“ ჩამონათვალს, დაუსვით კითხვები.

- რამდენი ფრაგმენტი შეარჩიეთ აქტიური დასვენებისთვის და რამდენი პასიურისთვის?

განმეორებით მოუსმინეთ ფრაგმენტებს და უპასუხეთ:

- რომელ გარემოს მოუხდებოდა თქვენ მიერ შერჩეული მუსიკალური ფრაგმენტები? ჩანერეთ ფრაგმენტის ნომერი შესაბამისი ადგილის დახასიათებასთან ცარიელ უჯრაში.

ხალხმრავალი მოლისთვის ☐

მოგზაურობისთვის ☐

სახლში მყუდრო გარემოს შესაქმნელად ☐

მეგობრებთან ერთად გართობისთვის ☐

დატვირთული დღის განმავლობაში მოკლე შესვენებისთვის ☐

დილით კარგი განწყობის შესაქმნელად ☐

საღამოს მშვიდი ატმოსფეროს შესაქმნელად, ვახშმისთვის ☐

ნაიკითხეთ კითხვები და შემოხაზეთ შესაბამისი მახასიათებლები:

დაასაბუთეთ, რა პრინციპით შეარჩიეთ ფრაგმენტები?

- როგორი რიტმი ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც ხალხმრავალი მოლისთვის შეარჩიეთ? ცოცხალი, მდორე?
- როგორი მელოდია ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც მოგზაურობისთვის შეარჩიეთ? ხალისიანი, მშვიდი?
- როგორი ტემპი ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც საღამოს მშვიდი ატმოსფეროს შესაქმნელად, ვახშმისთვის შეარჩიეთ? ნელი, სწრაფი, ზომიერი?
- როგორი ჰარმონია ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც დილით კარგი განწყობის შესაქმნელად შეარჩიეთ? კეთილხმოვანი, სასიამოვნო, არაკეთილხმოვანი, უსიამოვნო?

აქტივობა 3

დაგეგმეთ ერთი დღე ისე, რომ თქვენ მიერ შერჩეულმა მუსიკალურმა ფრაგმენტებმა გაგიღამაზოთ დღის სხვადასხვა მონაკვეთი.

განმეორებით მოუსმინეთ ფრაგმენტებს პირველი აქტივობიდან და უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ფრაგმენტით დაინწყბდით?
- რომელს შეარჩევდით დღის ცენტრალური კულმინაციური ეპიზოდისთვის?
- რომელს შეარჩევთ დასვენებიდან კვლავ სამუშაო გარემოში გადანაცვლებისთვის?
- რომელი ფრაგმენტის მოსმენას მოისურვებდით საღამოს?

შერჩეული მუსიკალური ფრაგმენტიდან გამომდინარე, შემოხაზეთ დასვენების ტიპი, რომელიც შეარჩიეთ თქვენი საღამოსთვის.

აქტიური

პასიური

აქტივობა 4

მოუსმინეთ ო. დიხამინჯიას სიმღერას „გაზაფხული“ და იმსჯელეთ:



- როგორი მელოდია აქვს ამ სიმღერას: მღერადი, არამღერადი?
- როგორი ტემპი: ნელი, სწრაფი თუ ზომიერი?
- როგორი ჰარმონია: კეთილხმოვანი, სასიამოვნო თუ არაკეთილხმოვანი, უსიამოვნო?

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სიმღერაც განტვირთვის ერთ-ერთი ფორმაა. ერთად ვიმღეროთ ოთარ დიხამინჯიას სიმღერა „გაზაფხული“.

მუსიკა ო. დიხამინჯია
ჩანერა ნ. ქუმსიშვილმა

III კუპლეტი

ბუნება რომ აყვავდება,
გულიც გადახალისდება,
ვენაცვალები გაზაფხულს,
ანეტარებს იგი გულსა.
რა კარგია გაზაფხული.

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: მოცემულ სურათებს, რომლებზეც ასახულია სხვადასხვა გარემო დასვენებისთვის შეუსაბამეთ მუსიკალური ფონი. განსაზღვრეთ დასვენების სამი ეტაპი: დასაწყისი, შუა კულმინაციური ეპიზოდი და დასასრული. წერილობით ახსენით, რა ნიშნით შეარჩიეთ მუსიკალური ფონი დასვენების თითოეული ეტაპისთვის.

საკითხი: მუსიკით განწყობის შექმნა

ნაბიჯი 1

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და მოცემულ სურათებთან განწყობის მიხედვით ხაზებით დააკავშირეთ.



ცხრილში სურათების გასწვრივ შესაბამისი ნაწარმოების სახელწოდება ჩაწერეთ. სწორად შევსებული ცხრილი

სურათები	მუსიკალური ფრაგმენტების სახელწოდება
	მ. რაველი. „სარკეები“
	ალექსანდრე ჯულაყიძე. ელექტრონული მუსიკის კომპოზიცია
	ლ. დელიბი. „ყვავილების დუეტი“ ოპერიდან „ლაკმე“

ნაბიჯი 2

განსაზღვრეთ დასვენების სამი ეტაპი: დასაწყისი, შუა ეპიზოდი და დასასრული. მოცემული ფრაგმენტებიდან სამივეს შეუსაბამეთ შესაბამისი ფრაგმენტი.

- შემოხაზეთ მუსიკის მახასიათებლები და განსაზღვრეთ: როგორი მუსიკალური ფონით ჯობია დასვენების დაწყება?
- როგორ მუსიკალურ ფრაგმენტს შეარჩევდით თავისუფალი დროის კულმინაციური ეპიზოდის წარმოსაჩენად, ხალისიანს, დაძაბულს, მოძრავს, ცოცხალს, მშვიდს, ლალს?
- როგორი მუსიკალური ფონით ჯობია დასრულება?

ნაბიჯი 3

მოცემულ ცხრილში შემოხაზეთ ის მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც შეარჩიეთ მუსიკალური ფონი დასვენების კულმინაციური ეპიზოდისთვის.

მუსიკის მახასიათებლები
რიტმი: მოძრავი, ცოცხალი, მშვიდი, მდორე, განმეორებადი
ტემპი: ნელი, ზომიერი, ჩქარი
მელოდიის სახეობა: მღერადი, არამღერადი, ნახტომებით, აღმავალი, დაღმავალი
ჰარმონია: სასიამოვნო (კეთილხმოვანი), არასასიამოვნო (არაკეთილხმოვანი)
ფორმა: დასაწყისი, შუა ეპიზოდი, დასასრული
ბგერის ტემპრი: დახშული, ხავერდოვანი, წკრიალა, მჟღერი, სასიამოვნო, მუქი, ნათელი, მკვეთრი, უხეში, მჭექარე, რბილი, ჰაეროვანი
ბგერის სიძლიერე: ხმამაღალი ფორტე, ხმადაბალი პიანო

ახლა კი დაახასიათეთ ის ფრაგმენტი, რომელიც თქვენი დასვენების ბოლო ეპიზოდისთვის შეარჩიეთ. დაასრულეთ მოცემული წინადადებები. მაგ., მოსწავლეები ასე ავსებენ ცხრილს.

დასვენების ბოლო ეპიზოდისთვის შევარჩიე ფრაგმენტი, რომელსაც **მდორე** რიტმი **მშვიდი, მღერადი** მელოდია **ნელი** ტემპი **კეთილხმოვანი (სასიამოვნო)** ჰარმონია ჰქონდა. ვინაიდან დასვენების ბოლო ეტაპისთვის შევარჩიე **პსიური** დასვენების ტიპი.

თემა 3: მუსიკის როლი ანიმაციაში

თემის ძირითადი მიზანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, როგორ იქმნება მუსიკის დახმარებით მხატვრული სახე ანიმაციაში. სხვადასხვა გამომსახველობითი ხერხები გამოიყენონ ანიმაციური და საყმაწვილო ფილმების მოკლე ეპიზოდებისთვის მუსიკალური თანხლების შესაქმნელად და კომპიუტერულ პროგრამაში ჩასაწერად. ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და განვლილი თემატური მასალის ათვისებით მიღებული შედეგები თვალსაჩინო გახდება, როცა მოსწავლე:

- სხვადასხვა სახის ანიმაციური ფილმების მაგალითზე გააცნობიერებს, როგორ იქმნება მუსიკის დახმარებით პერსონაჟის მხატვრული სახე;
- ანიმაციური ფილმების სხვადასხვა სახის მუსიკალურ თანხლებაში მუსიკის გამომსახველობითი საშუალებების როლს განსაზღვრავს;
- გააბამს კავშირს ანიმაციაში მუსიკასა და ვიზუალურ რიგს შორის;
- მოისმენს ანიმაციური ფილმის მუსიკალურ თანხლებას და წარმოსახვის უნარით გამოიგონებს რაიმე ისტორიას, შეძლებს ასოციაციური კავშირების გაბმას კადრში მიმდინარე მოვლენებთან;
- ჯგუფურ მუშაობაში თანამშრომლობითი ურთიერთობით ჩაერთვება;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისა და პრეზენტაციის უნარს გამოავლენს;
- დამოუკიდებლად იაზროვნებს, საკუთარ აზრს ნათლად გამოხატავს და ასაბუთებს.

51

პერსონაჟების ხმები

აქტივობა 1

მიმართეთ ბავშვებს:

შეგიძლიათ რამდენიმე საყვარელი ანიმაციური ფილმი დაასახელოთ.

- შეძლებთ საყვარელი ანიმაციური ფილმიდან საყვარელი სიმღერის გახსენებას?
- შეგიძლიათ მიჰბადოთ ანიმაციური ფილმის პერსონაჟს ხმით, მოძრაობით ან წაიმღეროთ მოტივი ამ ფილმიდან?

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, აუხსენით:

მომდევნო გაკვეთილებზე ვისაუბრებთ, თუ რა როლი აქვს მუსიკას ანიმაციურ ფილმებში.

აღბათ ყველას გიყვართ ანიმაციური ფილმების ყურება.


- დაფიქრებულხართ, როგორ ახმოვანებენ ანიმაციურ ფილმებს?
- რა განსხვავებაა მხატვრული ფილმისა და ანიმაციური ფილმის გახმოვანებას შორის?
- რატომ ჰქვია ნახატ ფილმებს „ანიმაციური“?

სიტყვა „ანიმა“ ლათინურად „სიცოცხლის სანყის“ ან „სულს“ ნიშნავს. ამ შემთხვევაში კი ნახატის ან თოჯინას გაცოცხლების, სულის შთაბერვის მნიშვნელობითაა გამოყენებული. ანიმაციურ ფილმებში ყველაფერი გაზვიადებულია. ზოგჯერ მისი გმირები თავისებურად და სასაცილოდ მოძრაობენ.

ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მაყურებელმა იხალისოს, სხვა თვალთ შეხედოს გარემოს. ბუნებრივია, ასეთი ფილმების გახმოვანების დროს იყენებენ უცნაურ ხმებს, რომლებიც ანიმაციურ ფილმებს განსაკუთრებულ ხალისს სძენს.

აქტივობა 2

მოუსმინეთ ჩანაწერებს და „თოლით“ აღნიშნეთ იმ ჩანაწერის ხმა, რომელიც ანიმაციური ფილმისთვისაა დამახასიათებელი.




უპასუხეთ კითხვებს:

- რა განწყობას გიქმნით ეს ხმები?
- რომელი პერსონაჟები წარმოგიდგებათ თვალწინ ამ ხმების მოსმენისას?
- რა ზომის არიან? რა აღნაგობის (დიდი, პატარა, მაღალი, დაბალი, მსუქანი, გამხდარი)?
- რომელ ჩანაწერში ისმის დაბალი ბგერები?
- რომელ ჩანაწერში ისმის მაღალი ბგერები?

აქტივობა 3

მოუსმინეთ ხმებს და სურათზე წარმოდგენილ ყოველ პერსონაჟს მიუსადაგეთ ის ხმა, რომელიც მას მოუხდებოდა.

ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ შესაბამისი პერსონაჟის აუდიოჩანაწერის ნომერი.



უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ პერსონაჟს შეუძრჩიეთ აუდიოჩანაწერი რიტმის მიხედვით? რატომ?
- რომელ პერსონაჟს შეუძრჩიეთ აუდიოჩანაწერი ხმის სიმაღლის მიხედვით?
- როგორი ხასიათი შესძინა ამ ხმებმა პერსონაჟებს?

მოუსმინეთ სხვადასხვა თანამიმდევრობით გაჟღერებულ ხმებს.

- რომელ მაგალითში ისმის პერსონაჟების ხმები იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც არიან ისინი გამოსახული?

შემოხაზეთ სათანადო აუდიოჩანაწერი. სავარაუდოდ, მოსწავლეები შემოხაზავენ პირველ აუდიოფაილს.



აქტივობა 4

ნახეთ ფრაგმენტები ანიმაციური ფილმიდან „მაუგლი“.

ცხრილში წაიკითხეთ პერსონაჟების მუსიკალური დახასიათება. ამის მიხედვით ამოიცანით პერსონაჟი და ცარიელ გრაფაში ჩაწერეთ მისი სახელი.

მუსიკალური დახასიათება	პერსონაჟი
ეს პერსონაჟი მღერის დაბალ რეგისტრში, ახასიათებს მოძრავი რიტმი.	
ეს პერსონაჟი დახასიათებულია მღერადი, ნაზი, სადა, გულში ჩამწვდომი მელოდიით.	



1. ჯ. ბრუნი, ტ. გილკისონი. ბალუს სიმღერა „რა სჭირდება დათვს“ ანიმაციური ფილმიდან „ჯუნგლების წიგნი“



2. ჯ. ბრუნი, ტ. გილკისონი. შანტის სიმღერა „ჩემი მშობლიური სახლი“ ანიმაციური ფილმიდან „ჯუნგლების წიგნი“

მაიმუნების სიმღერა ანიმაციური ფილმიდან „ჯუნგლების წიგნი“ სანოტო ტექსტი ჩაწერა რ. ჯულაყიძემ

ცხრა მოასი იჟუ გა - და-ივ - ლო და გზას გაპ - ცვე-ზი

პალ - მას და - ი - წა-სავ და წვეწ - თან გაწნ - დე-ზი

ა - ტა - ურ წესს გას-წავ - ლო მე იჟუ მომ - ცვე-ზი

წვეწ - თან ერ - თადე ჯუნგ-ლებ - ში თუ კი დარ - ჩე-ზი პე

მა-უგ - ლი წუ წახ - ვალ ში - რის იქ სა - დავ

გი-ვა და - ხან - და-ხან თო - ივს მე წახ - ვალ

მა-უგ - ლი დად - გე - ზა დრო - ი - სევ დაბ -

რუ - წე - პას ჯუნგ - ლებ - ში მთხვ

აქტივობა 1

როგორც უკვე ვთქვით, ანიმაციურ ფილმში ყველაფერია შესაძლებელი. მაგალითად, შეიძლება დაირღვეს ბუნების ყველა კანონი, ცხოველები ადამიანებივით ორ ფეხზე დადიოდნენ, იღიმოდნენ, ლაპარაკობდნენ და ა.შ.; მკვრივი საგანი შეიძლება რბილ საგნად გადაიქცეს, გაიწელოს, გაბრტყელდეს, როგორც სალექი რეზინი და უამრავი სხვა.

ყველაფერი ეს კეთდებოდა იმიტომ, რომ თავდაპირველად ანიმაციური კინოს მთავარი მიზანი მაყურებლის გაცინება იყო. ბუნებრივია, რომ ანიმაციის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, მისი გახმოვანებაც უჩვეულო და სასაცილო უნდა ყოფილიყო.

გაეცანით ანიმაციური ფილმის ხმების აღწერილობებს, შემდეგ მოუსმინეთ ხმებს და დაუკავშირეთ შესაბამის აღწერილობას. ჩაწერეთ აუდიოფაილის ნომერი ცარიელ უჯრაში. შემდეგ ხმების აღწერილობები და აუდიოფაილის ნომერი ფანქრით დააკავშირეთ მოქმედებებთან.

ხმის აღწერილობა		მოქმედებები
დაღმავალი მოძრაობა წვრილი-მაღალი ბგერიდან ბოხ-დაბალ ბგერამდე.		ადგილიდან მონყევითა და გაქცევა
ერთი სიმაღლის ბგერის რამდენჯერმე გამეორება. ყოველ გამეორებაზე ბგერის გრძლიობის შემცირება.		აფრენა
აღმავალი მოძრაობა დაბალი ბგერიდან მაღალ ბგერამდე.		დარეტიანება
ტყვიის გავარდნის ხმა.		დამუხრუჭება
სწრაფ ტემპში ბგერების აღმავალი და დაღმავალი მოძრაობა.		ვარდნა



უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი აღწერილობა და ხმა დაუკავშირეთ აფრენას? რატომ?
- რომელ ხმას დაუკავშირებდით გამოთქმას: „ტყვიასავით გავარდა ოთახიდან“?
- რა ხმას გაგონებთ „დამუხრუჭების“ ხმის ეფექტი?
- რომელ მოქმედებას დაუკავშირეთ აღწერილობა: სწრაფ ტემპში ბგერების აღმავალი და დაღმავალი მოძრაობა?
- როგორ ფიქრობთ, რა არის საერთო მოსმენილ ხმებსა და პერსონაჟების მოძრაობებს შორის?

წარმოიდგინეთ ეს მოქმედებები და გამოთქვით აზრი, რა უფრო სასაცილოა: მოქმედებები თუ ხმებით ამ მოქმედებების გახმოვანება?

აქტივობა 2

ანიმაციურ ფილმში ყველაფერი ელვისებური სისწრაფით ვითარდება. მოუსმინეთ ხმის სამ სხვადასხვა თანამიმდევრობას, ამავე დროს წაიკითხეთ ცხრილი და უპასუხეთ კითხვას:

- ხმის ეფექტების რომელი თანამიმდევრობა ემთხვევა ცხრილში მოცემული მოქმედებების თანამიმდევრობას?

მოქმედებების თანამიმდევრობა	ადგილიდან მოწყდომა და გაქცევა	აფრენა	დარეტიანება	დამუხრუჭება	ვარდნა
--------------------------------	-------------------------------------	--------	-------------	-------------	--------



1



2



3

აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

ალბათ მიაქციეთ ყურადღება, როგორ არის გაზვიადებული პერსონაჟების მოძრაობები.

ამაში დიდი წვლილი გახმოვანებასაც მიუძღვის. დააკვირდით სურათებს ანიმაციური ფილმიდან „კოიოტი და მორბენალი გუგული“. შეეცადეთ ამ გამოსახულებებს შეურჩიოთ შესაბამისი ხმები.

მოსმენილი აუდიოჩანაწერის ციფრი ჩანერეთ შესაბამისი გამოსახულების ცარიელ უჯრაში.









1



2




3

- რისი ხმებია გამოყენებული?
- რომელი ხმა მიუსადაგეთ მესამე სურათს? რატომ?
- პირველი აუდიოფაილით მონოდებული ხმა პირველ სურათს მიუსადაგეთ თუ მეორეს? რატომ?

კვლავ მოუსმინეთ აუდიოჩანაწერებს და შესაბამისი კადრები ფოტოებთან დააკავშირეთ.

აუდიოჩანაწერის ნომერი ჩანერეთ ცარიელ გრაფაში.










- რომელ ჩანაწერშია გამოყენებული რაკეტის ხმა?
- რომელ კადრს მიუსადაგეთ ეს ხმა? რატომ?
- რომელ კადრს მიუსადაგეთ თვითმფრინავის ხმა? რატომ?

აქტივობა 4

- გაიხსენეთ, რა ხმები გაქვთ მოსმენილი წინა სავარჯიშოში?
- გახსოვთ, რა მოქმედებას გადმოსცემს ტყვიის გავარდნის ხმა?
- მოცემულ თანამიმდევრობაში მერამდენე ხმაა ეს?
- ამ თანამიმდევრობაში მერამდენე იყო ვარდნის ხმა?
- როდის და რამდენჯერ ისმის მორბენალი გუგულის სახელგანთქმული ხმა?
- მერამდენე იყო რეზინის ხმა?
- კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ხმების თანამიმდევრობას. იგივე თანამიმდევრობაა თუ შეიცვალა რაიმე?
- მოსმენილი ჩანაწერის მიხედვით შეგიძლიათ აღწეროთ, რა ხდება ამ დროს ეკრანზე?



ახლა კი ნახეთ ეპიზოდი და განსაზღვრეთ, რამდენად სწორი იყო თქვენი ვარაუდი.



აქტივობა 1

თქვენ უკვე მიხვდით, რომ ანიმაციაში ხმებით შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა მოქმედება. ისიც გაიგეთ, რომ მოქმედებების გადმოცემა მუსიკასაც შეუძლია. მოდი, ვცადოთ და გამოვიცნოთ, თუ რომელი მოქმედებები გადმოიცემა ამ მუსიკალური ფრაგმენტებით. მიუწერეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი სათანადო მოქმედებას.

განრისხება	
დევნა	
დამუხრუჭება	
მიპარვა	

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ ჩანაწერში მიიქცია ყურადღება ჩასაბერი საკრავის დაღმავალმა სვლამ?
- რომელ მოქმედებას დაუკავშირეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტი?
- რომელმა ფრაგმენტმა მოგაგონათ მატარებლის ხმა?
- რომელი მუსიკალური ხერხი ქმნის ამ ასოციაციას?
- რომელ მოქმედებას დაუკავშირეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტი?
- როგორ ფიქრობთ, როგორია პერსონაჟი, რომელიც ვილაცას მისდევს: დიდი, მოუქნელი, ძლიერი, თუ პატარა, მოქნილი, სუსტი?
- იქნებ თქვენი შეხედულებით დაახასიათოთ?
- რომელი მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით დაუკავშირეთ მუსიკალური მაგალითი განრისხებას?
- რომელი მუსიკალური მაგალითი დაუკავშირეთ მოქმედებას „დამუხრუჭება“?
- ჰგავს თუ არა ამ მუსიკალური მაგალითის მახასიათებლები ხმების მახასიათებლებს, რომლებიც ამავე მოქმედებას მიუსადაგეთ?

აქტივობა 2

მოისმინეთ მუსიკალური მაგალითების თანამიმდევრობა. ამ თანამიმდევრობის მიხედვით ჩამოწერეთ მოქმედებების რიგითობა და თქვენი ჩამონათვალი გააცანით კლასს. ზოგი მოქმედება მუსიკალური მაგალითის მიხედვით თავადვე უნდა მოიფიქროთ.

ამ დავალების შესრულებაში დაგეხმარებათ ამ კითხვებზე დაფიქრება:

- ვინ ან რა შეიძლება იყოს მოქმედი პერსონაჟი?
- რამდენი პერსონაჟი შეიძლება იყოს ანიმაციაში?
- რა მიზანი აქვს თითოეულ პერსონაჟს?
- რომელმა პერსონაჟმა მიაღწია მიზანს?



აქტივობა 3

მოუსმინეთ მუსიკალური ფრაგმენტების თანამიმდევრობას ხმებთან ერთად და ამის მიხედვით დანერეთ რაიმე ამბავი, მერე კი კლასს გააცანით.



- რამდენად დაგეხმარათ ხმები ამბის მოფიქრებაში?
- შეცვალეთ თუ არა რომელიმე პერსონაჟი ხმების მოსმენის შემდეგ?
- გახდა თუ არა უფრო გასაგები, როგორი დასასრული შეიძლება ჰქონდეს თქვენ მიერ გამოგონილ ამბავს?

ახლა კი ნახეთ გახმოვანებული ანიმაციური ფილმი და იმსჯელეთ:

- დაემთხვა რამე თქვენ მიერ გამოგონილ ამბავს?
- ჰგავნან თუ არა თქვენი პერსონაჟები ანიმაციური ფილმის პერსონაჟებს?
- რომელი ამბავი უფრო საინტერესოა, ის, რაც ანიმაციურ ფილმში ნახეთ, თუ თქვენ მიერ გამოგონილი?



აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

ნახეთ ფრაგმენტები სხვადასხვა ანიმაციური ფილმიდან და უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ფრაგმენტის მუსიკალური თანხლება გადმოსცემს კადრში ასახულ ყველა მოძრაობას?
- რომელი ფრაგმენტის მუსიკალური თანხლება ახასიათებს პერსონაჟს?
- რომელი გადმოსცემს ეპიზოდის განწყობას?



ამჯერად კიდევ ერთხელ ნახეთ ფრაგმენტები ანიმაციური ფილმებიდან და წაიკითხეთ აქ მოცემული მოსაზრებები მოძრაობის, ხასიათისა და განწყობის შესახებ.

- დაემთხვა თუ არა თქვენს ვარაუდს?



აღწერს პერსონაჟის
თითოეულ მოძრაობას



ახასიათებს პერსონაჟს




გადმოსცემს ეპიზოდის
განწყობას

აქტივობა 2

ნახეთ სამივე კადრი უხმოდ, შემდეგ კი მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს საქსოფონის შესრულებით და იმსჯელეთ:

- რომელ კადრს მოარგებდით ამ ჩანაწერს?
- რის გადმოცემას გაამძაფრებდა ამ შემთხვევაში მუსიკალური თანხლება, ხასიათის თუ განწყობის?



ჩვენ მოვისმინეთ ჩანაწერი, რომელშიც ჩასაბერი საკრავი – საქსოფონი ჟღერდა.

მოდით, მოვისმინოთ კიდევ ერთი ჩანაწერი, სადაც მელოდია საქსოფონით სრულდება. უპასუხეთ კითხვას და შემოხაზეთ სწორი პასუხი.

- როგორი ტემბრი აქვს ამ საკრავს?

- ◆ მკვეთრი
- ◆ რბილი
- ◆ თბილი
- ◆ ნკრიალა
- ◆ დახშული



აქტივობა 1

მიმართეთ მოსწავლეებს:

მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს და იმსჯელეთ:

- რომელი ანიმაციური ფილმის მუსიკალური გახმოვანებაა?
- მხოლოდ მუსიკა ისმის თუ სხვადასხვა ხმაც?
- ინსტრუმენტული მუსიკა გესმით თუ ვოკალური?
- გაიხსენეთ, რა ჰქვია მუსიკოსთა ჯგუფს, რომელიც ერთად, შეთანხმებულად ასრულებს მუსიკას?
- რომელი პერსონაჟები ამოიცანით?
- რა მოქმედებები ამოიცანით?

ხედებით, რომ მუსიკას, რომელიც ანიმაციური ფილმების თანხლებას წარმოადგენს, ხშირად ორკესტრი ასრულებს.

ნახეთ საორკესტრო შესრულება ანიმაციური ფილმისა „ტომი და ჯერი“ (კომპოზიტორი სკოტ ბრედლი).

- რომელი საკრავები ამოიცანით?

რა ჰქვია ორკესტრის ხელმძღვანელს?



ს. ბრედლი, მუსიკა ანიმაციური ფილმისთვის „ტომი და ჯერი“



აუდიოვერსია

საკრავები, რომლებიც შეიძლება დაემატოს ორკესტრს:



ჩელესტა



ორგანი



მარიმბა

აქტივობა 2

უჩვენეთ ბავშვებს უოლტ დისნეის ანიმაციური ფილმი „მუსიკის სამყარო“. სთხოვეთ წაიკითხოთ კითხვები და უპასუხოთ.

- რა გაიგეთ ამ ანიმაციიდან?
- რა გახდა ანიმაციაში პერსონაჟებს შორის უთანხმოების მიზეზი?
- როგორ დაიწყო ანიმაციური ფილმი?
- რომელ ეპიზოდში აღმოაჩინეთ კულმინაციური მომენტი?
- როგორ დასრულდა ანიმაცია?
- ისმის თუ არა ფილმში საუბარი?
- როგორ ურთიერთობენ პერსონაჟები ერთმანეთთან, მხოლოდ მუსიკალური ბგერებით თუ ინტონაციებითა და მოტივებით?

- რა ემოციას გამოსახავს ეპიზოდი, რომელსაც ორგანი ასრულებს?



ლ. ჰარლაინი. ანიმაციური ფილმი „მუსიკის სამყარო“

აქტივობა 1

შეახსენეთ მოსწავლეებს:

გახსოვთ, ჩვენ მოვისმინეთ ს. პროკოფიევის სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“, სადაც ყველა პერსონაჟს თავისი მუსიკალური დახასიათება ჰქონდა.

ხშირად ანიმაციურ ფილმებში მთავარ პერსონაჟს თავისი მუსიკალური დახასიათება – ლაიტ-თემა აქვს.

ლაიტთემა ყოველთვის ახლავს პერსონაჟის გამოჩენას და გადმოსცემს მის ხასიათს, განწყობას, მდგომარეობას.

ახლა ნახეთ ანიმაციური ფილმი „ჭრიჭინა და ჭიანჭველები“. მუსიკა ამ ფილმისთვის დაწერა კომპოზიტორმა ლეონ როსერსონმა.

იმავედროულად გულისყურით მოუსმინეთ ფილმის მუსიკალურ თანხლებას და დაადგინეთ:

- რამდენჯერ მეორდება ჭრიჭინას ლაიტთემა?
- ყოველი გამეორებისას პერსონაჟის ერთსა და იმავე ხასიათს გადმოსცემს?
- რომელი მუსიკალური საკრავის ჟღერადობა იქცევს ყურადღებას ჭრიჭინას ლაიტთემაში?
- როგორი ფრაზებითაა აგებული ჭრიჭინას ლაიტთემა, გრძელით თუ მოკლეთი?



ლ. როსერსონი. ფილმი „ჭრიჭინა და ჭიანჭველები“

აქტივობა 2

გაყავით კლასი სამ ჯგუფად და თითოეულს შესთავაზეთ ინტონაციური სავარჯიშო, რომელსაც „ლაიტთემები“ დაარქვით (იხ. სანოტო ჩანაწერი). ამღერეთ ჯგუფებს თავიანთი ლაიტთემები მონაცვლეობით. შეარჩიეთ ბავშვებს შორის ერთი, რომელიც დახუჭავს თვალებს და ამოიცნობს იმ ჯგუფის ლაიტთემას, რომელიც გაჟღერდა.



პირველი ჯგუფი



მეორე ჯგუფი



მესამე ჯგუფი

აქტივობა 1

მოუსმინეთ ლაიტემას და მოცემულ ცხრილში შესაბამისი მუსიკალური მახასიათებლები შემოხაზეთ (იხ. ელრესურსი).

მუსიკის მახასიათებელი	ლაიტემა
რიტმი	ცოცხალი, მოძრავი, მდორე, განმეორებადი, არაგანმეორებადი.
ტემპი	სწრაფი, ნელი, აჩქარებული, შენელებული, ზომიერი.
მელოდიის ხასიათი	მხიარული, სევდიანი, ლალი.
ჰარმონია	კეთილხმოვანი (სასიამოვნო), არაკეთილხმოვანი (უსიამოვნო).

განმეორებით მოუსმინეთ ლაიტემას და მუსიკის მახასიათებლებიდან გამომდინარე დაფიქრდით:

- როგორ პერსონაჟს აღწერს? რა გადახდა ამ პერსონაჟს? ლაიტემის ხასიათიდან გამომდინარე, როგორია ეს პერსონაჟი, ხალისიანი, მარდი თუ სევდიანი?

გამოიგონეთ რაიმე ამბავი და ჩაწერეთ ცარიელ ჩარჩოში.



ამჯერად ნახეთ ფრაგმენტი ანიმაციური ფილმიდან „ყურმა გაყოყორდა“. ამ ფილმისთვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა.

იმსჯელეთ, რამდენად დაემთხვა თქვენი გამოგონილი ამბავი ანიმაციური ფილმის შინაარსს.



აქტივობა 2

მიმართეთ მოსწავლეებს:

დააკვირდით უხმო კადრებს ანიმაციური ფილმიდან „ყურმა გაყოყორდა“. მოუსმინეთ ამავე კადრების მუსიკალურ თანხლებას (აუდიოჩანაწერს) და შეეცადეთ დაადგინოთ:

- რომელი აუდიოჩანაწერი რომელ ვიდეოფრაგმენტს შეესაბამება?

ცარიელ გრაფაში დაანწყილეთ კადრების ციფრობრივი და აუდიოჩანაწერის ანბანური აღნიშვნა.



1

2

3



იმსჯელეთ იმ აუდიოფრაგმენტის მელოდიის ხასიათზე, რომელიც ანიმაციური ფილმის პირველ ეპიზოდს მიუსადაგეთ. მსჯელობისას ჩაიხედეთ „სიტყვის კონაში“ და შესაბამისი სიტყვები გამოიყენეთ.

იმსჯელეთ იმ აუდიოფრაგმენტის რიტმისა და ტემპის შესახებ, რომელიც დაუკავშირეთ მესამე ვიდეოფრაგმენტს; ასევე, იმსჯელეთ იმ აუდიოფრაგმენტის ჰარმონიის შესახებ, რომელიც დაუკავშირეთ მეორე ვიდეოფრაგმენტს.

აქტივობა 3

მიმართეთ მოსწავლეებს:

ამჯერად ენახოთ გახმოვანებული ეპიზოდები ანიმაციური ფილმიდან „ყურმა გაყოყორდა“. დაადგინეთ, რამდენად სწორად მიუსადაგეთ აუდიოფრაგმენტები ვიდეოკადრებს.

- რომელ ეპიზოდში უსვამს ხაზს განწყობას მუსიკალური თანხლება?
- რომელ მონაკვეთში მიჰყვება მოქმედებებს?
- რომელ ეპიზოდში ამძაფრებს მუსიკა პერსონაჟის ხასიათის აღქმას?

შეავსეთ ცხრილი. ეპიზოდის ნომერი დაწერეთ შესაბამის განმარტებასთან.



ესმარება მაყურებელს აღიქვას ეპიზოდის განწყობა.	
ესმარება მაყურებელს აღიქვას პერსონაჟის ხასიათი.	
ესმარება მაყურებელს უფრო მძაფრად აღიქვას კადრში განვითარებული მოვლენები.	

აქტივობა 4

მიმართეთ მოსწავლეებს:

მოუსმინეთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ფრაგმენტებს და იმსჯელეთ მუსიკის მახასიათებლებზე.

- რომელ ფრაგმენტს ახასიათებს განმეორებადი რიტმი?
- რომელ ფრაგმენტში ისმის ენერგიული ხასიათის მელოდია, მკვეთრი რიტმი და დიდი გრძლიობის ელექტრონული საკრავის ჟღერადობა?
- რომელ ფრაგმენტში ისმის მღერადი მელოდია და ნელი ტემპი?

ახლა კი კიდევ ერთხელ დააკვირდით უხმო კადრებს ანიმაციური ფილმიდან „ყურმა გაყოყორდა“ და შეეცადეთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული აუდიოფრაგმენტებით გაახმოვანოთ.

ცარიელ გრაფაში დააწყვილეთ კადრების ციფრობრივი და აუდიოჩანაწერის ანბანური აღნიშვნა.

--

1 2 3



ა

ჯგუფი ძმები ქიმიკოსები „ჰეი ბიჭებო, ჰეი გოგონებო“



ბ

როკჯგუფი ფინქ ფლოიდი „ჰეი, შენ“



ბ

ჯგუფი ფაჩანგა ბიჭები „აფროამერიკელები“

უპასუხეთ კითხვებს:

- რის მიხედვით დააკავშირეთ მუსიკა კადრებთან?
- ა) ემთხვევა თუ არა ფრაგმენტის ტემპი კადრებში ასახული მოძრაობების ტემპს?
- ბ) აუდიოჩანაწერის განწყობა ემთხვეოდა კადრების განწყობას?
- გ) აუდიოჩანაწერის ხასიათი ემთხვეოდა პერსონაჟის მოძრაობებსა და ხასიათს?
- რა მიზანი აქვს თქვენ მიერ დაკავშირებულ აუდიოჩანაწერებს?
- ა) ამძაფრებს მოქმედებების აღქმას;
- ბ) ხელს უწყობს კადრებიდან განწყობის აღქმას;
- გ) ხელს უწყობს პერსონაჟის ხასიათის გადმოცემას.
- ახლა ნახეთ ჩვენ მიერ გახმოვანებული კადრები და იმსჯელეთ, რამდენად დაემთხვა თქვენს ვერსიას?

მიმართეთ და მოუყევით ბავშვებს:

დღევანდელ გაკვეთილზე ჩვენ ვნახეთ ანიმაციური ფილმი „ყურშა გაყოყორდა“. ამ ფილმისთვის მუსიკა შექმნა ქართველმა კომპოზიტორმა და მეცნიერმა ნოდარ მამისაშვილმა. მას ეკუთვნის საბავშვო ოპერა „ბაქია ბაჭია“, სიმფონიები, საგუნდო ორატორიები, პიესები ორკესტრისთვის, ორგანისთვის, ფორტეპიანოსთვის, ასევე ინსტრუმენტული კონცერტები, მუსიკა ფილმებისა და სპექტაკლებისთვის.

შესაძლებელია მოსწავლეებს ვუჩვენოთ ანიმაციური ფილმის სრული ვერსიაც.

აქტივობა 1

დააკვირდით სურათებს ანიმაციური ფილმიდან „წუნა და წრუნუნა“. ამ ანიმაციისთვის მუსიკა კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა დაწერა.

შეეცადეთ კადრები თანამიმდევრობით დანომროთ.







აქტივობა 2

ნახეთ უხმო ვიდეოკადრები და ჩვენ მიერ შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტები შეუსაბამეთ. დაწყვილეთ ვიდეოფრაგმენტის ანბანური აღნიშვნა და აუდიოფრაგმენტის ნომერაცია (იხ. გრაფა).

ა

ბ

გ

დ



1



2



3



4

1. როლინგ სტოუნზი „სიმპატიის მიმართ“
2. ჯორჯ რ. პულტონი „შემიყვარე ძლიერ“
2. პაჩანგა ბიჭები „ძალა“
4. ფ. მენდელსონი. „საქორწილო მარში“

მიმართეთ მოსწავლეებს:

დაკავშირებული ვიდეოკადრის ანბანური აღნიშვნა და აუდიოფრაგმენტის ნომერი ჩაწერეთ უჯრაში და განმარტეთ რა ნიშნით დააკავშირეთ ერთმანეთთან.

დაემთხვა მუსიკალური ფრაგმენტის მელოდიისა და პერსონაჟის ხასიათი.

დაემთხვა აუდიოფრაგმენტის ტემპი პერსონაჟების მოქმედებების ტემპს.



დაემთხვა აუდიოფრაგმენტის ამალღებული სადღესასწაულო ხასიათის მელოდია, მარშისებური რიტმი, კეთილხმოვანი ჰარმონია კადრში ასახულ განწყობას.



- რომელ ვიდოჩანანერს მოარგეთ აუდიოფრაგმენტი, რომელშიც ყურადღებას იქცევს ელექტრონული ბგერები და დაბალი რეგისტრის ბგერებში ისმის რიტმული ოსტინატო?

დაემთხვა აუდიოფრაგმენტის მღერადი მელოდია, ნელი ტემპი, მღორე რიტმი კადრში ასახულ განწყობასა და მოქმედებებს.

ახლა ნახეთ ჩვენ მიერ გახმოვანებული კადრები და იმსჯელეთ, რამდენად დაემთხვა თქვენს ვერსიას?



უჩვენეთ ბავშვებს მოსწავლის რვეულში მერი დავითაშვილის სურათი და აუხსენით: ანიმაციური ფილმის „ნუნა და წრუნუნას“ მუსიკა ქართველმა კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა დაწერა.



მერი დავითაშვილი ავტორია საბავშვო სიმღერების: „ეს საწყალი კურდღელი“, „დილა მშვიდობისა“ და სხვ. მისი დაწერილია მუსიკა მხატვრული ფილმებისა და ანიმაციური ფილმებისთვის: „ნუნა და წრუნუნა“, „მტრობა“, „სათაგური“, „ჩხიკვა ქორნილი“, „ხელმარჯვე ოსტატი“ და სხვ. ასევე, მერი დავითაშვილის დაწერილია საბავშვო ოპერები „ქაჯანა“ და „ნაცარქექია“.

შესთავაზეთ ბავშვებს იმღერონ დუეტი ანიმაციური ფილმიდან „ნუნა და წრუნუნა“ (სანოტო ტექსტი იხილეთ დანართში).

ნუნას პარტია ასწავლეთ გოგონებს, ხოლო წრუნუნასი – ბიჭუნებს. გუნდის პარტია – მისამღერი ამღერეთ ყველას ერთად.

ამის შემდეგ შესაძლებელია შეარჩიოთ ბავშვები დუეტისთვის. გუნდის პარტიას კი ყველა მოსწავლე ერთად იმღერებს.

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალების პირობა: მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და გაშიფრეთ. აუდიოფრაგმენტის მუსიკალურ მახასიათებლებსა და ვიდეოკადრებზე დაკვირვებით დააკავშირეთ ისინი ერთმანეთთან.

საკითხი: მუსიკით თხრობა

ნაბიჯი 1

მოუსმინეთ ორ აუდიოფრაგმენტს და უპასუხეთ კითხვებს, რა არის ასახული ჩანაწერში:

- სატელევიზიო გადაცემა თუ ანიმაციური ფილმის მუსიკალური თანხლება?
- თქვენი აზრით, რის შესახებ მოგვითხრობს მუსიკა? გადმოსცემს პერსონაჟის ხასიათს თუ აღწერს მოქმედებებს?
- დაფიქრდით, რა მოქმედებას, ემოციას ან განწყობას შეიძლება დაუკავშიროთ თითოეული ჩანაწერი?

შეგიძლიათ თითოეული ჩანაწერი თქვენებურად გაშიფროთ და მოცემულ ჩარჩოში სიტყვიერად მოკლედ აღწეროთ? გამოიგონოთ რაიმე ამბავი.



ა. ფლიარკოვსკი. მუსიკა ანიმაციური ფილმისთვის „ირბინე, ნაკადულო“ – ფრაგმენტი 1



ა. ფლიარკოვსკი. მუსიკა ანიმაციური ფილმისთვის „ირბინე, ნაკადულო“ – ფრაგმენტი 2

ამ ორი აუდიოფრაგმენტიდან რომელი აუდიოფრაგმენტი შეუსაბამეთ ამბავს, რომელშიც ნათელი, ლალი პერსონაჟი აღწერეთ?

- მუსიკის რა მახასიათებლების მიხედვით დაადგინეთ, რომ ეს პერსონაჟი ლალი, ნათელი ბუნებისაა?

მიაკითხეთ „სიტყვის კონას“, გაიხსენეთ მახასიათებლები და უპასუხეთ კითხვებს:

- როგორი ხასიათისაა ფრაგმენტის მქოლადი?



- როგორია ფრაგმენტის ჰარმონია?

რომელ აუდიოფრაგმენტში ისმის დაძაბული მელოდია? სწრაფი ტემპი? მოკლე გრძლიობის ბგერები? მკვეთრი რიტმი?

ჩანერეთ ფრაგმენტის ნომერი ცარიელ უჯრაში:

ნაბიჯი 2

ნახეთ უხმო ეპიზოდები ანიმაციური ფილმიდან. მოუსმინეთ ჩანაწერებს და შემოხაზეთ კადრების შესაბამისი აუდიოფრაგმენტის ნომერი.



ნაბიჯი 3

ამჯერად ნახეთ გახმოვანებული კადრები.

- დაემთხვა თქვენ მიერ შერჩეული ფრაგმენტი და ანიმაციური ფილმის გახმოვანება ერთმანეთს?
- რა მახასიათებლების მიხედვით ამოიცანით პირველი ვიდეოფრაგმენტის შესაბამისი მუსიკალური თანხლება?

შემოხაზეთ სწორი პასუხი:

- ა) შევუსაბამეთ ტემპისა და რიტმის მსგავსების მიხედვით.
- ბ) აუდიოფრაგმენტში ამოვიცანით კადრში ნანახი პერსონაჟების ხასიათი.
- გ) აუდიოფრაგმენტში ამოვიცანით კადრში ნანახი მოძრაობები.
- დ) ამოვიცანი კადრში ნანახი მოძრაობები, დავაკავშირე ხმაბაძვითი ინტონაციით.
- ე) დავაკავშირეთ ერთმანეთთან საერთო განწყობის მიხედვით.
- ვ) დავაკავშირეთ კადრში ასახული ფერები და საკრავების ტემბრი ერთმანეთთან.

ნაბიჯი 4

ახლა კი მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, განმეორებით ნახეთ უხმო ეპიზოდები ანიმაციური ფილმიდან და შეეცადეთ შეუსაბამოთ ერთმანეთს. უხმო ფრაგმენტის ანბანური აღნიშვნა დაანწყილეთ თქვენ მიერ შერჩეული აუდიოფრაგმენტის ციფრობრივ აღნიშვნასთან ისე, როგორც მაგალითშია მოცემული.



ა



ბ



გ



დ



1. მ. რაველი. მზის ამოსვლის სცენა ბალეტიდან „დაფნისი და ქლოე“



2. ე. გრიგი. საორკესტრო სიუიტა „პიერ გიუნტი“



3. როკჯგუფი პინკ ფლოიდი. „მშვიდობით, ცისფერო ცაო“



4. როკჯგუფი პინკ ფლოიდი. „ტვინის დაზიანება“

ა-1, ა.შ.

- როგორი მელოდია ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც პირველ ვიდეოფრაგმენტს შეუსაბამეთ?

- როგორი ჰარმონია ჰქონდა ფრაგმენტს, რომელიც მეორე ვიდეოფრაგმენტს მიუსადაგეთ?

- როგორი ჟღერადობის სიძლიერე ჰქონდა აუდიოფრაგმენტს, რომელიც მესამე ვიდეოფრაგმენტს მიუსადაგეთ?

- როგორი ტემპრის ბგერები ისმოდა აუდიოფრაგმენტში, რომელიც მეოთხე ვიდეოფრაგმენტს მიუსადაგეთ?

ნაბიჯი 5

ახლა კი ნახეთ, ჩვენ როგორ მოვარგეთ შემოთავაზებული მუსიკა ფრაგმენტებს. დაემთხვა თქვენს ვერსიას?

დაფიქრდით, რას უსვამს ხაზს მუსიკა და შეავსეთ ცხრილი. ფრაგმენტის ნომერი ჩანერეთ შესაბამის მახასიათებელთან.



1



2



3

პერსონაჟის ხასიათს	
ფრაგმენტის განწყობას	
კადრში ასახულ მოქმედებებს	

აქტივობა 1

როგორც წინა გაკვეთილებზე შესრულებული სავარჯიშოებიდან შეიტყვეთ, ანიმაციაში მოძრაობების გახმოვანება არა მხოლოდ ხმებითა და ხმაურით, არამედ ბგერით, მელოდიით, რიტმით, ჰარმონიითაც შეიძლება. მუსიკით პერსონაჟების თითოეული მოძრაობის გადმოცემა პირველად გამოჩენილმა ამერიკელმა ანიმატორმა, უოლტ დისნიმ გამოიყენა. ამ გახმოვანების ხერხს კი დისნის ყველაზე საყვარელი პერსონაჟის, მისი სტუდიის ერთგვარი სახის, მიკი მაუსის სახელი დაარქვეს. გახმოვანების ასეთ ხერხს მიკიმაუსინგი უწოდეს. ასეთი გახმოვანება ისე მოეწონათ სხვა ანიმატორებს, რომ იმ დროის ყველა ანიმაციური ფილმი მიკიმაუსინგის ხერხით იყო გახმოვანებული, მაგრამ გავიდა დრო და ანიმაციური ფილმების შინაარსი და ხასიათიც შეიცვალა. პერსონაჟების არა მხოლოდ მოქმედების, არამედ მათი ხასიათის, განცდების, განწყობის გადმოცემაც დაიწყო. ამით ანიმაციური ფილმების შინაარსი უფრო გამდიდრდა. ისინი მხატვრულ ფილმებს დაემსგავსნენ. გაჩნდა დიდი სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმები, გართულდა სიუჟეტიც, პერსონაჟებიც. საჭირო გახდა გახმოვანების დროს ახალი მუსიკალური ხერხების გამოყენება. ეს ხერხი საბავშვო/საყმაწვილო ფილმებზეც გავრცელდა და აუცილებელი გახდა გახმოვანების სხვადასხვა ხერხის გამოყენება.

როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდება საყმაწვილო ფილმები უფროსების ფილმებისგან?

მოდით, დააკვირდით ფილმის პოსტერებს და გაარკვიეთ, რომელი პოსტერი ეკუთვნის საყმაწვილოს და რომელი უფროსების ფილმებს?

თუ ჩათვალეთ, რომ ეს პოსტერი საყმაწვილო ფილმისთვისაა განკუთვნილი, ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ „ს“, ხოლო თუ უფროსებისთვისაა – „უ“.

აქტივობა 2













უპასუხეთ კითხვებს:

- რის მიხედვით განასხვავებთ უფროსებისა და საბავშვო ფილმების პოსტერები?
- როგორ ფიქრობთ, პოსტერი №4 რა ჟანრის ფილმისთვისაა?

შეარჩიეთ სავარაუდო პასუხი:

- ◆ კომედია
- ◆ სათავეგადასავლო
- ◆ საოჯახო დრამა
- ◆ ისტორიული
- ◆ ფენტეზი
- ◆ სხვა

- რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელ კინოს (საყმაწვილოს თუ უფროსებისთვის) მიეკუთვნება ამ პოსტერით წარმოდგენილი ფილმი?
- თუ ამ პოსტერებით ვიმსჯელებთ, ძირითადად, რომელი ჟანრებია წარმოდგენილი საყმაწვილო ფილმებში?

აქტივობა 3

ახლა კი მოუსმინეთ მუსიკალურ მაგალითებს და ამოიცანით, რომელი საუნდტრეკია საყმაწვილო ფილმებისთვის და რომელი უფროსებისთვის. ჩანერეთ მუსიკალური მაგალითების ნომრები ცხრილის სათანადო უჯრაში.

საყმაწვილო ფილმი	უფროსების ფილმი



ჯ. უილიამსი. მუსიკა ფილმისთვის „მარტო სახლში“



გ. შორი.

მუსიკა ფილმისთვის „მისის დაუტფაიერი“



ჰ. ციმერი მუსიკა ფილმისთვის „გლადიატორი“



ჰ. ციმერი. მუსიკა ფილმისთვის „ვარსკვლავთშორისი“



ჰ. ციმერი. მუსიკა ფილმისთვის „ვარსკვლავთშორისი“



ე. მორიკონე. მუსიკა ფილმისთვის „ლეგენდა პიანისტზე“



ბ. პასეკი, ჯ. პოლი. მუსიკა ფილმისთვის „მომღერალი ნიანგი“

აქტივობა 4

- რა აქვთ საერთო საყმაწვილო ფილმების საუნდტრეკებს?
- რომელი საუნდტრეკი შეიძლება ჩავთვალოთ პერსონაჟის დახასიათებად? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ არის დახასიათებული მუსიკით ეს პერსონაჟი?
- ყველაზე მკაფიოდ რომელ საუნდტრეკშია გადმოცემული პოსტერის შინაარსი?
- რომელი საუნდტრეკი მოგეჩვენათ ყველაზე სასიხარულოდ და იმედის მომგვრელად?
- რომელ საუნდტრეკს დაუკავშირებდით საინტერესო შთაბეჭდილებებით აღსავსე მოგზაურობას?
- რომელი საუნდტრეკი იყო ყველაზე სევდიანი?
- რომელ პოსტერს დაუკავშირეთ ეს საუნდტრეკი?
- დაასკვნით, მუსიკალური გაფორმების რომელი ხერხებია გამოყენებული აქ წარმოდგენილი საყმაწვილო ფილმების საუნდტრეკებში?

შეავსეთ ცხრილი. ჩანერეთ, საყმაწვილო ფილმის ჟანრში რას ემსახურება მუსიკალური გაფორმება – ახასიათებს პერსონაჟს, ამძაფრებს ეპიზოდის განწყობას თუ კადრში ასახული მოქმედებების აღქმას უწყობს ხელს.

ნამუშევარი გაუზიარეთ თანაკლასელებს.

ჟანრი	გახმოვანების ხერხი
საოჯახო კომედია	
სათავგადასავლო	
ფენტეზი	

ლექსიკონი

ა

ადაჯიო (იტალ. *adagio*) – მუსიკალური ნაწარმოების ნელი ტემპი.

აკაპელა (იტალ. *acappella*) – სიმღერა თანხლების გარეშე.

აკომპანემენტი – ვოკალური ან ინსტრუმენტული მელოდიის მუსიკალური თანხლება.

აკორდი – ორზე მეტი ბგერის თანაჟღერადობა.

ალეგრეტო (იტალ. *allegretto*) – მუსიკალური ნაწარმოების ცოცხალი ტემპი, მაგრამ შედარებით ნელი, ვიდრე ალეგრო.

ალეგრო (იტალ. *allegro*) – მუსიკალური ნაწარმოების ჩქარი ტემპი.

ალტერაცია (ლათ. *alteratio* — შეცვლა) – ბგერის ამაღლება ან დადაბლება ერთი ან ნახევარი ტონით ბგერის სახელწოდების შეუცვლელად.

ალტი – ქალის ან ბავშვის სასიმღერო დაბალი ხმა.

ანდანტე (იტალ. *andante*) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, მშვიდი ტემპი.

აპლოდისმენტი (ფრანგ. *plaudere*) – მოწონების გამოხატვა ტაშის დაკვრით. ძირითადად, გამოიყენება სხვადასხვა წარმოდგენაზე (თეატრში, კონცერტზე, ცირკში). ხშირად აპლოდისმენტებს თან ახლავს შეძახილები (ოვაციები) „ბრავო“, „ბრავისიმო“, რაც იტალიურად ნიშნავს „შესანიშნავია“.

აპოთეოზი – რაიმე მოვლენის, ამბის ან პიროვნების განდიდება; სპექტაკლის ან კონცერტის ბოლო მასობრივი სცენა, რომელშიც განდიდებულია, შექებულია ხალხი, გმირი, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა.

აფიშა – მიზნად ისახავს, შეატყობინოს მაცურებელს, თუ სად, როდის, რა სანახაობა გაიმართება. არსებობს აფიშა-პროგრამები და ე.წ. მოკლე ფურცლები.

აჩელერანდო (იტალ. *accelerando*) – მუსიკაში ტემპის აჩქარება.

ანონსი (ფრანგ. *Annonce* – წინასწარი შეტყობინება) – წინასწარი შეტყობინება მომავალი სპექტაკლის, კონცერტის, სატელევიზიო გადაცემის შესახებ.

ბ

ბაგატელი (ფრანგ. *Bagatelle* – წვრილმანი, პატარა ნივთი) – პატარა მუსიკალური პიესა ფორტეპიანოსთვის.

ბალეტი – მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა, რომელშიც მოქმედი გმირები ცეკვავენ ორკესტრის თანხლებით და ასე გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს.

ბანი – მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.

ბარიტონი – მამაკაცის საშუალო სასიმღერო ხმა.

ბეკარი – ნიშანი, რომელიც აბათილებს დიეზს და ბემოლს.

ბემოლი – ნიშანი, რომელიც ადაბლებს ბგერას ნახევარი ტონით.

ბის! – მაცურებელთა მოწონების შეძახილი კონცერტზე, გამოხატავს გარკვეული ნომრის გამორების თხოვნას.

გ

გამა – ოქტავის ფარგლებში ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანამიმდევრობა.

გასტროლი (გერმ. *gast* – სტუმარი, *rolle* – როლი ანუ „სტუმრის როლში ყოფნა“) – სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის (თეატრალური დასის, მუსიკალური ანსამბლის, ორკესტრის და ა.შ.) გამოსვლა.

გლისანდო (იტალ. *glissando* – სრიალი) ადამიანის ხმით და მუსიკალური საკრავით ბგერის შესრულების ხერხი, რომელიც იძლევა ფერადოვან ტალღისებურ გადასვლას ბგერიდან ბგერაზე.

გუნდი – ვოკალისტთა დიდი ჯგუფი (არანაკლებ 12 შემსრულებლისა).

დ

დეკორაცია (ლათ. decoratio – ვრთავ) – სცენის გაფორმება ფერწერის, გრაფიკისა და სხვა საშუალებებით.

დიეზი – ნიშანი, რომელიც ბგერას ამალღებს ნახევარი ტონით ზემოთ.

დიმინუენდო (იტალ. diminuendo) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან შესუსტება.

დირიჟორი – ორკესტრის ან გუნდის ხელმძღვანელი.

დისკანტი – ბავშვის მაღალი სასიმღერო ხმა.

დუეტი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ორი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

ე

ეტიუდი – პიესა, რომლის შესწავლისა და შესრულების მიზანი შემსრულებლის დაოსტატებაა.

ვ

ვალსი – ძველებური გერმანულ-ავსტრიული წყვილთა ცეკვა, რომელიც თანამედროვეობაშიც პოპულარულია. ცეკვის მუსიკალური ზომია $3/4$, იშვიათად, $3/8$ ან $6/8$.

ვარიაცია (ლათ. variatio – სახეცვლა) – პირველად გადმოცემული მასალის სახეშეცვლილი გამეორება.

ვირტუოზი – ადამიანი, რომელიც სრულყოფილად ფლობს შესრულების (სიმღერის, დაკვრის და სხვ.) ტექნიკას.

ვოკალური მუსიკა – ადამიანის ხმით შესრულებული მუსიკა.

ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა – მუსიკა, რომელიც ადამიანის ხმითა და მუსიკალური საკრავებით სრულდება.

ი

იმიტირება — მიბაძვა. პოლიფონიურ მუსიკაში მუსიკალური აზრის გამეორება სხვადასხვა ხმაში.

ინსტრუმენტული მუსიკა – მუსიკალური საკრავებით შესრულებული მუსიკა.

ინტერვალი (ლათ. Intervallum – მანძილი, შუალედი) – მუსიკაში ინტერვალი არის მანძილი ორ ბგერას შორის. ინტერვალს ახასიათებს ტონობრივი და საფეხურებრივი შემადგენლობა. ტონობრივი განსაზღვრავს ინტერვალში შემავალი ტონების რაოდენობას, ხოლო საფეხურებრივი – შემავალი საფეხურების რაოდენობას.

ინტონაცია – მუსიკალური ბგერების თანამიმდევრული ორგანიზაცია.

იოდლი – შვეიცარიულ სიმღერებში „იო-აიი-უუ“ ხმოვნებზე სწრაფად მოძრავი მაღალი ხმა.

კ

კანონი (ბერძნ. kanon – წესი) – პოლიფონიური მრავალხმიანი მუსიკის სახეობაა, სადაც ერთი და იგივე მელოდია სხვადასხვა ხმაში დაგვიანებით იწყება. კანონი შეიძლება იყოს ორხმიანი, სამხმიანი და მეტხმიანი.

კანტატა (იტალ. cantare – სიმღერა) – რამდენიმე ნომრისგან შემდგარი ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის, უფრო მცირე ზომის, ვიდრე ორატორია. შინაარსის მიხედვით, მკაფიოდ განასხვავებენ რელიგიური და საერო კანტატებს.

კარნავალი – სახალხო დღესასწაული ნიღბებით.

კილო – მუსიკალურ ბგერებს შორის გარკვეული დამოკიდებულება, ურთიერთკავშირი.

კვარტეტი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ოთხი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

კლავიატურა – თეთრი და შავი კლავიშების ერთობლიობა კლავიშიან საკრავებზე (ფორტეპიანო, როიალი, კლავესინი და ა. შ.).

კოლაჟი – საკუთარი ან სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების ფრაგმენტისგან აწყობილი ერთგვარი კომპოზიცია. კოლაჟის აწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ხმითაც.

კომპოზიტორი – ადამიანი, რომელიც მუსიკას ქმნის.

კონკურსი – სხვადასხვა დარგში გამართული შეჯიბრება, რომლის მიზანია მონაწილეთა შორის საუკეთესოს გამოვლენა.

კონტრალტო (ან ალტი) – ქალის დაბალი სასიმღერო ხმა.

კონტრაპუნქტი (ნიშნავს ნოტი ნოტის წინ, წერტილი წერტილის წინ) – რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ართდროული შეხამება. ფართო გაგებით, კონტრაპუნქტი იგივეა, რაც პოლიფონია.

კონტრდანსი – ინგლისური ხალხური ცეკვა. ამ ცეკვიდან წარმოიშვა სხვა ინგლისური და, ნაწილობრივ, ფრანგული ცეკვებიც.

კონცერტი (იტალ. concerto – შეთანხმება; ლათ. concertare – შეჯიბრება) – 1. მუსიკის სახალხო შესრულება. 2. დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდება ერთ ან რამდენიმე სოლო ინსტრუმენტზე, ორკესტრის თანხლებით.

კრეშენდო (იტალ. crescendo) – მუსიკალური ხმოვანების თანდათან გაძლიერება.

კრიმანჭული – დასავლეთ საქართველოს (გურია, აჭარა) მრავალხმიანი ხალხური სიმღერების ზემო ხმა, მდიდარი მელოდიური ნახტომებით, ორნამენტებით.

კულმინაცია (ლათ. culmen – მწვერვალი) – მუსიკაში ნაწარმოების ემოციურად ყველაზე მნიშვნელოვანი, უმაღლესი დაძაბულობის მომენტი, სადაც იდეის გადმოცემის სიმძაფრე მწვერვალს აღწევს.

ლ

ლაიტმოტივი (გერმ. leitmotiv – წამყვანი მოტივი) – მუსიკალური მოტივი, ძირითადი თემა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოების კონკრეტულ პერსონაჟთან, გრძნობას ან საგანთან და თან ახლავს მის გამოჩენას, დროდადრო მეორდება. გვხვდება ოპერებში, ბალეტებსა და პროგრამულ მუსიკაში.

ლეგატო (იტალ. legato) – ბგერების გადაბმულად სიმღერა ან დაკვრა.

ლეზინკა – კავკასიელი ხალხების – ქისტების, ჩეჩნების, ინგუშების ხალხური ცეკვა.

ლეიბლი (ინგლ. Label – ქაღალდის ეტიკეტი) – ხმის ჩამწერი ლეიბლი (Record label), ან უბრალოდ, ლეიბლი – ამა თუ იმ კომპანიის მიერ შექმნილი ბრენდი ან სავაჭრო ნიშანი, რომელიც აუცილო და ვიდეოჩანაწერების წარმოებით, გავრცელებითა და პოპულარიზაციით არის დაკავებული.

ლენდლერი – ავსტრიულ-გერმანული ხალხური წრიული ცეკვა სამწილად ზომაში.

ლოტბარი – მომღერალთა ანსამბლის ან გუნდის ხელმძღვანელი.

მ

მაზურკა – პოლონური ცეკვა. ცეკვის მუსიკალური ზომაა 3/4.

მაჟორი (ფრანგ. majeur – დიდი) – მუსიკალური კილო, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხნე, მხიარული ელფერი.

მარში (ფრანგ. marche – სიარული, წინსვლა) – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია რაიმე მსვლელობის გასაფორმებლად. არსებობს სადღესასწაულო, სამხედრო, სპორტული და სამგლოვიარო მარშები.

მელოდია (ბერძნ. melodia – მღერა, ჰანგი) – ბგერების თანამიმდევრობა, რომელიც გარკვეულ დასრულებულ მუსიკალურ აზრს გამოხატავს.

მენუეტი – ძველებური ფრანგული ცეკვა სამწილად ზომაში.

მეტრი (ბერძნ. metron – ზომა) – რიტმულ სურათში ძლიერი და სუსტი დროების მონაცვლეობა.

მეტო სოპრანო – ქალის საშუალო სიმაღლის ხმა.

მიმიკა – ბერძნული სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს. სახის ნაკვეთების გამოკვეთილი მოძრაობაა, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვხატოთ სხვადასხვა განცდა – სიხარული, სევდა და ა.შ.

მინორი (ფრანგ. mineur – პატარა) – მუსიკალური კილო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაღვლიანი, სევდიანი ელფერი.

მოდერატო (იტალ. moderato) – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი, თავშეკავებული ტემპი, ანდანტესა და ალეგროს შორის.

მუსიკალური თემა – მოკლე ნაგებობა, რომელიც მუსიკალურ სახეს გამოხატავს.

6

ნაწარმოები – ნებისმიერი მუსიკალური თხზულება.

ნოტები – ბერძნ. სიმალისა და ხანგრძლივობის აღმნიშვნელი ნიშნები.

ნევმები – მუსიკალური ბგერების აღმნიშვნელი ძველებური ნიშნები. აჩვენებდნენ მელოდიის მიმართულებას, არ იყო განსაზღვრული არც ბგერის სიმალე, არც მისი გაჟღერების ზუსტი დრო.

ო

ოპერა – მუსიკალური სპექტაკლი, სადაც მომღერლები, ორკესტრის თანხლებით, შინაარსს სიმღერით გადმოსცემენ. ოპერაში შესაძლებელია საცეკვაო ნომრებიც იყოს ჩართული.

ორატორია (ლათ. oratorium – სამლოცველო) – ძირითადად, რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილი მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

ორკესტრი – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა საკრავზე შეთანხმებულად უკრავს.

ოსტინატო (იტალ. ostinato – დაჟინებით, ჯიუტად) – რამდენიმე ბგერის ან რიტმული ფიგურაციის მრავალჯერადი გამეორება.

პ

პანტომიმა (ბერძნ. pantomimos – რაიმეს მიბადვით განსახიერება) – უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის მოქმედი პირები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ.

პარტია – ცალკეული ინსტრუმენტის ან ხმისათვის დანერგილი მუსიკა.

პაუზა – მუსიკალური ჟღერადობის შეჩერება გარკვეული ხნით. იზომება ისევე, როგორც ცალკეული ბგერის გრძლიობა.

პარტიტურა – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ჩანაწერი, რომელიც შეიცავს ყველა ინსტრუმენტული თუ ვოკალური პარტიის სანოტო ტექსტს.

პენტატონიკა – ხუთი ბგერისაგან შემდგარი კილო ნახევარტონების გარეშე.

პიანო (იტალ. piano) – ჩუმად სიმღერა ან დაკვრა.

პიესა – მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოები.

პიქტოგრამა (ლათ. pictus – დახატული, ბერძნ. grapho – ვწერ) – პირობითი ნიშანი, ნახატი.

პიციკატო (იტალ. pizzicato) – სიმებიან-ხემიანი საკრავების სიმებზე თითის გამოკვრით დაკვრა.

პოლკა – ჩეხური ნაციონალური ცეკვა, რომელიც წყვილებში სრულდება. ცეკვის მუსიკალური ზომაა 2/4.

პოლონეზი – პოლონური წარმოშობის საზეიმო ცეკვა-სვლა, სრულდება ზომიერ ტემპში. პოლონეზით, ამაღლებული და სადღესასწაულო განწყობის შექმნისათვის, როგორც წესი, იწყებოდა მეჯლისები.

პოპური (ფრანგ. pot-pourri – სხვადასხვა საჭმლის შერევა) – სხვადასხვა პოპულარული მუსიკალური თემებიდან შემდგარი მუსიკალური პიესა.

პოლიფონია – მრავალხმიანი მუსიკის ნაირსახეობაა, რომელიც აგებულია დამოუკიდებელი, თანაბარმნიშვნელოვანი ხმების ერთდროულ ჟღერადობაზე.

პორტამენტო (იტალ. portamento – გადატანა) – შესრულების ხერხი ლეგატოსა და სტაკატოს შორის.

პროგრამული მუსიკა – ინსტრუმენტული მუსიკა, რომელსაც აქვს „პროგრამა“, ე.ი. კონკრეტული სიუჟეტი.

პუბლიკა – ხალხი, რომელიც კონცერტს ან რაიმე წარმოდგენას ესწრება.

ჟ

ჟანრი – მუსიკალური ნაწარმოების ნაირსახეობა.

ჟესტიკულაცია – არავერბალური (უსიტყვო) კომუნიკაციის ფორმა, გამოხატული ხელების მოძრაობით, რომელიც ვერბალური (სიტყვიერი) კომუნიკაციის მაგივრად ან მის პარალელურად ხორციელდება. ჟესტიკულაციის ენა იძლევა სხვადასხვა გრძნობისა თუ აზრების გამოხატვის საშუალებას.

რ

რაგა – კლასიკური ინდური მუსიკის სახეობა.

რეგისტრი (ლათ. *registrum* – სია) – მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი. მუსიკალურ ბგერებს ვაჯგუფებთ დაბალ, საშუალო და მაღალ რეგისტრებად.

რიტენუტო (იტალ. *ritenuto*) – მუსიკის ტემპის შენელება.

რიტმი – მუსიკის ორგანიზაცია დროში; ბგერების გრძლიობების თანამიმდევრობა.

რონდო – (ფრანგ. – *wre*) – მუსიკალური ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მთავარი უცვლელი (რეფრენი) და ახალ-ახალი თემების (ეპიზოდები) მონაცვლეობაზე.

ს

სამხმოვანება – ტერციებად დალაგებული, სამი სხვადასხვა ბგერის ერთდროული ჟღერადობა.

სერენადა – სატროფოსადმი მიძღვნილი სიმღერა, რომელსაც გამთენიისას, შეყვარებული მამაკაცი თავის რჩეულს ფანჯარასთან უმღერის. ტრადიციულად, სერენადებს, ესპანეთსა და იტალიაში, გიტარის თანხლებით ასრულებდნენ.

სიმფონია (ბერძნ. *symphonia* – შეთანხმება, შეწყობა, კეთილხმოვანება) – დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც ორკესტრი ასრულებს. სიმფონია რამდენიმე ნაწილისგან შედგება.

სიმღერა – მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც მღერიან.

სინკოპა – აქცენტის გადატანა ძლიერი დროიდან სუსტ დროზე.

სიუიტა (ფრანგ. *suite* – თანამიმდევრობა) – დიდი ფორმის ნაწარმოები, რომელიც საერთო შინაარსით გაერთიანებულ რამდენიმე კონტრასტულ ნაწილს ან პიესას მოიცავს.

სიუჟეტური მუსიკა – მუსიკა, რომელიც პიესის შინაარსიდან გამომდინარეობს, ასევე ასახავს პიესის ავტორის მიერ რემარკებში არსებულ მითითებებს. ასე მაგ., გოგონა მიუჯდა ფორტე-პიანოს და დაკვრა დაიწყო, მეგობრები მღერიან გიტარის თანხლებით. ამ დროს, ფანჯრიდან საქორწინო მარშის ხმები გაისმა და ა.შ.

სკეტი – სახუმარო შინაარსის სასცენო დადგმა.

სოლისტი (იტალ. *solo* – ერთი, ერთადერთი) – შემსრულებელი, რომელიც ნაწარმოებს დამოუკიდებლად ასრულებს ან ნაწარმოებში სოლო პარტიის შემსრულებელი; მომღერალი ან ინსტრუმენტალისტი.

სონატა – ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელიც იწერება ფორტეპიანოს ან რომელიმე სხვა საკრავისა და ფორტეპიანოსათვის; შედგება ერთი ან რამდენიმე ნაწილისაგან.

სოპრანო – ქალის მაღალი სასიმღერო ხმა.

სტაკატო (იტალ. *staccato*) – წყვეტილად სიმღერა ან დაკვრა.

სტილი – სხვადასხვა ხალხის, ეპოქის ან ცალკეული კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი ხერხების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით გადმოიცემა ნაწარმოების შინაარსი.

ტ

ტაქტი – მუსიკალური ნაწარმოების ერთეული, რომელიც იქმნება სხვადასხვა სიძლიერის ნილების მონაცვლეობით და იწყება ყველაზე ძლიერი ნილით. ტაქტები ერთმანეთისგან გამოიყოფიან ვერტიკალური ხაზით.

ტემბრი – ადამიანის ხმის ან ინსტრუმენტის ჟღერადობის შეფერილობა.

ტემპი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სიჩქარე.

ტენორი – მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა.

ტონალობა – კილოს ბგერების ზუსტი სიმაღლეებიანი განლაგება და მდებარეობა.

ტონიკა – კილოს ან ტონალობის ძირითადი საყრდენი, რომელიც გამოსახულია ერთი ბგერით, ან აკორდის სახით. ტონიკისკენ მიიზიდებიან კილოს დანარჩენი საფეხურები და აკორდები.

ტრეკი – ინგლისური სიტყვაა და „ხმოვან გზას“ ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში კი – „ტრეკებზე“ განლაგებულ ადამიანის ან საკრავის ხმას.

ტრიო – მუსიკალური ნაწარმოების შესრულება სამი მუსიკოსის მიერ ან ამ შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები.

ტრიუმფი – 1. საზეიმო შეხვედრა, რომელსაც ძველ რომში გამარჯვებით დაბრუნებულ სარდალსა და მის ჯარს უწყობდნენ. 2. დიდი წარმატებით, გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი.

ტუში – რამდენიმე ბგერისაგან შემდგარი მოკლე მუსიკალური სადღესასწაულო მისაღება.

უ

უვერტიურა – ოპერის ან ბალეტის შესავალი, რომელშიც კომპოზიტორი მოკლედ მოუთხრობს მსმენელს ნაწარმოების შინაარსისა და გმირების შესახებ. უვერტიურას ორკესტრი ასრულებს. XIX საუკუნიდან გაჩნდა ე.წ. საკონცერტო უვერტიურები – დამოუკიდებელი საორკესტრო პიესები, რომელთაც ხშირად პროგრამული ხასიათი აქვთ.

უნისონი – (იტალ. unisono – ერთი ბგერა) ერთსა და იმავე სიმაღლეზე ორი ან რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა.

ფ

ფაბულა (fabula – არაკი, ზღაპარი) – მხატვრულ ნაწარმოებში ფაბულა იგივეა, რაც ამბავი, სიუჟეტი.

ფაქტურა (ლათ. Facture – დამზადება, დამუშავება, აგებულება) – მუსიკალური ნაწარმოების ქსოვილი, რომელშიც გაერთიანებულია მუსიკის ყველა გამომსახველობის ხერხი: მელოდია, რიტმი, მეტრი, აკორდიკა, ტემპი, ტემბრი, რეგისტრი და ა.შ. ფაქტურა შეიძლება იყოს ერთხმიანი და მრავალხმიანი. ფაქტურის დასახასიათებლად ხშირად იყენებენ ასეთ განსაზღვრებებს: შემჭიდროებული ფაქტურა, აკორდული ფაქტურა, გამჭვირვალე და ა.შ.

ფესტივალი – ხელოვნების რომელიმე დარგის (მუსიკის, კინოს, თეატრის) მიღწევათა ჩვენება. ეწყობა პერიოდულად.

ფინალი (იტალ. finale – დასასრული) – ოპერის, ბალეტის, ასევე სონატის და სიმფონიის დასკვნითი ნაწილი.

ფოლკლორი (ინგლ. folklore – ხალხური სიბრძნე) – ხალხური შემოქმედება, რომელიც მოიცავს პოეზიას, სიმღერას, ცეკვას და ა. შ.

ფორტე (იტალ. forte) – ხმამაღლა სიმღერა ან დაკვრა.

ფრაზა – რამდენიმე მოტივისგან შემდგარი მუსიკალური ნაგებობა.

ქ

ქორალი – საეკლესიო გალობა. ძირითადად, ნელ ტემპში, თანაბარი გრძლიობებით აგებული ნაწარმოები. არსებობს საორგანო და საფორტეპიანო ქორალები. (მაგ., იოჰან სებასტიან ბახის საორგანო ქორალები, რობერტ შუმანის საფორტეპიანო პიესა „ქორალი“).

ქრონომეტრაჟი – რაიმე პროცესების და მოქმედებების ხანგრძლივობის ზუსტად გაზომვა.

ც

ცეკვა – მუსიკალური ჟანრი, რომელშიც სხეულის მოძრაობა მუსიკის თანხლებით გარკვეულ შინაარსს გადმოსცემს.

ციკლი (ბერძნ. kyklos – წრე) – მრავალწლიანი მუსიკალური ნაწარმოები, სადაც ნაწილები გარკვეული თანამიმდევრობით, კონტრასტის პრინციპით არის წარმოდგენილი.

ჯ

ჯაზი – მე-20 საუკუნის მუსიკალური სტილი, წარმოიშვა აშშ-ში; ჯაზის საფუძველს წარმოადგენს აფროამერიკელთა ხალხური მუსიკალური შემოქმედების იმპროვიზაციული ფორმები.

ჰ

ჰანგი – სიმღერა, მელოდია.

ჰომოფონია – მრავალხმიანი მუსიკა, სადაც წამყვანია მელოდია, რომელსაც დანარჩენი ხმები თანხლებას უწევენ.




გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარაყანიძე ე., ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. განათლების, კულტურის და სულიერების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“. თბ., 2011
2. ერქომაიშვილი ა., გზები, ადამიანები, სიმღერები. თბ., 2011
3. ქართული გალობა. ანთოლოგია. თბ., 2016
4. გოგებაშვილი ი., დედაენა. გამომცემლობა „დედაენა“, თბ., 2016
5. მარუაშვილი ლ., მუსიკის რეპეტიტორი, სტუდენტის სახელმძღვანელო, თბ., 2016
6. Nitsche Paul, Die Pfleger der Kinder-und Jugendstimme. Stimmbildung am Lied. B. Schott's Sohne. Mainz, 1970
7. Metzler. Komponisten Lexikon. Herausgegeben von Horst Weber. Verlag J. B. Metzler Stuttgart. Weimar, 1992


ინფორმაცია ლისტის სურპრიზის შესახებ ეფუძნება ლევან მიზანდარის სტატიას ჟურნალიდან „მუსიკა და მხატვრობა“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მუსიკის ექსპერტის მიერ მოწოდებული მასალები გამოყენებულია საგაკვეთილო სცენარებში.


პროგრამა Audacity-ის მონხმარების ინსტრუქცია




1.




2.




3.



4.



5.




6.



7.



8.



9.

